საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№32 (503)
11 - 17 სექტემბერი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## 1939 წლის პოლონური სირცხვილი მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ
14

## «უნდა დამთავრდეს დრო, როცა პრემიერი რუსეთის ხსენებასაც ვერ ბედავდა იმის შიშით, არიქა, რუსეთუმეობა არ დამწამონო»
3



## «მალე შეიძლება ეს მავნებლური დეკლარირებული პოლიტიკა დამოკლეს მახვილივით დაეკიდოს საქართველოს თავზე»
5




## კრამერისა და რასმუსენის მსგავსი პროვოკატორი კიდევ ბევრი გამოჩნდება
24

## სოხუმი და ცხინვალი თუ დავთმეთ, ნატოში რაღა ჯანდაბა გვინდა?!

## ელჩი მიდის, ელჩი მოდის... ნატო მაინც არ შემოდის!
4



## საქართველოს რუსეთთან სტრატეგიული დაახლოების გარდაუვალობა
8



## საჭირო და სასარგებლოა თუ არა რუსეთთან დიალოგი უკრაინისა და მოლდოვის მაგალითზე
2

## «კოკავ, შენ გეუბნები; ლიტრავ, შენც გეყურებოდესო!»
2

## ტურიზმის მიმართულებით საქართველო მაჩანჩალებს შორისაა
6




## ბატონებო, 700 მილიონით 14 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა რომ შეიძლება, თუ გიფიქრიათ?
7



## ქაოსი ევრო-პულ პოლი-ტიკაში
11-21




## თანამშრომლობა ევრაზიულ სივრცეში
10



ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ლავროვის ეს განცხადება ხომ იმას ნიშნავს, რომ, თუ საქართველო ერთხელ და სამუდამოდ უარს იტყვის ნატოს ქიმერის დევნაზე და სამხედრო ნეიტრალიტეტს გამოაცხადებს, რუსეთის ფედერაცია საქართველოზეც გაავრცელებს მოლდოვის მიმართ დაწესებულ წინაპირობებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველთა სანუკვარ სურვილს, ნატვრას თუ მიზანს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ, სულ ცოტა, რაღაც რეალური საფუძველი გაუჩნდება. მართალია, მოლდოვისგან განსხვავებით, უახლოეს კი არა, შორეულ მომავალში, მაგრამ მაინც.**

**მაშ ასე, ე.წ. გავრილოვის ღამისა და მისგან გამომდინარე ე.წ. ანტისაოკუპაციო მოძრაობის მიერ ორგანიზებული „გრანდიოზული“ მასშტაბის საპროტესტო აქციების მიუხედავად, მოსწონს თუ არა მავანს, საქართველოს ახალი პრემიერმინისტრი ჰყავს — გიორგი გახარია.**

ამ ფაქტის მიმართ ჩემს პოზიტიურ დამოკიდებულებაზე გაზეთის წინა ნომერში ვისაუბრე და იმედი გამოვთქვი, რომ „რუსთავი 2“-ის მიმართ დაწყებულ „პოლიტიკურ რეპრესიებს“ თუ პარლამენტის შტურმით აღების მცდელობაში ზოგიერთი აქტიური მონაწილისა და ორგანიზატორის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ლოგიკურ გაგრძელებად ანაკლიის თემით სპეკულანტი „თი ბი სი“ ბანკის წურბელების დაპატიმრებაც მოჰყვებოდა.

ჩამონათვალს თუ გადავხედავთ, ერთი შეხედვით თითქოს სასაყვედურო არაფერი უნდა მქონდეს: მიუხედავად „თი ბი სი“-ს ბანკირთა პოლიტიკური ბაქი-ბუქისა, როგორც ჩანს, **მამუკა ხაზარაძისა** და **ბადრი ჯაფარიძის** ვირის აბანოში ბანაობა მხოლოდ დროის საქმეა; ქალაქური ჟარგონი რომ გამოვიყენოთ, „ტვ პირველის“ საქმეც „ვერ ლავეს“ და მისმა დამფუძნებელმა **ვახტანგ წერეთელმა** შეიძლება „თი ბი სი“-ს მფლობელთა ბედი გაიზიაროს; რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის ყოფილ გენდირექტორ **ნიკა გვარამიას**, ცნობილმა „ქათამმა“ ბევრი კი იკრიახა **ჭაბუა ამირეჯიბის** რომანის პერსონაჟ კაჟა ბულავას მსგავსად, — „სად მაქვს ფული მე უბედურს“, რომც მქონდეს, კაპიკსაც არ გადავიხდი, ფეხები არ მომჭამოს „თქვენმა“ ბიძინამო, მაგრამ, როდესაც „ფეხების მოსაჭმელად“ მართლა მიაკითხეს, გვარამიამ, რომ იტყვიან, „ბებიამისის მუთაქები ამოქექა“ და გირაოს სახით „სულ რაღაც“ 40 ათასი ლარი გადაიხადა...

ე.წ. ოპოზიციურ პროდასავლურ ფრაქციებთან საკომიტეტო თუ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამართულმა მოსმენებმაც გიორგი გახარიას აშკარა უპირატესობით ჩაიარა. ეს მოსმენები პარლამენტის შენობის გარეთ „შვიშტოკების“ უნიჭო პერფორმანსის ფონზე მიმდინარეობდა. ეს იყო **მცირერიცხოვანი აქცია, თუმცა ქოც-ნაცების მიერ საზოგადოების უმრავლესობის საყოველთაო უკმაყოფილების გამოხატულების აქციად წოდებული**. იმდენად მცირერიცხოვანი, რომ განსაკუთრებით საღამოს საათებში თუ მოხვდებით რუსთაველის პროსპექტზე, მართლაც რეალური, მაგრამ, ამასთანავე, უილაჯო პროტესტის განცდა დაგეუფლებათ — **რამდენიმე ლაწირაკ ლიბერასტს რა უფლებით აქვს შემოღობილ-ოკუპირებული თავიანთი ბებიების ბოსტანივით პარლამენტის წინ ტერიტორია?!**

ე.წ. პროდასავლურ ოპოზიციურ პარტიებთან საკომიტეტო მოსმენებისა თუ საპარლამენტო დებატებისას ახალი მთავრობა ტოლს არ უდებდა ნაცებს დასავლეთის (წაიკითხე, აშშ) მიმართ ერთგულების დეკლარირებაში; ნატო-ევროკავშირის მიმართულებით მოძრაობის უალტერნატივობის შესახებ ლაპარაკში და ა.შ.

და ეს მაშინ, როდესაც ახლახან, 16 აგვისტოს, სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის საგანმანათლებლო ფორუმზე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** განაცხადა, რომ **„რუსეთი თანახმაა, დნესტრისპირეთის ავტონომიური რესპუბლიკა დაბრუნდეს სუვერენული, ნეიტრალური მოლდოვის რესპუბლიკის შემადგენლობაში“.**

# «კოკავ, შენ გეუბნები; ლიტრავ, შენც გეყურებოდესო!»

## რას ნიშნავს სერგეი ლავროვის განცხადება, რომ «რუსეთი თანახმაა, დნესტრისპირეთის ავტონომიური რესპუბლიკა დაბრუნდეს ნეიტრალური მოლდოვის რესპუბლიკის შემადგენლობაში»



სერგეი ლავროვი



მოლდოვას პრეზიდენტი იგორ დოდონი

ამ სენსაციური ცნობის წაკითხვისას თვალებს არ დავუჯერე და წინამდებარე წერილის სათაურიც ამ ფაქტიდან გამომდინარე იშვა...

ლავროვის ეს განცხადება ხომ იმას ნიშნავს, რომ, თუ საქართველო ერთხელ და სამუდამოდ უარს იტყვის ნატოს ქიმერის დევნაზე და სამხედრო ნეიტრალიტეტს გამოაცხადებს, რუსეთის ფედერაცია საქართველოზეც გაავრცელებს მოლდოვის მიმართ დაწესებულ წინაპირობებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველთა სანუკვარ სურვილს, ნატვრას თუ მიზანს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ, სულ ცოტა, რაღაც რეალური საფუძველი ექნება, მართალია, მოლდოვისგან განსხვავებით, უახლოეს კი არა, შორეულ მომავალში, მაგრამ მაინც.

მოლდოვისგან განსხვავებით კი იმიტომ, რომ რუსეთს სოხუმ-ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიარებული აქვს (სააკაშვილმა ლამის ძალით აღიარებინა), ხოლო ტირასპოლისა (დნესტრისპირეთის დედაქალაქი) — ჯერ არა და სწორედ ეს მნიშვნელოვანი განსხვავება განაპირობებს იმას, რომ ქართველთა ნატვრის ახდენა, მოლდოველებისგან განსხვავებით, უფრო ძნელი და შორეულია. კიდევ ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, „სულ არაფერს ცალი უღელი ხარი ჯობიაო“ და ჩვენც მეტი რა გზა გვაქვს?! ისევ შორეული მომავლის იმედად უნდა ვიყოთ, მაგრამ **არის კი საქართველოს ხელისუფლება „ლიტრასავით“ გამგები (თუ ასე თქმა უპრიანია)?**

„პატრიოტთა ალიანსის“ ფრაქციის საკომიტეტო მოსმენისას გიორგი გახარიას პირდაპირ ჰკითხეს: **ხართ მზად იმისთვის, რომ რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგი აწარმოოთ?** რაზეც მაშინ პრემიერობის კანდიდატმა და ახლა უკვე საქართველოს პრემიერმინისტრმა, — ჯერ ჟენევის ფორმატის რესურსი უნდა ამოვწუროთო და ა.შ. ერთი სიტყვით, გიორგი გახარიამ რალაცები მიკიბ-მოკიბა და ეგ იყო პასუხი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე; ეს პასუხი შეიქნა კიდეც მიზეზი ჩემი იმედგაცრუებისა.

არადა, **შეუძლებელია, გიორგი გახარიას არ სცოდნოდა სერგეი ლავროვის ამ განცხადების თაობაზე.**

კარგი, ბატონო, ქოც-ნაცებს არ აინტერესებთ არც საქართველო და არც ქართველი ერი, მაგრამ ქართულ მედიას? რატომ არავინ გააშუქა სერგეი ლავროვის ზემოთ ხსენებული განცხადება? ეს ხომ ნამდვილი სენსაციაა? თუმცა ეს კითხვები რიტორიკულია და მათზე პასუხები ცნობილია — ქოც-ნაცებისა არ იყოს, ქართული მედიაც დასავლეთის 30 ვერცხლზეა გაყიდული!

ამიტომაც ლავროვის განცხადება „გაატარეს“, სამაგიეროდ, გერმანული გაზეთის — „დოიჩე ველეს“ მოწინავე სტატიას აფრიალებენ სათაურით „საქართველომ პრემიერად რუსეთის კაცი აირჩია“.

ჰმ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

**დავით მხეიძე**

# საჭირო და სასარგებლოა თუ არა რუსეთთან დიალოგი უკრაინისა და მოლდოვის მაგალითზე



**იმ დროს, როცა ჩვენი ახალგამომცხვარი ძველი მთავრობა სამთავრობო პროგრამის წარდგენისას ისევ მომაბეზრებელ და არაფრისმომცემ „ნატო-ევროინტეგრაცია-რუსეთი ოკუპანტია“-ს გაიძახოდა პარლამენტში, სამი მნიშვნელოვანი და ჩვენთვის ყურადსაღები მოვლენა მოხდა:**

**პირველი** — უკრაინის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **ზელენსკიმ**, როგორც კი საპარლამენტო არჩევნებზე მისმა პარტიამ უმრავლესობა მოიპოვა, კონკრეტული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან დიალოგისთვის და დასაწყისისთვის **ვლადიმერ პუტინს** რუსეთსა და უკრაინაში პატიმრობაში მყოფი მოქალაქეების გაცვლაზე შეუთანხმდა. ეს გაცვლა შედგა 7 სექტემბერს და შემდეგ ზელენსკიმ და პუტინმა ტელეფონითაც ისაუბრეს. **ზელენსკიმ პატიმართა გაცვლას რუსეთ-უკრაინის დიალოგის აღორძინებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი უწოდა, ხოლო პუტინმა დადებითად შეაფასა შემდგარი ჰუმანიტარული აქტი. მათ ისაუბრეს დონბასში კონფლიქტის დარეგულირებაზეც და „ნორმანდიული ოთხეულის“ შეხვედრის ორგანიზებაზე, სახელდობრ იმაზე, რომ მომავალი შეხვედრა უნდა იყოს შედეგიანი და ხელი შეუწყოს უმაღლეს დონეზე მიღწეული უკვე არსებული შეთანხმებების შესრულებას** (ამ შეთანხმებების შესრულებას ყოფილი პრეზიდენტი პოროშენკო ყველანაირად არიდებდა თავს და საამისოდ ბანალურ ტყუილებსაც არ ერიდებოდა).

დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებში პროგრესის მთავარი მიზეზი პირდაპირი დიალოგის დაწყება და უკრაინის ახალი ხელისუფლების მიერ მიცემული პირობის პრაქტიკული შესრულებაა.

როგორც უცხოური პრესა იუწყება, რუსეთ-უკრაინას შორის პატიმართა გაცვლას მიესალმნენ საფრანგეთის, გერმანიისა და აშშ-ის ლიდერები: **ემანუელ მაკრონი, ანგელა მერკელი** და **დონალდ ტრამპი.** მერკელმა ამ ამბავს „იმედის მომცემი“ უწოდა, ხოლო ტრამპმა შეაფასა, როგორც მშვიდობისკენ გადადგმული პირველი დიდი ნაბიჯი. ევროსაბჭოც არ გადგა განზე და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციის დაწყებას იქაც საქებარი სიტყვები მუძღვნეს. საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა კი პირადად დაურეკა პუტინს, მიესალმა შემდგარ გაცვლას და „ნორმანდიული ოთხეულის“ მომავალი შეხვედრის მზადებაზე ესაუბრა.

**მეორე** — 7 სექტემბერსვე ვლადიმერ პუტინმა მოსკოვში მოლდოვის პრეზიდენტი **იგორ დოდონი** მიიღო. რუსეთის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ მოლდოვაში ვითარების სტაბილიზაციამ შესაძლებელი გახადა ორმხრივი ურთიერთობების განახლება და პოზიტიურ დინამიკაში გადაყვანა. თავის მხრივ, დოდონმა აღნიშნა, რომ ივნისის შემდეგ (ივნისამდე მოლდოვის ხელისუფლებაში ჩვენი ნაციონალების მსგავსი ანტირუსული ისტერიკით შეპყრობილი დემოკრატიული პარტია იყო, რომელიც დამარცხდა საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ ძალაუფლების შესანარჩუნებლად მაქინაციებზე წავიდა და, რომ არა რუსეთის, ამერიკისა და ევროკავშირის ერთობლივი ძალისხმევა, ქვეყანაში ქაოსი გამეფდებოდა) დაიწყო რუსეთ-მოლდოვის კონტაქტები ყველა დონეზე და ორმხრივი ურთიერთობები უკეთესობისკენ შეიცვალა; გაუმჯობესდა საინვესტიციო და სავაჭრო დინამიკა.

სხვა საკითხებთან ერთად დოდონმა და პუტინმა ბუნებრივი აირის თემაზეც ისაუბრეს და ოქტომბრიდან მოლდოვა რუსულ ბუნებრივ აირს დაბალ ფასად მიიღებს.

**მესამე:** 9 სექტემბერს საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები მოსკოვში გაგზავნა, სადაც ისინი თავის კოლეგებს — ლავროვსა და შოიგუს შეუთანხმდნენ, დაიწყონ მუშაობა საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნაზე რუსეთის მონაწილეობით. მკითხველისთვის ნათელი რომ გახდეს: ევროპელებისთვის ევროპის საზღვარი ხმელთაშუა და შავ ზღვებზე, ასევე კავკასიონის ქედზე გადის. საქართველო არის ამ საზღვრის გარეთა მიჯნაზე და ამ საზღვრის საქართველოს მონაკვეთის უსაფრთხოება რუსეთის მოვალეობა იქნება. ახლა ვინმეს სჯერა, რომ გინდაც საფრანგეთი, გინდაც გერმანია, გინდაც ევროკავშირი რუსეთს მოსთხოვენ, რომ საქართველოს ტერიტორიიდან ჯარი გაიყვანოს (არც აქამდე არ სთხოვდნენ, მაგრამ მაინც)?

ჩვენ ჩვენი უგუნურობით იმდენს მივაღწიეთ, რომ ფორმირების პროცესში მყოფი ახალი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის გარეთ ვრჩებით და როგორ უნდა დავიცვათ საქართველოს საერთაშორისო უსაფრთხოება? და კიდევ: სხვები საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ჩვენი ტერიტორიითა და ჩვენი უსაფრთხოების ხარჯზე აპირებენ. სად არიან ამ დროს ყბადაღებული „საქართველოს საერთაშორისო მეგობრები“ და „ევროკავშირი, რომელიც ურყევად დგას საქართველოს გვერდით და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე“?

ამერიკის შეერთებული შტატები ამერიკის კონტინენტზე, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ავსტრია ევროპაში, მონღოლეთი, ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი, მალაიზია, ფილიპინები, ეგვიპტე და კიდევ მრავალი სხვა ქვეყანა მთელ მსოფლიოში აღიარებენ და თანხმდებიან, რომ არც ერთი საერთაშორისო პრობლემა რუსეთის მონაწილეობის გარეშე არ გადაწყდება, აქტიურად თანამშრომლობენ მასთან და წარმატებით აგვარებენ კიდეც საერთო თუ ლოკალურ საკითხებს.

**ახლა გეკითხებით, ჩვენო მკითხველო: ისინი სულელები არიან, როცა რუსეთთან თანამშრომლობენ და თავიანთ საკითხებს აგვარებენ და მხოლოდ ჩვენი პოზიცია-ოპოზიციაა ჭკვიანი, როცა რუსეთს აგინებს და ქვეყანაში მათი გამოისობით გაჩენილ უამრავ პრობლემას კიდევ უფრო მწვავე და ყოფნა-არყოფნისთვის არსებით ხიფათებს უმატებს? რა სჯობია: არაფრისმომცემი და მავნებლური კონფრონტაცია თუ საქმიანი და პოზიტიური პირდაპირი დიალოგი? იმასაც შეგეკითხებით: ლაყბობის ოსტატი ბევრი გვყავს, საქმიანად მოსაუბრე ვინ არის?**

**გიორგი გავაშელი**

„განცხადებები, რომ რუსეთის მიმართ პოლიტიკის შერბილება არ შეიძლება, რადგან მას, თურმე, მხოლოდ ძალის ენა ესმის, და ის განცხადებები, რომ სწორედ რუსეთთანაა დიალოგი აუცილებელი, ვინაიდან მასთან ნორმალური ურთიერთობის გარეშე დასავლეთში მშვიდობა ვერ იქნება, სრულიად სხვადასხვა დონეზე კეთდება. პირველი იმ ადამიანებისგან გვესმის, რომლებიც მაინცდამაინც დიდი პოლიტიკური წონის მქონე ფიგურებს არ წარმოადგენენ, მეორე განცხადებებს კი უშუალოდ ლიდერები აკეთებენ“.

რაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გულბაათ რცხილაძე:

# უნდა დამთავრდეს დრო, როცა პრემიერი რუსეთის ხსენებასაც ვერ ბედავდა იმის შიშით, არიქა, რუსეთუმეობა არ დამწამონო

**ცნობილმა ამერიკელმა დიპლომატმა, ამჟამად ფლორიდის უნივერსიტეტის უფროსმა მკვლევარმა დევიდ კრამერმა რადიოსადგურ „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დღევანდელ ვითარებაში საქართველოს მხრიდან მოსკოვისთვის სანქციების დაწესების მოთხოვნას, შესაძლოა, შედეგი მოჰყვეს, რადგან, როგორც გამოცდილება აჩვენებს, „პუტინს მხოლოდ ძალის ენა ესმის“. მისი თქმით, მიდგომა, რომ კრემლთან პირდაპირი დიალოგითა და რიტორიკის შერბილებით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში არსებითი წარმატების მიღწევა შესაძლებელია, საფუძველს მოკლებულია, ამიტომ საქართველოს ხელისუფლება ორიენტირებული უნდა იყოს არა ზედმეტად ფრთხილ პოლიტიკაზე, რომელიც ხშირად კრემლისადმი ლოიალურობად აღიქმება, არამედ წინააღმდეგობის კიდევ უფრო გაძლიერებაზე.**

## «თუ მუდმივად თავდაცვის რეჟიმში იქნები, სულ დაგახურავენ თავზე ყველაფერს და მალე გახდები მამუკა ბახტაძე»

შეგახსენებთ: დევიდ კრამერი ერთადერთი დასავლელი გავლენიანი დიპლომატი არ არის, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას რუსეთისადმი პოლიტიკის გამკაცრებისკენ მოუწოდებს. მსგავს განცხადებებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და ცალკეული სენატორებიც ხშირად აკეთებენ. პარალელურად იგივე სუბიექტები უკვე ღიად და დაუფარავად საუბრობენ იმაზე, რომ „დემოკრატიულ“ დასავლეთში რუსეთთან დიალოგის გარეშე მშვიდობა ვერ იქნება. ამის მაგალითია საფრანგეთის პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონის** მიერ ცოტა ხნის წინათ დიპლომატებთან შეხვედრაზე გაკეთებული განცხადება, რომელიც მოსკოვთან აუცილებელი დიალოგის პარალელურად უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნას ეხებოდა; ამის დასტურია დონალდ ტრამპის შეფასებაც დიდი შვიდიანის ფორმატში რუსეთის დაბრუნების აუცილებლობაზე...

**რას ნიშნავს დასავლეთის მხრიდან საქართველოს წაქეზება კრემლთან ურთიერთობების გამწვავებაზე და რას მოიტანს რეალურად ეს ყველაფერი იმის გათვალისწინებით, რომ თვითონ დასავლეთი დიალოგსა და მოლაპარაკებებს ამჯობინებს ოფიციალურ მოსკოვთან, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ევრაზიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე.**

**— ბატონო გულბაათ, ბოლო პერიოდში დასავლელი დიპლომატები თუ პოლიტიკოსები ხშირად ამბობენ, რომ საქართველომ არ უნდა შეარბილოს რუსეთისადმი პოლიტიკა. მათი შეფასებით, პუტინს მხოლოდ ძალის ენა ესმის და მასზე ზემოქმედება უნდა გავაძლიეროთ, თუმცა თვითონ დასავლეთი კრემლთან დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს. რაზეა გათვლილი რეალურად ეს ყველაფერი? რატომ უნდა იყოს საქართველოს პოლიტიკა ხისტი და უხეში რუსეთისადმი, თუ დასავლეთი სათავისოდ სრულიად საპირისპიროს ამჯობინებს?**

— პირველ რიგში, აქ, ალბათ, ხაზი უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც, ვფიქრობ, ბევრ რამეზე მეტყველებს და მიანიშნებს — **ის განცხადებები, რომ რუსეთის მიმართ პოლიტიკის შერბილება არ შეიძლება, რადგან მას, თურმე, მხოლოდ ძალის ენა ესმის და ის განცხადებები, რომ სწორედ რუსეთთანაა დიალოგი აუცილებელი, ვინაიდან მასთან ნორმალური ურთიერთობის გარეშე დასავლეთში მშვიდობა ვერ იქნება, სრულიად სხვადასხვა დონეზე კეთდება.** პირველი გვესმის ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც მაინცდამაინც დიდი პოლიტიკური წონის მქონე ფიგურებს არ წარმოადგენენ; მეორე განცხადებებს კი უშუალოდ ლიდერები აკეთებენ.

**ტრამპსა** და **მაკრონს** რაც შეეხება, რომელთა პოზიციაც ის არის, რომ რუსეთი უნდა დაბრუნდეს დიდ რვიანში და მასთან დიალოგის პარალელურად ევროპამ უსაფრთხოების ახალი სისტემა შექმნას, მათ საქართველო საერთოდ არ ჰქონდათ მხედველობაში, იმიტომ, რომ საქართველო მათთვის დღის წესრიგში არ დგას. ახლა ვიღაცას თუ ჰგონია, რომ ჩვენი ტერიტორიული პრობლემები და კონფლიქტის ზონაში მიმდინარე პროცესები, იქნება ეს ჩორჩანასთან განვითარებული მოვლენები თუ სხვა, დღევანდელ დასავლეთს პირველ საკითხად აქვს ყველა ფორმატში, შეუძლია ამ ილუზიებში იცხოვროს, მაგრამ რეალობა ასეთია: ტრამპი და მაკრონი საჯაროდ აცხადებენ, რომ აუცილებელია დიალოგი რუსეთთან, ხოლო ისეთი დაბალი დონისა თუ რანგის სუბიექტები, როგორებიც არიან **ბრაიზა, კრამერი** და სხვები, გვაქეზებენ... ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: **საქართველო დასავლეთისთვის არის ერთგვარი სარეზერვო იარაღი და გაცვლითი მონეტა,** რომელსაც, სად როგორც დასჭირდებათ, ისე გამოიყენებენ. აი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს ის ხისტი მოწოდებები, რომლებიც ცალკეული დიპლომატებისგან გვესმის. სხვათა შორის, თავის დროზე **მიხეილ სააკაშვილის** ხელისუფლებაც ასეთმა წაქეზებებმა მიიყვანა იარაღის ჟღარუნის პოლიტიკამდე და მერე, რით დამთავრდა ეს ყველაფერი, ვნახეთ. ვიღაცამ მართლა დაიჯერა, რომ ნატო დაგვიცავდა; ვიღაცამ შეიძლება, არ დაიჯერა, მაგრამ მაინც აუბა მხარი შტერი თავების მიერ წამოწყებულ ავანტიურისტულ პოლიტიკას და მივიღეთ ომი. არ ვამბობ, რომ ახლაც ომის საფრთხის წინაშე ვდგავართ, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ის, რომ მსგავსი წაქეზებები დასავლელი, თუნდაც ყველაზე დაბალი რანგის, პოლიტიკოსებისა თუ დიპლომატების მხრიდან ჩვენთვის საზიანოა, ცხადია.

**— მსგავსი წაქეზებები მოქმედებს დღევანდელ ხელისუფლებაზე?**

— ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელი ხელისუფლება თავიდან ბოლომდე უგუნური და რეალობას აცდენილი ადამიანებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ, სამწუხაროდ, მმართველ გუნდშიც არიან გარკვეული სუბიექტები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, მეტად მნიშვნელოვანია ნატოსთვის. შეიძლება, ეს წლების წინათ იყო ახლოს რეალობასთან, როცა კოლექტიური დასავლეთი ერთიანი იყო, მათთან იყო თურქეთიც და მათი პოლიტიკა რუსეთის სამხედრო იზოლაციაში მდგომარეობდა, მაგრამ დღეს იმ ვითარებაში, როცა დასვლეთი დაიქსაქსა, შავი ზღვის აუზში რუსეთი და თურქეთი აწარმოებენ კოორდინირებულ პოლიტიკას და სირიის საკითხსაც სწორედ ერთმანეთთან შეთანხმებით აგვარებენ, საქართველო გეოგრაფიულად მოწყვეტილია დასავლურ სამყაროს. შესაბამისად, ის აღარ არის დასავლეთისთვის, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, საიმედო დასაყრდენი, რადგან ამ ვითარებაში ჩვენ უფრო ზრუნვის საგანი, მარტივად რომ ვთქვათ, უსარგებლო ტვირთი ვხდებით, ვიდრე, ვთქვათ, პლაცდარმად გამოსადეგი ტერიტორია.

ახლა გადავხედოთ სხვა მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკას, მაგალითად, სომხეთი ავიღოთ. მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინათ იქ ხელისუფლების სათავეში ლიბერალური ძალები მოვიდნენ **ფაშინიანის** ხელმძღვანელობით, მაინც იცავენ რაღაც ნორმას და წითელ ხაზებს არ გადადიან რუსეთთან ურთიერთობაში. მეტიც, ამას წინათ ნიკოლ ფაშინიანმა სოლიდარობა გამოუცხადა **ვლადიმერ პუტინს**, როდესაც ის სრულიად უსამართლოდ არ მიიწვიეს პოლონეთში მეორე მსოფლიო ომის დაწყების აღსანიშნავ ღონისძიებაზე... როდესაც რეგიონის ყველა ქვეყანა ერთმნიშვნელოვნად ცდილობს, გააღრმავოს რუსეთთან ურთიერთობა; როცა ჩვენი ყველაზე დიდი „ხსნა“ და „იმედი“ — „დემოკრატიული დასავლეთიც“ საუბრობს ოფიციალურ მოსკოვთან დიალოგის აუცილებლობაზე, ვინ უნდა იყოს ჩვენი მშველელი (ან რატომ გავიხადეთ თუ უნდა გავიხადოთ საქმე საშველად?)? რომელმა ძალებმა უნდა უზრუნველყონ ჩვენი უსაფრთხოება, თუ საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და მსოფლიო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე ამინდის შემქმნელი სხვა დიდი სახელმწიფოები უკვე დაუფარავად საუბრობენ რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკაზე? სამწუხაროდ, დღეს საქართველო ამოვარდნილია კონტექსტიდან და ჩარჩენილია 20 წლისწინანდელ პერიოდში.

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ უკეთესობისკენ შეიცვალოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა და მუდმივად დაძაბულობის რეჟიმში არ ვიყოთ?**

— პირველ რიგში, ხელისუფლება უნდა გამოვიდეს იმ მავნე პოლიტიკური კომპლექსიდან, რომ კრემლთან დიალოგი არ შეიძლება, ვინაიდან ის ოკუპანტია და ოკუპანტს როგორ უნდა ელაპარაკო. ეს ერთი. მეორე, რაც ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: ვერაფრით ვერ დავეთანხმები ბატონ **გიორგი გახარიას**, რომ თურმე **აბაშიძე-კარასინის** ფორმატი, ჟენევის ფორმატთან ერთად, სრულიად საკმარისია და სხვა რამ საჭირო არ არის. არ არის და მაშინ გაგრძელდება ეს ე.წ. ბორდერიზაცია, ეკონომიკური სანქციები და ა.შ. მივიღებთ ისევ დუხჭირ ცხოვრებას და ამაში ჩავლპებით საბოლოოდ. აი, ეს არის ჩვენი ერთადერთი პერსპექტივა, თუ, კიდევ ვიმეორებ, ახლო მომავალში სერიოზული გარღვევა არ მოხდება. ამას გულისტკივილით ვამბობ და ბატონი გახარია შემთხვევით არ მიხსენებია. ის საკმაოდ ჭკვიანი ადამიანია და შეუძლებელია, არ ესმოდეს, რომ დღევანდელ ვითარებაში რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება ჰაერივით სჭირდება საქართველოს. როგორ და რანაირად, ვთქვი და გავიმეორებ: **უნდა დამთავრდეს დრო, როცა პრემიერი სიტყვა რუსეთის ხსენებასაც ვერ ბედავდა იმის შიშით, არიქა, რუსეთუმეობა არ დამწამონო.** თუ მუდმივად თავდაცვის რეჟიმში იქნები, სულ დაგახურავენ თავზე ყველაფერს და მალე გახდები **მამუკა ბახტაძე.** ეს შემიძლია ვთქვა პირდაპირ. მე, როგორც კეთილისმოსურნე, ისე ვაკრიტიკებ და შევუძახებ აქედან, თორემ კაცი ჯერ მოსული არ არის თანამდებობაზე და უკვე ვატყობ ძალიან ცუდ ტენდენციას, რომ, როგორც თავის დროზე **ბიძინა ივანიშვილი** იყო გარემოცული ყალბი ქათინაურების მომღერალი მლიქვნელებით, ზუსტად ასეა გიორგი გახარიაც. არ უნდა ეს ამ ადამიანს. თუ არის პოლიტიკოსი — ამას გაიგებს, თუ არ არის — დაამთავრებს ძალიან ცუდად...

**— თუმცა გარკვეული კომპლექსები, რომ რუსეთუმეობა არ დასწამონ, ალბათ, ახალ პრემიერსაც ექნება...**

— გახარია არ არის ვიღაც კლერკი, კაცს ლომონოსოვის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტია. რაც შეეხება შიშს, რომ რუსეთუმეობა არ დასწამონ, რუსეთუმეს იარლიყებს ვინც არიგებს, ვიცით. ამას აკეთებს „ლიბერასტული“ პროპაგანდა და ამ პროპაგანდის უკან მდგომი მარგინალების ნამდვილად არ უნდა ეშინოდეს პრემიერს. გადადგას ნაბიჯი და, ვინ წავა მის წინააღმდეგ, ყველა ვნახავთ; ისინი იქნებიან ნარკობარიგებისა და ლგბტ-თა ერთი მუჭა აქტივი. დანარჩენი, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, მხოლოდ მიესალმება, თუ დაინახავს, რომ რეალური ძვრები დაიწყო და რუსეთთან ურთიერთობა გვარდება. აი, ეს არის ჩვენი დღევანდელი მოცემულობა, რომელსაც ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი პოლიტიკური ნება და ამ პოლიტიკის რეალურად განხორციელება სჭირდება.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## «როდესაც რეგიონის ყველა ქვეყანა ერთმნიშვნელოვნად ცდილობს, გააღრმავოს რუსეთთან ურთიერთობა, როცა ჩვენი ყველაზე დიდი «ხსნა» და «იმედი» — «დემოკრატიული დასავლეთიც» საუბრობს ოფიციალურ მოსკოვთან დიალოგის აუცილებლობაზე, ვინ უნდა იყოს ჩვენი მშველელი? რომელმა ძალებმა უნდა უზრუნველყონ ჩვენი უსაფრთხოება, თუ საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და მსოფლიო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე ამინდის შემქმნელი სხვა დიდი სახელმწიფოები უკვე დაუფარავად საუბრობენ გადატვირთვის პოლიტიკაზე? სამწუხაროდ, დღეს საქართველო ამოვარდნილია კონტექსტიდან და ჩარჩენილია 20 წლისწინანდელ პერიოდში»

## ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აშშ-ის ელჩის არდანიშვნა მართლაც მოასწავებდა თუ არა ივანიშვილის ხელისუფლების დამხობას, ან მისი დანიშვნა მართლაც მოასწავებს თუ არა იმევეს, ეს ერთი საკითხია; მეორე და აშკარა თემა არის ის, რომ საქართველოს როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია სწორედ ასე „ბრუტალურად“ აღიქვამს აშშ-ის ელჩსა და საელჩოს და ყოველივე ამას ღიად, საჯაროდ, ხმამაღლა გამოხატავს — რომ ამერიკის ელჩზეა დამოკიდებული (გინდ — დადებითად და გინდ — უარყოფითად) საქართველოს ხელისუფლების ყოფნა-არყოფნა (დამოუკიდებლობაც ამას ჰქვია, არა?)!**

**როდესაც „ბედნიერ ქართველ ერს“ ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო ადმინისტრაციამ საქართველოში აშშ-ის ელჩის დანიშვნის, უფრო ზუსტად კი, მისი კანდიდატურის დასახელების შესახებ აუწყა. რატომღაც რომელიღაც ძალიან ძველ იუმორისტულ ჟურნალში ამოკითხული ასეთი მინი იუმორესკა გამახსენდა.**

# ელჩი მიდის, ელჩი მოდის... ნატო მაინც არ შემოდის!

ამ იუმორესკაში პოეტობის მოწადინე ერთი უნიჭო ტიპი სხვა ნიჭიერ პოეტს უთვალთვალებდა, — ნეტავ, ასეთ კარგ ლექსებს როგორ წერსო?! რამდენჯერმე დაინახა, რომ ის შემაღლებულ ადგილზე ავიდა, იქიდან მიდამოს მოავლო თვალი, შემდეგ კი ჩამოვიდა და წიგნაკში ლექსი ჩაიწერა. „აჰა, ესე იგი, მაღლიდან უყურებს გარემოს და, რასაც ხედავს, იმას წერს ლექსადო“, — გაიფიქრა უნიჭომ და მომდევნო საღამოს თვითონაც ასე მოიქცა. ავიდა მაღლობზე და იქიდან დაიწყო ცქერა. დაინახა, რომ ეტლი მიდის, და ჩაიწერა. მერე დაინახა, რომ ეტლი მოდის, ესეც ჩაიწერა. მთელი დღე უყურა, როგორ მიდი-მოდიოდა ეტლები და ბოლოს გამწარებულმა ჩაწერა უბის წიგნაკში: „ეტლი მიდის, ეტლი მოდის, ეტლი მიდის, ეტლი მოდის... მე ამისი დედაც მოვ..ან ლექსი მაინც არ გამოდის!“

აი, ასეა ჩვენი, ანუ ქართველი საზოგადოების საქმეც. იმ უნიჭო ტიპივით ვუმზერთ, **აგერ უკვე 30 წელიწადია, როგორ მიდი-მოდიან ჩვენს ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩები და ყოველი მათი წასვლა-მოსვლა ისე გვიხარია, როგორც ზაფხულზე ეზოში მოთამაშე ბავშვებს მენაყინე ბიძიას დანახვა და მისი შეძახილის — „აბა, კარგი ესკიმო შოკოლადნი მაროჟნიიიი“ — გაგონება გვიხაროდა იმ „ბნელ“ საბჭოთა პერიოდში.**

ჰოდა, ამ დღეებში კიდევ ერთხელ შემოგვესმა „თეთრი სახლიდან“ მორიგი შეძახილი: „აბა, ახალთახალი ესკიმო-შოკოლადნი ელჩი“ და ავტეხეთ კიდეც სიხარულის ჭყლოპინი.

მთავარი კი ის არის, რომ ზოგს სხვა კუთხით გაუხარდა ამერიკის ელჩის დანიშვნა, ზოგს კი — პირველთაგან რადიკალურად განსხვავებული მიზეზით. „ქართული ოცნების“ წევრებმა და აქტივისტებმა განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ამით უკვე საჯაროდ გამოხატა საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ ნდობა და მხარდაჭერა, ხოლო ელჩის დანიშვნა ნიშნავს, რომ საქართველო მალე ნატოს წევრიც გახდება.

**ოპოზიციის მხარეს მყოფნი კი თავგადადებით ამტკიცებენ, რომ აშშ-ის მთავრობის მიერ ელჩობის კანდიდატის დასახელება უპირობოდ ნიშნავს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების „დასასრულს“ და ასეთ პირობებში ნატოს კონტიგენტი საქართველოში არ შემოვა.**

ყველაზე საინტერესო კი მაინც ის არის, რომ **ეს ზუსტად იგივე ხალხია, რომელიც აქამდე მთელი სერიოზულობით გვიმტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოში ელჩის არდანიშვნა მოასწავებდა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების დასასრულს და ნატოს საქართველოში არშემოსვლას.**

დიახ, დიახ! არაფერიც არ მეშლება!

ეს ნამდვილად ასეა — ამერიკის შეერთებული შტატები ამდენ ხანს საქართველოში ელჩს რომ არ ნიშნავს, ეს არაფერს გეუბნებათ? — ბრძნული სახით აცხადებდნენ ქართველი ძაან ექსპერტები, ძაან ჟურნალისტები და ძაან პოლიტიკოსები და იქვე დასკვნასაც დებდნენ: ელჩის ამდენი ხანი არდანიშვნა პირდაპირი სიგნალია იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია მხარს აღარ უჭერს საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას. ეს კი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ სულ მალე ივანიშვილის ოლიგარქიული რეჟიმი საქართველოში დასრულდებაო.

ჰოი, საოცრებავ! და, **მას შემდეგ, რაც გაცხადდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ საქართველოში დასანიშნი ელჩის კანდიდატურა ოფიციალურად წარადგინა, ზუსტად იგივე ძაან ექსპერტები, ძაან ჟურნალისტები და ძაან პოლიტიკოსები ზუსტად ისეთივე ბრძნული სახეებით გვეკითხებიან: ნუთუ არაფერს გეუბნებათ ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე დაასახელა საქართველში ელჩის ვინაობა? დიახ, ელჩის დანიშვნით ამერიკა პირდაპირ მიუთითებს, რომ იგი უკმაყოფილოა საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებით და ივანიშვილის ოლიგარქიული მმართველობა სულ მალე დასრულდებაო.**

ესე იგი — თუ ამერიკა ელჩს არ ნიშნავს, ეს ივანიშვილის დასასრულია; ხოლო, თუ ნიშნავს, მაინც ივანიშვილის დასასრულია.

აი, სწორედ ამ ზეუცნაური „ლოგიკის“ გამო არც კი ვასახელებთ იმ ადამიანის სახელსა და გვარს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საქართველოში ელჩად შეარჩია. ჯერ ერთი, ამას ინტერნეტით უჩვენოდაც კარგად ნახავს დაინტერესებული ადამიანი; და მეორე და მთავარი — სახელსა და გვარს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. აქ უმთავრესი მისი წოდებაა: „ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების გამომხატველი და დამცველი ელჩი“. ჯონი ერქმევა მას, მაიკლი თუ სილვია, სულერთია.

ფაქტი და უბედურება არის ის, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი ამხელა მნიშვნელობას ანიჭებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და მის ელჩს საქართველოში. არა, **ნებისმიერი ძლიერი და განვითარებული ქვეყნის საელჩოსა და პირადად ელჩის მუშაობა ჩვენს ქვეყანაში უმნიშვნელო ფაქტორი რომ არ არის, ეს უდავოა, მაგრამ ასეთი გადაჭარბებული მნიშვნელობის მიცემა, უკვე ჩვენი სახელმწიფოსა და ამ ქვეყნის, როგორც ოფიციოზის, ასევე ოპოზიციის საცოდაობასა და, ბოდიში და, „ფარჩაკობაზე“ მიუთითებს.**



**ბევრი რამ შეიძლება იყოს დამოკიდებული უცხო ქვეყნის საელჩოებსა და ელჩებზე ამა თუ იმ ქვეყანაში: საგარეო-პოლიტიკური მიმართულებები, კონკრეტული ტრანშებისა თუ გრანტების შემოდინება და ა.შ., მაგრამ ქვეყნის როგორც მთავრობა, ასევე ოპოზიცია პირდაპირ და დაუფარავად რომ აკავშირებდეს რომელიმე ქვეყნის ელჩის დანიშვნა-არდანიშვნას იმასთან, «დაერხევა» თუ არა ამ ქვეყნის ხელისუფლებას, ეს უკვე მართლაც მეტისმეტია**

ბევრი რამ შეიძლება იყოს დამოკიდებული უცხო ქვეყნის საელჩოებსა და ელჩებზე ამა თუ იმ ქვეყანაში: საგარეო-პოლიტიკური მიმართულებები, კონკრეტული ტრანშებისა თუ გრანტების შემოდინება და ა.შ., მაგრამ ქვეყნის როგორც მთავრობა, ასევე ოპოზიცია პირდაპირ და დაუფარავად რომ აკავშირებდნენ რომელიმე ქვეყნის ელჩის დანიშვნა-არდანიშვნას იმასთან, „დაერხევა“ თუ არა ამ ქვეყნის ხელისუფლებას, ეს უკვე მართლაც მეტისმეტია.

არადა, აშშ-ის ელჩის არდანიშვნა მართლაც მოასწავებდა თუ არა ივანიშვილის ხელისუფლების დამხობას, ან მისი დანიშვნა მართლაც მოასწავებს თუ არა იმევეს, ეს ერთი საკითხია; მეორე და აშკარა თემა არის ის, რომ საქართველოს როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია სწორედ ასე „ბრუტალურად“ აღიქვამენ აშშ-ის ელჩსა და საელჩოს და ყოველივე ამას ღიად, საჯაროდ, ხმამაღლა გამოხატავენ — რომ ამერიკის ელჩზეა დამოკიდებული (გინდ — დადებითად და გინდ— უარყოფითად) საქართველოს ხელისუფლების ყოფნა-არყოფნა (დამოუკიდებლობაც ამას ჰქვია, არა?)!

მეტიც — **გიორგი ვაშაძე**, მაგალითად, უფრო შორს წავიდა და ამერიკის ელჩის მოსალოდნელი დანიშვნა საქართველოში ასე შეაფასა: „ძალიან კარგია! ჩვენ, როგორც იქნა, ველირსებით ამერიკის შეერთებული შტატების აქტიურ საელჩოს საქართველოში. აქამდე, თითქმის ერთი წლის განმავლობაში, ამერიკის საელჩო ამ ქვეყანაში არ იყო აქტიური და ამიტომაც მივიღეთ ოლიგარქიული რეჟიმის გაძლიერება და ბიძინა ივანიშვილის გათავხედება“.

აბა, როგორ მოგწონთ ტერმინი **„აქტიური საელჩო“?**

**ყველამ ძალიან კარგად იცის, რასაც ნიშნავს «გააქტიურებული ამერიკის საელჩო» ამა თუ იმ ქვეყანაში, მაგრამ ქვეყნის როგორც მმართველ ძალას, ასევე ოპოზიციას საჯაროდ ელიარებინოს, — ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნა-არყოფნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოზეა დამოკიდებულიო, ასეთი პრეცედენტი, მგონი, პირველად სწორედ საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლებმა შექმნეს**

ნეტავ, რომელია ეს „აქტიური საელჩო“, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა გემოსა თუ სხვადასხვა ყვავილების სახელობის რევოლუციებს რომ აწყობს?

დიახ, **მსოფლიოში აქტიურად „მოძრაობს“ ასეთი ანეკდოტი:**

**— დაასახელეთ ქვეყანა, რომელშიც არასოდეს არ მოხდება არანაირი რევოლუცია!**

**— ასეთი ქვეყანაა ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან იქ არ არსებობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო!**

ფაქტობრივად, ყველამ ძალიან კარგად იცის, რასაც ნიშნავს „გააქტიურებული ამერიკის საელჩო“ ამა თუ იმ ქვეყანაში, მაგრამ ქვეყნის როგორც მმართველ ძალას, ასევე ოპოზიციას საჯაროდ ელიარებინოს, — ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნა-არყოფნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოზეა დამოკიდებულიო, ასეთი პრეცედენტი, მგონი, პირველად სწორედ საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლებმა შექმნეს.

აქვე აუცილებლად სათქმელია, რომ **ნამდვილად არ მახსოვს ამ დონის მონური დამოკიდებულება „პატრონი ქვეყნისადმი“ საბჭოთა კავშირის პირობებშიც კი.**

ასე მლიქვნელურად და ასე თავმოყვარეობაზე დაბიჯებით საქართველოს კომუნისტური პარტიის სახელმწიფო მოხელეებიც კი არ ეგებოდნენ ფიანდაზად სსრკ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

საბოლოოდ რა მოხდება და რა შედეგს მოიტანს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის დამტკიცება და შემდეგ უკვე ჩამოსვლა საქართველოში, ამას მომავალი დაგვანახვებს.

ბიძინას ხელისუფლებას „დაერხევა“ თუ პირიქით — უფრო მოძლიერდება, ნამდვილად საკითხავია და კიდევ ბევრი სხვა საშინაო თუ საგარეო თემაც დეტალურად გასავლელი და დასალაგებელია.

თუმცა, რაც დროს გადის, საქართველოს ყველა ნორმალურად მოაზროვნე მოქალაქე უფრო და უფრო რწმუნდება, რომ ფასეულობები, რომელთა გამოც 30 წლის წინათ ჩვენი თაობა (განსაკუთრებით, ჩვენზე ცოტა უფროსი თაობა) რუსთაველის პროსპექტზე შეუდრეკლად იდგა და ქართველი ახალგაზრდების სისხლიც კი დაიღვარა 1989 წლის 9 აპრილს, ანუ სრული ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისუფლება და თვითგამორკვევა მხოლოდ ერთი დიდი სახელმწიფოს მიერ მეორე დიდი სახელწიფოს დასაშლელად, მისთვის ძირის გამოსათხრელად მოგონილი ფანდი იყო და სხვა არაფერი.

„საქართველოს მტრებმა უკვე მოახერხეს ის, რომ შუბლით დაგვაჯახეს რუსეთს, ომიც გადაგვატანინეს და ტერიტორიების ერთი მესამედიც დაგვაკარგვინეს; ასე რომ, ცხადია, ამის განმეორება არავის არ სურს. არავის არ უნდა, მუდმივ კონფრონტაციაში ყოფნა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და უძლიერეს ზესახელმწიფოსთან, რომელთანაც ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობის გარეშე თვით „დემოკრატიულ, ლიბერალურ“ დასავლეთსაც ვერ წარმოუდგენია დღეს მშვიდობა“.

პოლიტიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# მალე შეიძლება ეს მავნებლური დეკლარირებული პოლიტიკა დამოკლეს მახვილივით დაეკიდოს საქართველოს თავზე

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა 5 სექტემბერს პარლამენტში ოთხი კომიტეტის გაერთიანებულ ხდომაზე კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარება შეაფასა და განაცხადა, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლიდან დღემდე როგორც აფხაზებთან, ისე ოსებთან დიალოგის არხები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მისი შეფასებით, ეს წარმატება მმართველი გუნდის სწორი და თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგია, რაც, ერთი მხრივ, თურმე ხელისუფლების ადეკვატურ მიდგომებზე მეტყველებს, მეორე მხრივ კი, დასავლელი პარტნიორების მუდმივი და ურყევი მხარდაჭერის ეფექტიანობას ადასტურებს. მისივე განმარტებით, ოკუპაციისა და იზოლირების პოლიტიკა, რომლითაც რუსეთი ცდილობს, აფხაზეთი და სამაჩაბლო სამყაროს მოსწყვიტოს, გრძელვადიან მომავალში შედეგიანი ვერ იქნება და აბსურდამდე მივა, რადგან შეუძლებელია, მავთულხლართებით შეაკავო ადამიანები, როცა ისინი ბარიერს მიღმა პროგრესსა და უფრო კარგი მომავლის პერსპექტივას ხედავენ. აღნიშნულ გამოსვლაში ციხელაშვილს არ განუმარტავს, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ხელისუფლების პოლიტიკის თანმიმდევრულობა ან რაში მდგომარეობს პროგრესი და უკეთესი მომავლის პერსპექტივა, რომელმაც აფხაზებსა და ოსებს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების სურვილი შეიძლება გაუჩინოს...**
**რა ეტაპზეა დღეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები, სწორ პოლიტიკას თუ ატარებს ამ მიმართულებით ხელისუფლება და რა ცვლილებებს შეიძლება ველოდოთ — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

## «საუბარი იმაზე, რომ საქართველოს ადგილი არის ევროკავშირში, უნდა დამთავრდეს, რადგან ეს ფუჭი, უნაყოფო საუბარია»

**— ბატონო დიმიტრი, სახელმწიფო მინისტრ ქეთევან ციხელაშვილის განცხადებას თუ დავუჯერებთ, აფხაზებსა და ოსებთან დღეს, როგორც არასდროს, გაზრდილია დიალოგის არხები. და ეს ყველაფერი ხელისუფლების თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკის შედეგი ყოფილა; რაც მთავარია, დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით... რას ფიქრობთ ამ განცხადებაზე, ახლოსაა ის რეალობასთან?**

— პირველ რიგში, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო და დავადასტურო ჩემი ღრმა პატივისცემა ქალბატონი ქეთევანისადმი, როგორც ნიჭიერი ადამიანის მიმართ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა არხებს გულისხმობს და რა წარმატებული ნაბიჯები აქვს მხედველობაში, ჩემთვის გაუგებარია. მე ვარ სახალხო დიპლომატიის განვითარების ქართულ-ოსური ცენტრის დირექტორი და უკვე მეორე წელია, მიწევს კავკასიურ დიალოგში მონაწილეობა, რომელიც ამჯერად ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკშია დაგეგმილი, თუმცა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ არსად, არც ერთ შეხვედრაზე არ მსმენია მსგავსი რამ. შარშან, მაგალითად, აფხაზურ მხარეს **ინალ ხაშიდი** წარმოადგენდა ამ დიალოგში, ოსურს — **კოსტა ძუგაევი.** ორივესთან მქონდა კომუნიკაცია და არც ერთ მათგანს არ უთქვამს, რომ რაღაც წინსვლა და წარმატებაა მოლაპარაკებებში.

რაც შეეხება ტრანსფორმაციას, რომელიც მიმდინარეობს რეგიონში და უკვე ყველა თანხმდება იმაზე, რომ ეს პროცესი ფუნდამენტურად ცვლის პოლიტიკურ ატმოსფეროს, ვფიქრობ, **საბჭოთა კავშირის დაშლიდან 30 წლის შემდეგ აშკარაა, რომ საქართველო სრულიად ამოვარდნილია ჯერ გლობალური და შემდეგ, რა თქმა უნდა, რეგიონული პოლიტიკის კონიუნქტურიდან, რაც ქმნის იმის საფრთხეს, რომ ქვეყანამ მალე შეიძლება საერთოდ დაკარგოს სახელმწიფოებრიობის ნიშნები.** ეს ერთი. მეორე — ყველა თანხმდება იმაზე, რომ მსოფლიო აღარ არის ერთპოლუსიანი და მას უკვე, სულ მცირე, სამი ცენტრი გააჩნია — ნატო-ევროკავშირი, ჩინეთი და დიდი ევრაზიული კავშირი. აი, ამ გლობალურ მოცემულობაზე ცდილობს ყველა საკუთარი სტრატეგიული ინტერესების მორგებას...

**— საქართველოს გარდა...**

— საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში და არა მხოლოდ ამ სივრცეში, რომელიც მიდის სწორხაზოვნად — აქვს ისეთი პოლიტიკა, ისეთი მიდგომები და მართვის პრინციპები, რომ გეგონება, ის, რაც გარშემო ხდება, ვთქვათ, ირანის საკითხი, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები, სირიის თემა და ა.შ., საერთოდ არ ეხება... **როცა ქვეყანა იმყოფება ცივილიზაციათა ინტერესების გადაკვეთის მეტად სახიფათო გზაჯვარედინზე, როცა რეგიონში არის სამი უდიდესი და უძლიერესი მოთამაშე — რუსეთი, ირანი, თურქეთი, გამუდმებულმა არასწორმა და ხშირად მიზანმიმართულად არასწორმა პოლიტიკურმა პოზიციამ, რომელიც, როგორც წესი, მაამებლობიდან მოდის, შესაძლოა, მიწასთან გაგვასწოროს.** ამიტომაა დღეს ჩემთვის ღალატის ტოლფასი იმაზე საუბარი, რომ ნატო-ევროკავშირი არის ჩვენი ერთადერთი გამოსავალი. მალე ისეთი დრო შეიძლება დადგეს, რომ ეს მავნებლური დეკლარირებული პოლიტიკა დამოკლეს მახვილივით დაეკიდოს საქართველოს თავზე, თუმცა, სამწუხაროდ, როგორც ხდება ხოლმე, ეს საფრთხე რომელიმე პოლიტიკურ ძალას კი არ დაემუქრება, არამედ სახელმწიფოს. ხალხის კისერზე და მხრებზე გადაივლის ყველა ის უბედურება, რომლებიც ომს მოჰყვება — ტერიტორიების დაკარგვა, ეკონომიკური ემბარგოები და ა.შ. პოლიტიკოსები კი წავლენ და გაქრებიან მსოფლიოს ყველაზე მშვიდობიან და განვითარებულ ქვეყნებში...

**— ეს რომ არ მოხდეს, რა ცვლილებებია სახელმწიფო პოლიტიკაში საჭირო?**

— კიდევ ვიმეორებ: **საუბარი იმაზე, რომ საქართველოს ადგილი არის ევროკავშირში, უნდა დამთავრდეს, რადგან ეს ფუჭი, უნაყოფო საუბარია.** ევროინტეგრაციის პროცესი დღეს, ფაქტობრივად, შეჩერებულია და იმ პირობებში, როცა უკვე ევროპელი ლიდერებიც დაუფარავად გვეუბნებიან, რომ ევროკავშირსა და ნატოში არ მიგვიღებენ, ვფიქრობ, გამოსავალი ერთადერთია — საქართველომ უნდა განახორციელოს ძირეული ცვლილებები და ფუნდამენტური გადატვირთვა მსოფლიო გეოპოლიტიკური ცენტრების ინტერესებს შორის სასარგებლო ფუნქციის მიღების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, **პროცესი, რომელიც რეგიონში მიდის, გაგრძელდება, თანაც ისე, რომ ამ პროცესების კონიუნქტურაში საქართველოს როლი, მისი ადგილი და ფუნქცია საერთოდ არ იქნება. ასე შეიძლება ივაჭრონ დიდმა სახელმწოფოებმა ჩვენი ბედით — გადაინაწილონ ტერიტორიები, გაგვყონ გავლენის სფეროებად და ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე მიიღონ ყველაფერი.** სხვათა შორის, მოგვწონს თუ არა, სხვა ყველაფერთან ერთად თვალი უნდა გავუსწოროთ იმასაც, რომ დღითიდღე ძლიერდება დიდი ევრაზიული კავშირი. ვერ ავუვლით გვერდს ამას და ვერ შევცვლით რეალობას იმის ძახილით, რომ საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, აქვს არჩევანის უფლება. ჯერ ერთი, **სად არის სუვერენიტეტი და არჩევანის უფლება, როცა ქვეყანას პრაქტიკულად ამერიკის საელჩო მართავს, და მეორე — თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე დიდი და მძლავრი სახელმწიფოებიც კი არ არიან არჩევანში ბოლომდე თავისუფალი, ხშირად ისინიც კი იძულებულნი ხდებიან, თავიანთი ინტერესები საერთაშორისო გეოპოლიტიკური დღის წესრიგის პრინციპებს მოარგონ. ეს შეიძლება სერიოზულ კომპრომისებშიც გამოიხატებოდეს, ნაწილობრივ თავიანთი სტრატეგიული ამოცანების შეცვლაშიც და ა.შ.** აი, ამგვარი ლავირებით ცდილობს ყველა ნორმალური ქვეყნის საღად მოაზროვნე ხელისუფლება მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას, რაც, კიდევ ვიმეორებ, დაბალანსებული პოლიტიკის გარეშე თეორიულადაც შეუძლებელია.

**— დავუბრუნდეთ ისევ ქეთევან ციხელაშვილის განცხადებას. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მსგავსი განცხადებები, თუ ის რეალობას არ შეესაბამება და სინამდვილეში სულ სხვა მოცემულობა გვაქვს?**

— ჩემი აზრით, როდესაც გვესმის საფუძველს მოკლებული რიტორიკა იმის თაობაზე, რომ რაღაც მიმართულებით არის პროგრესი, რომელსაც რატომღაც ვერავინ ხედავს, ეს პიარზე გათვლილი დემაგოგიის შთაბეჭდილებას ტოვებს. სხვათა შორის, **მსგავსი რიტორიკა ყოველთვის მახსენებს ივანიშვილის ცნობილ კომიკურ განცხადებას, რომ თურმე საზოგადოება უნდა დაბრუნდეს რეალობაში, რადგან რეალობა არ არის ისეთი მძიმე, როგორიც არის აღქმა და განცდა...** სანამ არ იქნება ძირეული ცვლილებები, უწინარესად, საგარეო-პოლიტიკური კურსის მიმართულებით, სანამ ორიენტირები არ იქნება მორგებული რეალობას და არ დამყარდება ნორმალური ურთიერთობა რუსეთთან, ვერანაირი დემაგოგია ვერ შექმნის განცდას, რომ დღეს უფრო ახლოს ვართ აფხაზებსა და ოსებთან, ვიდრე ოდესმე ვიყავით. პირიქით — ეს დემაგოგია გაამძაფრებს საზოგადოებაში არსებულ ნიჰილიზმსა და უნდობლობას ხელისუფლებისადმი.

**— რუსეთთან დიალოგის აუცილებლობა ახსენეთ. ჩვენი საზოგადოება, უკვე წლებია, პრაქტიკულად 24-საათიან რეჟიმში იკვებება იმ მავნე „ლიბერალური“ პროპაგანდით, რომ ვინც მოსკოვში ჩავა და კრემლის მესვეურებს შეხვდება, პუტინის აგენტია. როგორ ფიქრობთ, ამ პროპაგანდით დამუშავებული საზოგადოება მიიღებს დღეს ისეთ ძალას, რომლის მთავარი გზავნილიც სწორედ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება იქნება?**

— ნებისმიერი პროპაგანდისა და დემაგოგიის მიუხედავად, ყველა სტატისტიკური კვლევა, მათ შორის, თვით „ლიბერალების“ მიერ ჩატარებულიც, ადასტურებს, რომ ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მომხრეა რუსეთთან დიალოგის. ახლა ბევრი ამას იმით „ხსნის“, რომ თურმე საქართველოში რუსული პროპაგანდა მძლავრობს, მაგრამ ხომ გაგიგონიათ გამოთქმა: მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო? სინამდვილეში მიზეზი ამ ყველაფრის (პირველ რიგში, განწყობებს ვგულისხმობ) არის ის, რომ რიგითი მოქალაქეები ყოველთვის ყველაზე მეტად გრძნობენ ამა თუ იმ პოლიტიკის ავსა და კარგს. იმიტომ, რომ, როდესაც პოლიტიკოსი შეცდომას უშვებს ან მიზანმიმართულად ახორციელებს სახელმწიფოსთვის საზიანო ქმედებებს, პირველ რიგში, ზარალდება გლეხი. ასე იყო მაშინაც, როცა სააკაშვილის უგუნური პოლიტიკის შედეგად რუსეთმა ეკონომიკური ემბარგო დაგვიწესა და ასე იყო მერეც... აი, ამიტომ არის რთული დღეს საზოგადოების მოწამლვა იმით, რომ რუსეთი არ გვჭირდება და, ვინც მოსკოვში ჩავა კრემლის მესვეურებთან მოსალაპარაკებლად, საქართველოს მტერია. **საქართველოს მტრებმა უკვე მოახერხეს ის, რომ შუბლით დაგვაჯახეს რუსეთს, ომიც გადაგვატანინეს და ტერიტორიების ერთი მესამედიც დაგვაკარგვინეს. ასე რომ, ცხადია, ამის განმეორება არავის არ სურს; არავის უნდა, მუდმივ კონფრონტაციაში ყოფნა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და უძლიერეს ზესახელმწიფოსთან, რომელთანაც ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობის გარეშე თვით „დემოკრატიულ, ლიბერალურ“ დასავლეთსაც ვერ წარმოუდგენია დღეს მშვიდობა.**

«ჯერ ერთი, სად არის სუვერენიტეტი და არჩევანის უფლება, როცა ქვეყანას პრაქტიკულად ამერიკის საელჩო მართავს, და მეორე — თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე დიდი და მძლავრი სახელმწიფოებიც კი არ არიან არჩევანში ბოლომდე თავისუფალი, ხშირად ისინიც კი იძულებულნი ხდებიან, თავიანთი ინტერესები საერთაშორისო გეოპოლიტიკური დღის წესრიგის პრინციპებს მოარგონ. ეს შეიძლება სერიოზულ კომპრომისებშიც გამოიხატებოდეს, ნაწილობრივ თავიანთი სტრატეგიული ამოცანების შეცვლაშიც და ა.შ.»

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

ტურისტული სეზონი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოს გასაგონად ვიყვიროთ, რომ ტურიზმი გადაგვარჩენს, დავპატიჟოთ ყველა საქართველოში, სადაც კატასტროფული ფასებია და რიგითი მოკვდავები ვერ ისვენებენ. მერე, როცა დასკვნას დადებენ, რომ ეკოტურიზმის მიმართულებით 94-ე ადგილზე ვართ 107 ქვეყანას შორის, თავი ქვიშაში ჩავმალოთ, ვითომ არ გაგვიგონია. ცხოვრებაა ასეთი — ქვიშაში თავის ჩამალვა ქართულ რეალობაში აშკარად ამართლებს.**

# ტურიზმის მიმართულებით საქართველო მაჩანჩალებს შორისაა

## ეკოტურიზმის მხრივ საქართველო 107 ქვეყანას შორის 94-ე ადგილზეა

**ზაფხული გავიდა და იმის მიუხედავად, რომ ლამის მთელი საქართველო იყო ჩაბმული აქციაში „გაატარე ზაფხული საქართველოში", რეალურად არაფერი გამოვიდა. არ გამოვიდა იმიტომ, რომ მარტივად აგვიხსნეს: არ ხდება ტურისტების ჩანაცვლება, ხდება მხოლოდ სეგმენტის გაზრდა და, შესაბამისად, საქართველოდან გაძევებული რუსი ტურისტები სხვა ქვეყნის მოქალაქეებით ვერ ჩავანაცვლეთ. ეს იმის მიუხედავად, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან რამდენიმე ჩარტერული რეისიც კი დააფინანსა ხელისუფლებამ და უფასოდ ჩამოიყვანა ესტონელი, ლატვიელი თუ ლიეტუველი ტურისტები. ვერც საქართველოს საელჩოებმა გამოიწვიეს ბუმი და უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ტურისტული სეზონი ჩავარდა. და მაინც, რატომ ვერ მოვხიბლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეები და რატომ ვერ დავაჯერეთ, რომ საქართველოში ზაფხულის გატარება მათთვის შვებულების საუკეთესო დაგეგმვა იყო? ის, რომ ამერიკიდან აქ დასასვენებლად ათასობით ადამიანი არ დაიძვრებოდა, ისედაც ცხადი იყო. რაც შეეხება ევროპას...**



ტურისტები საქართველოში

Global Wildlife Travel Index-ის სპეციალისტებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის მიზანიც ეკოტურიზმის მხრივ მსოფლიოს საუკეთესო ქვეყნების გამოვლენა იყო. სარეიტინგო სიაში 107 ქვეყანა მოხვდა, რადგან დანარჩენ ქვეყნებში, უბრალოდ, ომი ან არეულობაა და იქ ჩასვლისგან თავის შეკავებას ისედაც ყველას ურჩევენ. მაგალითად, კვლევაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას სირია, ლიბია, ჩადი და ა.შ. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ეკოტურიზმის მიმართულებით საუკეთესო ქვეყნების ათეული ასე გამოიყურება: **ფინეთი, შვედეთი, ბრაზილია, კანადა, აშშ, ნორვეგია, ესპანეთი, გერმანია, პოლონეთი და სლოვენია.** შესაძლოა, ბევრი ელოდა, რომ ათეულში საქართველოც მოხვდებოდა, მაგრამ, ათეულში კი არა, ჩვენი ქვეყანა არც ოცეულშია, არც ოცდაათეულში და საერთოდ, ასეულში ძლივს მოხვდა. დიახ, 107-ქვეყნიან სიაში საქართველო 94-ე ადგილზეა. შესადარებლად გეტყვით, რომ ჩვენი მეზობელი **სომხეთი** 83-ე ადგილზეა, ეს იმის მიუხედავად, რომ იქ ატომური ელექტროსადგური არსებობს და, წესით, დაბინძურების დონე დიდი უნდა იყოს.

სისუფთავის გარდა, მკვლევარებმა აქცენტი შემდეგ მიმართულებებზე გააკეთეს: ექსპერტების აზრით, არა მხოლოდ ფლორისა და ფაუნის უზარმაზარი სახეობაა ღსარიცხავი, არამედ ულამაზესი პეიზაჟები, ასევე ეროვნული პარკები და დიდ ტერიტორიაზე გამწვანებული ზოლები. აი, გამწვანებული ზოლები, მგონი, პრაქტიკულად აღარ გვაქვს დედაქალაქში. სამაგიეროდ, თბილისის უბნებს ნაცრისფერი კორპუსების ისეთი ზოლი გასდევს, უკეთესს რომ ვერ ინატრებ.

რა გამოდის? მსოფლიოს მოწინავე ტურისტულ ქვეყნებს შორის ყოფნა გვსურს და ამ დროს ეკოტურიზმის კუთხით ცუდი მაჩვენებელი გვაქვს. ახლა თუ ვინმე თავს იმით დაიმშვიდებს, რომ ჩვენი კიდევ ერთი მეზობელი აზერბაიჯანი 101-ე ადგილზეა, ნურას უკაცრავად — აზერბაიჯანს არც არასდროს ჰქონია აღებული ტურიზმის მიმართულება და იქ მთავარი აქცენტი ნავთობზე კეთდება. ნავთობზე ჩამოკიდებულ მეზობლებს მშვიდად შეუძლიათ ზაფხულში სხვა ქვეყანაში დაისვენონ და, თუ მათთან მილიონობით ტურისტი არ ჩავა, პრობლემა არ არის — მილიონობით გალონი ნავთობი მთელი ევროპის მასშტაბით მიედინება აზერბაიჯანიდან და ეს საკმარისია.

ჰოდა, ამ კვლევის შემდეგ დადგინდა, რომ **ტურიზმის მიმართულებითაც მაჩანჩალებს შორის ვართ,** ანუ ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების მიერ ატეხილი აჟიოტაჟი: არიქა, ტურიზმი გადაგვარჩენს, ეკონომიკა სწორედ ამ სფეროს უნდა მივაბათო, უბრალოდ, ბლეფი და ფუჭი დაპირება აღმოჩნდა. რა ძნელი მისახვედრია, რომ **აღნიშნული კვლევა ყველა წამყვან ტურისტულ კომპანიას მაგიდაზე ექნება, ყველა დაინტერესებული პირი ნახავს და ვის მოესურვება 107 ქვეყნიდან 94-ე ადგილზე გასულ სახელმწიფოში წასვლა და დასვენება, თავად განსაჯეთ. ისიც ვთქვათ, რომ ბლეფი გამოდგა თაფლის წარმოებით საქართველოს მოსახლეობის გამდიდრების პერსპექტივაც, რადგან თურმე, სანამ ღია ტუალეტები არსებობს, ანუ სანამ სოფლებში საპირფარეშოები ეზოშია, ქართული თაფლი ევროპულ ბაზარზე ვერ შევა, რადგან ფუტკარს იქიდანაც მიაქვს სკაში გარკვეული ნივთიერებები და, რაღა თქმა უნდა, ევროსტანდარტებით ეს დაშვებული არ არის.** სრულიად საქართველოში საკანალიზაციო სისტემის გაყვანა კი დაახლოებით ქვეყნის სამი წლის ბიუჯეტია და ამის გამკეთებელი უახლოეს პერიოდში ნამდვილად არ ვართ.

**ევროპელი და ამერიკელი მაღალჩინოსნები ყოველგვარი შელამაზების გარეშე გვეუბნებიან და გვიხსნიან, რომ წინ მივიწევთ ამ მიმართულებით, მაგრამ ჯერ მზად არ ვართ ნატოში შესასვლელად. თავის მხრივ, ნატოს წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ეს ორგანიზაცია არ არის მზად გასაფართოებლად. არც ჩვენ ვართ მზად, არც ისინი და მაინც ჯიუტად ვხარჯავთ მილიარდებს, გნებავთ, შეიარაღებაში და გნებავთ, იმ წვრთნებში, რომლებიც რეალურად არაფრისმომცემია. სად არის ის «ჯაველინები», ასე ზარ-ზეიმით რომ ვიყიდეთ? რისთვის ვიყენებთ?**




მანამდე ბლეფი იყო **ფოთის გემრიელი ბაყაყები, მოცვის პლანტაციები, ვაშლის ბაღები...** ანუ, ჯერ წინა და შემდეგ ამჟამინდელი ხელისუფლებები მუდმივ რეჟიმში ცდილობდნენ და ცდილობენ, მოსახლეობას მისცენ გადარჩენის იმედი, რომელიც რეალურად არ ჩანს. **ეს ყველაფერი ზუსტად ისეთივე ბლეფია, როგორც ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივა** (მაპ-ის დაპირება ხომ გახსოვთ, მთელი საქართველო რომ ელოდა, მერე არ მოგვცეს და ახლა საერთოდ აღარავინ ახსენებს); **ისეთივე ბლეფია, როგორც ევროკავშირში შესვლის საოცარი პერსპექტივა, იმ ევროკავშირში, რომლის წევრი საბერძნეთი გაკოტრდა და საიდანაც ინგლისი გაიქცა, თუმცა ამაზე ქვემოთ. მანამდე კი...**

ადრეც არაერთხელ დაგვიწერია და ახლაც გავიმეორებთ, რომ საქართველოს ხსნა მცირე ბიზნესის წამოწევასა და რეგიონებში საწარმოების შექმნაშია. ქვეყანამ უნდა აწარმოოს საკუთარი პროდუქცია, რომელსაც ადგილობრივი ბაზარი მოიხმარს და იაფიც იქნება. ზუსტად ისე, როგორც ამას, მაგალითად, თურქეთი აკეთებს, რომელსაც თითქმის ყველა პროდუქტი საკუთარი აქვს და იაფად ყიდის. წარმოებაც იაფი ჯდება, გასაღებაც მარტივია და, რაც მთავარია, იმ საწარმოებში ადგილობრივები არიან დასაქმებულნი.. შედეგად, თურქეთის მშპ საკმარისზე მაღალია იმისთვის, რომ რეგიონში ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე იყოს.

ახლა რაც შეეხება ნატოსა და ევროკავშირს. ევროპელი და ამერიკელი მაღალჩინოსნები ყოველგვარი შელამაზების გარეშე გვეუბნებიან და გვიხსნიან, რომ წინ მივიწევთ ამ მიმართულებით, მაგრამ ჯერ მზად არ ვართ ნატოში შესასვლელად. თავის მხრივ, ნატოს წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ეს ორგანიზაცია არ არის მზად გასაფართოებლად. არც ჩვენ ვართ მზად, არც — ისინი და მაინც ჯიუტად ვხარჯავთ მილიარდებს, გნებავთ, შეიარაღებაში და გნებავთ, იმ წვრთნებში, რომლებიც რეალურად არაფრისმომცემია. **სად არის ის „ჯაველინები", ასე ზარ-ზეიმით რომ ვიყიდეთ?** რისთვის ვიყენებთ? თუ ვინმე შევაშინეთ, „ჯაველინები" გვაქვს და გვერიდეთო? უბრალოდ, ამერიკას ჭარბი იარაღი გავუსაღეთ და, ხანდაზმულობის ვადა რომ გაუვა, მაშინ გავისვრით ერთობლივი წვრთნების დროს და ეგ იქნება, მილიონები კი რომელიმე პოლიგონზე დაიმარხება და დაიწვება.

რაც შეეხება ევროკავშირს: **მეგობარმა ქვეყნებმა რამდენიმეჯერ ვერ იხსნეს საბერძნეთი და ქვეყანაში დღემდე პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისია. საბერძნეთს სრულიად ევროპის ვალი აქვს და თანაც იმ ოდენობით, რომ ნახევარი საუკუნე უნდა იხადოს და მათი მონა უნდა იყოს, ანუ ნახევარი საუკუნე ეს ქვეყანა ვერ ამოისუნთქებს. ზარალის გარდა ევროკავშირისგან ვერაფერი ნახა დიდმა ბრიტანეთმა და მოსახლეობის მოთხოვნით ქვეყანამ კავშირი დატოვა.** თუ ვინმე იმას იტყვის, რომ **ჩერჩილისა** და **ტეტჩერის** სამშობლოში პრაგმატულად ვერ აზროვნებენ, კი ბატონო, მაგრამ სწორედ პრაგმატიზმმა და ქვეყნის გადარჩენის სურვილმა მიაღებინა ხელისუფლებას ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილება. ხომ ამბობდა სრულიად ევროპა, — ევროკავშირიდან გასვლით ბრიტანეთი იზარალებს და კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებაო? რა მოხდა? — არც არაფერი, იმიტომ, რომ **ესეც ბლეფი იყო, ჩვეულებრივი ბლეფი, რომელიც ბრიტანელებმა არ ჭამეს.**

სხვათა შორის, **ბლეფი გვგონია ისიც, რომ თურმე, ეროვნული ვალუტა ბაზარზე დოლარის მიმართ 3.00-იან ნიშნულს რომ გასცდეს, ქვეყნისთვის კატასტროფული შედეგი ექნება. დღეს ლარი 2.97-2.98 ფარგლებში თამაშობს. რა გამოდის? კატასტროფას 3 თეთრი გვაშორებს? იმ სახელმწიფოს, რომელსაც სამთეთრიანი ინფლაცია კატასტროფას უქადის, მომავალი არ აქვს.** თუ ევრო, ის ევრო, ასე სანუკვარი ევროკავშირის საზრუნავი ფული რომ არის, კარგა ხანია, 3-იან ნიშნულს გასცდა, კატასტროფად არ აღვიქვით, რატომ აღვიქვამთ დოლარის მიმართ გაუფასურებას კატასტროფად? ალბათ, ამის ახსნაც ექნება რომელიმე ექსპერტს, მაგრამ არ აგვიხსნიან, იმიტომ, რომ ხელისუფლება, დიდი ხანია, მიეჩვია იმას, რომ არაფრის ახსნა საჭირო არ არის, ისედაც ყველა ყველაფერს ხვდება და, ვინც ვერ ხვდება, კისერი უტეხია.

მანამდე კი მსოფლიოს გასაგონად ვიყვიროთ, რომ ტურიზმი გადაგვარჩენს, დავპატიჟოთ ყველა საქართველოში, სადაც კატასტროფული ფასებია და რიგითი მოკვდავები ვერ ისვენებენ. მერე, როცა დასკვნას დადებენ, რომ ეკოტურიზმის მიმართულებით 94-ე ადგილზე ვართ 107 ქვეყანას შორის, თავი ქვიშაში ჩავმალოთ, ვითომ არ გაგვიგონია. ცხოვრებაა ასეთი — ქვიშაში თავის ჩამალვა ქართულ რეალობაში აშკარად ამართლებს.

**ბესო ბარბაქაძე**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლებამ მომავალი წლიდან მაინც დაიწყოს და წელიწადში 10 ახალი საწარმო ააშენოს — ადრე თუ გვიან, მივალთ იქამდე, რომ ადამიანებს სამსახური ექნებათ და მამაპაპისეული საძვალეების მიტოვებას აღარ იფიქრებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სტატისტიკა გაუარესდება და გაისად 108-ზე მეტი სკოლა გვექნება პირველკლასელის გარეშე. ისიც ვთქვათ, რომ ამ 108-დან რამდენიმე სკოლას არც შარშან ჰყოლია პირველკლასელი და ასე, ნელ-ნელა, დაამთავრებენ სოფლად შემორჩენილი ბავშვები სკოლას, ისინიც დატოვებენ იქაურობას და თქვენს გარემონტებულ შენობებს ინვენტარის ნაცვლად ერთი დიდი ბოქლომი დასჭირდება მხოლოდ.**

# ბატონებო, 700 მილიონით 14 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა რომ შეიძლება, თუ გიფიქრიათ?

**ერთ კვირაზე ნაკლები რჩება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. სამწუხაროდ, საქართველოს მასშტაბით 108 სკოლაში არც ერთი პირველკლასელი არ დარეგისტრირებულა და ეს კატასტროფაა. კატასტროფა რბილად ნათქვამია, რადგან 108 სკოლა პირველკლასელის გარეშე 11 წელიწადში ნიშნავს 108 სკოლას გამოსაშვები კლასის გარეშე. სიმართლე გითხრათ, ამ სტატისტიკის გამოქვეყნების შემდეგ გვეგონა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებს ადეკვატური რეაქცია ექნებოდათ, მაგრამ ნურას უკაცრავად. ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, იმ 1731 დასახლებაში, რომლებსაც მაღალმთიანი სოფლის სტატუსი აქვთ, უახლოეს ორ წელიწადში მარტო სკოლების და ბაღების რემონტზე დაიხარჯება 700 მილიონი ლარი. ხელისუფლებას ჰგონია, რომ სკოლებისა და ბაღების რემონტია გამოსავალი და სწორედ ამ პრობლემის გამო არ არიან აღნიშნულ სკოლებში პირველკლასელები. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს განცხადება ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმაც აიტაცეს და ეს 700 მილიონი ყველა ბრუნვაში ატრიალეს.**



ბატონებო, მართლა ვერ ხვდებით პრობლემას თუ, უბრალოდ, ამ 700 მილიონიდან მსუყე ლუკმა ვინმეს ჯამში უნდა ჩავარდეს? რა შუაშია სკოლებისა და ბაღების რემონტი, იმავე სკოლების სხვა კლასებში ხომ დადიან ბავშვები? პრობლემა ეგ კი არ არის, არამედ ის, რომ ადგილზე მოსახლოება აღარ დარჩა, აღარ დარჩა ოჯახი, რომელსაც პატარა ბავშვი ჰყავს; ლუკმაპურის საშოვნელად ყველა ბარშია ჩასული და, ძირითადად, დედაქალაქში ცდილობს დამკვიდრებას. **გაყიდული საქონლის ფულით ნაყიდი მანქანით რომ ტაქსაობს ლამის ნახევარი საქართველო, არ იცით თუ რამე ახალი ვთქვი? ვისთვის უნდა გაარემონტოთ სკოლები და ბაღები, ზამთარში ნადირი რომ შეეფაროს?** დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ პრობლემის რეალური არსი ჩვენზე კარგად იცით, მაგრამ არ ამბობთ და რატომ არ ამბობთ, ეგ არის სწორედ საინტერესო. მაგ **700 მილიონით 14 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა რომ შეიძლება, თუ გიფიქრიათ?** და 14 ათასი სამუშაო ადგილი, სულ ცოტა, 10 ათასი ეკონომიკურად უზრუნველყოფილი ოჯახი რომ არის, ეგ თუ იცით? ბაღებსა და სკოლებს რომ გაარემონტებთ და ხალხს მოუწოდებთ, სოფელში დაბრუნდითო, რა უნდა გააკეთონ სოფლად? **დაამუშაონ მიწა, რომლის ძირითადი ნაწილი საქართველოს მასშტაბით (ჰო, სრულიად საქართველოს მასშტაბით) უცხოელებს აქვთ იჯარით გადაცემული? თუ მერე, მოსავალს რომ მოიწევენ, სახელმწიფოსგან მოისმინონ: მოიწიე და გაყიდე, მე რა გავაკეთო, მე რა შუაში ვარო? არ ყოფილა ასე? არ მოქცეულხართ ასე? თუ ახლა, რთველი რომ მოდის, არ განმეორდება იგივე და ამით გულაცრუებული კიდევ ათეულობით გლეხი არ აჭედავს სოფლად სახლის კარს?! მთავარი პრობლემა, სკოლასა და ბაღში სიარული კი არა, ის არის, იქიდან მოსულ ბავშვს რა აჭამოს მშობელმა!**

მინისტრთა ახალი კაბინეტის წარდგენისას გვითხრეს, რომ საქართველოს ეკონომიკა იზრდება და ინფლაციის პირობებშიც კი წინ მივიწევთო. დაგვცინით, როცა ამას ამბობთ, თუ გგონიათ, რომ ხალხს ამის სჯერა? სავარაუდოდ, მაღაზიებში თვითონ არ დადიხართ, რადგან ოჯახის დამხმარეები ასრულებენ ამ ერთობ მოსაწყენ პროცედურას. ჰოდა, მათ ჰკითხეთ და გეტყვიან, რომ 1 სექტემბრიდან ყველა პროდუქტი გაძვირდა. ეს, იცით, რისი ბრალია? ზაფხულში, ინფლაციის შემდეგ, ხელოვნურად რომ დაიჭირეთ ფასები და შემომტანებს უთხარით: მარაგი გამოიყენეთ, ფასი ჯერ არ გაზარდოთო. ახლა კი ამოიწურა ის მარაგი და ისინიც იძულებულნი არიან, ფასები ასწიონ, თანაც როდის — ზედ სასწავლო წლის დაწყების წინ, როცა მშობლებს ისედაც ბევრი გასავალი აქვთ, რადგან ბავშვებს ახალი ტანსაცმელი სჭირდებათ სკოლასა თუ ბაღში წასასვლელად, გული რომ არ დასწყდეთ, სხვებს რომ ექნებათ და მათ არა. **თითოეული ოჯახის ბიუჯეტს დაარტყით და ვითომც არაფერი, პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან ამბობთ, რომ წინ მივიწევთ. წინსვლა თქვენ და ჩვენ, ალბათ, სხვადასხვანაირად გვესმის — თქვენ, ვისაც ოთხნიშნა ხელფასები და პრივილეგიები გაქვთ, და ჩვენ,**

**ამომრჩეველს, სხვა სიკეთეებთან ერთად, 2012 წლის არჩევნებზე 1000 ახალ ქარხანას დაჰპირდით. ჰო, ათასს! სრულიად საქართველო უნდა დასაქმებულიყო თითქოს, მაგრამ 7 წლის თავზე, ათასი კი არა, შვიდი ქარხანა მაინც გვაჩვენეთ. არადა, რა მარტივი იყო — წელიწადში 10 ქარხანა რომ გაგეხსნათ, 73 მუნიციპალიტეტია და კი გახვიდოდით ახლა ბოლოში; თითო მუნიციპალიტეტში თითო საწარმო სათქმელად გექნებოდათ. ეგებ ნდობა ისევ გაჩენილიყო, მაგრამ არა — მერე პრემია-დანამატები და ასიათასობით ლარი ვის უნდა წაეღო სახლში?!**

**ვისაც ყოველდღიურად გადარჩენისთვის გვიწევს ბრძოლა.**

თუ არ გახსოვთ (რა დაგავიწყებდათ, მაგრამ მაინც), შეგახსენებთ, რომ **ამომრჩეველს, სხვა სიკეთეებთან ერთად, 2012 წლის არჩევნებზე 1000 ახალ ქარხანას დაჰპირდით. ჰო, ათასს! სრულიად საქართველო უნდა დასაქმებულიყო თითქოს, მაგრამ 7 წლის თავზე, ათასი კი არა, შვიდი ქარხანა მაინც გვაჩვენეთ. არადა, რა მარტივი იყო — წელიწადში 10 ქარხანა რომ გაგეხსნათ, 73 მუნიციპალიტეტია და კი გახვიდოდით ახლა ბოლოში, თითო საწარმო სათქმელად გექნებოდათ, ეგებ ნდობა ისევ გაჩენილიყო, მაგრამ არა — მერე პრემია-დანამატები და ასიათასობით ლარი ვის უნდა წაეღო სახლში?!**

სამწუხაროდ, უკვე დაანონსდა, რომ გაძვირდება პურიც და ისევ მოიმატებს აქციზის გადასახადი სიგარეტსა და საწვავზე, რათა დამატებითი გადასახადი შევიდეს ბიუჯეტში, რადგან სხვა საშველი ბიუჯეტისთვის არ ჩანს. უზომოდ გაიზარდა ჯარიმების რაოდენობა და მთლიანობაში, **ჯარიმებიდან თვეში დაახლოებით 30 მილიონი შედის ბიუჯეტში.** ძალიან საინტერესოა, როდემდე უნდა იდგეს სახელმწიფო აქციზებსა და ჯარიმებზე? როდემდე უნდა იყოს მთავარი გამოსავალი აქციზის გაზრდა საწვავსა და სიგარეტზე მაშინ, როცა მათი მომხმარებელი მოსახლეობაა და სწორედ მათი ჯიბიდან შედის ბიუჯეტში ის მილიონები, რომლებიც ასე ახარებს ხელისუფლებას?

დავუბრუნდეთ ისევ მაღალმთიან რეგიონებს, რომლებშიც თურმე მთავარ პრობლემად მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა რჩება. თუნდაც სვანეთი ავიღოთ, ყველაზე განვითარებული საკურორტო ზონა მაღალმთიანი რეგიონებიდან. იცით თუ არა, რომ ზამთარში სვანეთში მოსახლეობის ნახევარზე მეტი ბარში ჩამოდის და იქ მხოლოდ თითოოროლა კაცილა რჩება, რომლებიც ტურისტულ ზონებთან ახლოს არსებულ სასტუმროებს ამუშავებენ? ანუ, სკოლებში იქაც არ დაჰყავთ ბავშვები და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სამუშაო მხოლოდ ზაფხულშია. აყვავდა სვანეთი ტურიზმითო. იქნებ ამ აყვავებულ მხარეს 1-2 საწარმოც დაახმაროთ, რათა ზამთარში იქ დარჩენის სურვილი გაუჩნდეს მოსახლეობას. მიდით, დათვალეთ სვანურ სოფლებში პირველკლასელები. ყველგან ხელის თითები გეყოფათ, ზოგან კი ორი ხელიც არ დაგჭირდებათ. ასეა რაჭაშიც, ფშავშიც, ხევსურეთშიც... რაჭაში ზაფხულში თუ ახმაურდება გარემო, თორემ სოფლები ნასახლარებად არის ქცეული, ზამთარში მოხუცები რჩებიან, ისინი, ვინც მამაპაპისეულ ადგილებს ვერ ელევიან, თორემ იციან, პერსპექტივა არ აქვთ და არც სარჩო-საბადებელი ექნებათ ჭარბად.

ხელისუფლების წარმომადგენლები, ალბათ, გვეტყვიან, — გამოსავალიც გვითხარითო. გეუბნებით, ბატონებო: **მაგ 700 მილიონით 14 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა შეიძლება და შექმენით. დამატებით რამდენიმე ათეული მილიონის მოძიება შეიძლება იმ პროექტებიდან, რომლებსაც სტრატეგიული მნიშვნელობა არ აქვს. ეს კი, რასაც ჩვენ ვამბობთ, სტრატეგიული კი არა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.** ისიც ხომ კარგად იცით, რომ თბილისის სკოლებში რეგისტრაციის დაწყებიდან რამდენიმე წამში ივსება ადგილები და შემდეგ მშობლებს სირბილი უწევთ, პირველკლასელი გარეთ რომ არ დარჩეს. გაივსო და გადაივსო დედაქალაქი, არც სკოლაში და არც ბაღში ბავშვები (ღმერთმა ამრავლოს) აღარ ეტევა და ამ დროს სოფლების სკოლები ცარიელია. ალბათ, არაფერია იმაზე საშინელი, ვიდრე სკოლებში ცარიელი საკლასო ოთახების ნახვა. სახელმწიფომ კონკრეტულად ამ მიმართულებით თუ არ იფიქრა და სერიოზული თანხები თუ არ ჩადო, ხელში შეგვრჩება მხოლოდ დედაქალაქი და ზაფხულში ახმაურებული სოფლები. იქაც სახლები ნელ-ნელა ინგრევა და, როცა დაინგრევა, არც ზაფხულში ჩავა ვინმე და ნასოფლარები გატყიურდება.

ამიტომაც ვამბობთ, რომ ხელისუფლებამ მომავალი წლიდან მაინც დაიწყოს და წელიწადში 10 ახალი საწარმო ააშენოს — ადრე თუ გვიან მივალთ იქამდე, რომ ადამიანებს სამსახური ექნებათ და მამაპაპისეული საძვალეების მიტოვებას აღარ იფიქრებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სტატისტიკა გაუარესდება და გაისად 108-ზე მეტი სკოლა გვექნება პირველკლასელის გარეშე. ისიც ვთქვათ, რომ ამ 108-დან რამდენიმე სკოლას არც შარშან ჰყოლია პირველკლასელი და ასე, ნელ-ნელა, დაამთავრებენ სოფლად შემორჩენილი ბავშვები სკოლას, ისინიც დატოვებენ იქაურობას და თქვენს გარემონტებულ შენობებს ინვენტარის ნაცვლად ერთი დიდი ბოქლომი დასჭირდება მხოლოდ.

**ბესო ბარბაქაძე**

**გაყიდული საქონლის ფულით ნაყიდი მანქანით რომ ტაქსაობს ლამის ნახევარი საქართველო, არ იცით თუ რამე ახალი ვთქვი? ვისთვის უნდა გაარემონტოთ სკოლები და ბაღები, ზამთარში ნადირი რომ შეეფაროს?**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზვიად გამსახურდიას კონსერვატიულ-ნაციონალისტური პოლიტიკური ელიტის მიმართ შეერთებული შტატების ლიბერალური პოლიტიკური კლასის დამოკიდებულების პოზიტიურიდან ნეგატიური მიმართულებით ცვლილებას საბოლოოდ კანონიერი ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ზვიად გამსახურდიას მიერ „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემული ერთ-ერთი ინტერვიუდან ამონარიდი: „შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯეიმს ბეიკერის, პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით“.**

# საქართველოს რუსეთთან სტრატეგიული დაახლოების გარდაუვალობა

**თუ საერთაშორისო ურთიერთობათა ბრიტანელ სპეციალისტ რობინ ნიბლეტს დავესესხებით, საერთაშორისო პოლიტიკური ლანდშაფტი გლობალიზაციის პროცესის შეფერხებისა და ლიბერალური მსოფლიო წესრიგის კრიზისული ფაზის საწყის ეტაპს გადის. მისი აზრით, თანამედროვე მსოფლიო მიექანება ორი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის იდეური კონფლიქტისკენ, რომელშიც, ერთი მხრივ, გლობალიზმი (ლიბერალიზმი) და, მეორე მხრივ, კონსერვატორული სახელმწიფო ცენტრიზმი (სუვერენულობა) დაუპირისპირდება ერთმანეთს და რომელზეც მომავალში აიგება საერთაშორისო სისტემის დიალექტიკა.**

ამასთანავე, ყველა ავტორიტეტული სპეციალისტი აღიარებს, რომ მოცემული მიმართულებით საერთაშორისო პოლიტიკის თანმიმდევრული ცვლილების უმთავრესი კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** მოხსენებამ უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე 2007 წელს მიუნხენში გამართულ კონფერენციაზე. აღნიშნულ მოხსენებაში მან ერთმნიშვნელოვნად გააკრიტიკა გლობალიზაციის ამერიკული პროექტი, რომელიც ერთპოლუსიანი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის ფარგლებში გულისხმობს ერების უნიფიკაციისა და კულტურული სტანდარტიზაციისკენ სწრაფვას. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის უმთავრეს კონცეფციურ პრინციპს წარმოადგენდა საერთაშორისო პოლიტიკის კონსერვატიული პრიზმიდან აღქმა, სადაც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა უნდა დაქვემდებარებოდა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემასა და სუვერენიტეტის გამოცხადებას უმთავრეს ღირებულებად.

შესაბამისად, **მსოფლიო პოლიტიკაში ორი საგარეო პოლიტიკური ალტერნატივის დაპირისპირების ფარგლებში პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს, მათ შორის, საქართველოსაც, მოუწევთ, განსაზღვრონ თავიანთი ადგილი იდეოლოგიური ბარიკადების ამა თუ იმ მხარეს. უახლოეს ხანებში ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დადგება ქართული სახელმწიფოს წინაშე, რომელიც, თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ურთულეს გეოპოლიტიკურ ზონაში იმყოფება.**

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, შევეცდები, **ჰეგელის** დიალექტიკური ლოგიკის გამოყენებითა და მისი მეთოდოლოგიის მმართველი ელიტების საგარეო-პოლიტიკური კურსის პრაქტიკულ რეალიზაციაზე მატერიალიზაციით მოვახდინო პოსტსაბჭოთა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პროგნოზირება. აქვე აღვნიშნავ, რომ **დიალექტიკა** წარმოადგენს მოძღვრებას პოლარულად დაპირისპირებულთა ერთიანობის ფარგლებში საზოგადოებისა და ადამიანთა აზროვნების, ხოლო ჩვენ შემთხვევაში, საგარეო-პოლიტიკური მიმართულების განვითარების ზოგადი კანონების მოძრაობაში. რაც შეეხება დიალექტიკურ მოძრაობას, იგი გულისხმობს, ისტორიული პროცესის ობიექტურ კანონზომიერებაზე დაფუძნებულ არა სწორხაზოვან, არამედ სპირალისებური რგოლების მსგავს თანმიმდევრულ და დაუსრულებელ სვლას, როცა ისტორიული მოძრაობისას წარმოებული ყოველი ახალი ხვეული მას აბრუნებს საწყის მდგომარეობაში, ოღონდ პოლიტიკური განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე გადასვლით.

## დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური სუბიექტის ფორმირების მცდელობა

საბჭოთა კავშირიდან საქართველოს დე ფაქტო გამოყოფის საწყის წლებში პირველი პრეზიდენტის გარშემო მობილიზებული პოლიტიკური ელიტის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია ბუნდოვანი იყო, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირველ ეტაპზე ფორმირებული მმართველი ელიტის ხელისუფლებაში ყოფნის ვადა ხანმოკლე აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, **ზვიად გამსახურდიას თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე იდეის დონეზე მაინც ჰქონდა კონსტრუირებული ის საგარეო-პოლიტიკური ორიენტირები, რომელთა რეალიზაციასაც ცდილობდა საერთაშორისო ასპარეზზე.**

მმართველობის პირველ **პერიოდში საქართველოს იმჟამინდელი პოლიტიკური ელიტა არსებული გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით იძულებული იყო, წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით გაეტარებინა შეერთებულ შტატებზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა. ეს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ჩამოყალიბებული საბჭოთა სახელმწიფოს სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია პოლიტიკურად, ეკონომიკურად, აგრეთვე, სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით უკიდურესად დასუსტებული და დემორალიზებული გახლდათ.** მას არ შესწევდა უნარი, დამოუკიდებლად დაეცვა თავისი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები მისი კონკურენტი გეოპოლიტიკური აქტორის წინაშე, ამიტომ, **როდესაც რუსეთის ფედერაცია რეგიონიდან ფაქტობრივი გასვლის რეჟიმში იმყოფებოდა, საქართველოს ხელისუფლებას, როგორც ნებისმიერი პატარა და სუსტი სახელმწიფოს მმართველ ელიტას, უნდა ემოქმედა პრაგმატული და რეალური პოლიტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, რომლებიც გულისხმობდა ახალი, ძლიერი და დიდი მოკავშირის გეოპოლიტიკურ ფარვატერში გადასვლას. ეს იმ ვითარებაში, როდესაც „ცივ ომში“ გამარჯვებული უმსხვილესი გეოპოლიტიკური აქტორი აშშ ფაქტობრივი კონკურენტის არარსებობის პირობებში და უნიპოლარული საერთაშორისო სისტემის ფარგლებში ცდილობდა რეგიონის გეოპოლიტიკურ ათვისებას.**



**დიალექტიკური კანონის გათვალისწინებით, თუ წინა პერიოდში რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა დაფუძნებული იყო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ურთიერთკავშირის პრინციპზე, ახალი ციკლის პირობებში რუსეთთან სტრატეგიული დაახლოების პროცესი გადავა უფრო მაღალი სტატუსის მქონე სუბიექტების, კერძოდ, სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ფარგლებში**

მაგრამ მოგვიანებით, შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტებლიშმენტის მნიშვნელოვან ნაწილთან ურთიერთობის გართულების შემდგომ პერიოდში, ზვიად გამსახურდიას საგარეო-პოლიტიკურმა ვექტორმა საგრძნობი ცვლილებები განიცადა, რომელიც გამოიხატებოდა ერთიანი კავკასიის შექმნის იდეაში „კავკასიური სახლის“ სახით.

**1991 წლიდან, როდესაც ზვიად გამსახურდიამ „კავკასიური სახლისა და კავკასიელთა ერთობის“ იდეის ქადაგება დაიწყო, ეს იმდროინდელი ხელისუფლების სახელმწიფო იდეოლოგიადაც კი იქცა. გამსახურდია ამბობდა: „ჩვენი მიზანი იქნება კავკასიის კონსოლიდაცია, მისი გათავისუფლება იმპერიათა მარწუხებისაგან...“ მოცემული წინადადება იმისი ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ პროექტის ავტორის მიზანს წარმოადგენდა სრულიად ახალი გეოპოლიტიკური მოდელის შექმნა ერთიანი კავკასიის იდეაზე სწორებით, ეს კი უნდა მომხდარიყო კავკასიის სხვადასხვა ეთნო-პოლიტიკური სუბიექტის კონსოლიდაციის საფუძველზე და, რომლის მიზანი იქნებოდა გლობალურ დონეზე დამოუკიდებელი, ყველა გარე ძალისგან თავისუფალი გეოპოლიტიკური სუბიექტის ჩამოყალიბება.**

ყოველ შემთხვევაში, ზვიად გამსახურდიას პერიოდის პოლიტიკური ელიტის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია, იძულებითი პრაგმატიზმისა თუ ნებელობითი ფორმის გათვალისწინებით, შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ლიბერალურ-გლობალისტური გეოპოლიტიკური ფარვატერიდან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების მცდელობაზე ორიენტირებულ საგარეო-პოლიტიკურ ვექტორად. ამან ზვიად გამსახურდიას კონსერვატიულ-ნაციონალისტური პოლიტიკური ელიტის მიმართ შეერთებული შტატების ლიბერალური პოლიტიკური კლასის დამოკიდებულების პოზიტიურიდან ნეგატიური მიმართულებით ცვლილება გამოიწვია, რასაც საბოლოოდ, კანონიერი ხელისუფლების დამხობაც მოჰყვა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ზვიად გამსახურდიას მიერ „რადიო თავისუფლებისათვის“ მიცემული ერთ-ერთი ინტერვიუდან ამონარიდი: **„შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯეიმს ბეიკერის, პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით“.**

## შენიღბული ბალანსირებიდან აქტიურ პროდასავლურ ვექტორზე გადართვა

საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, საგარეო პოლიტიკის განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენდა მმართველ პოლიტიკურ ელიტაში არსებული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესთა ბალანსი, რომელიც ეყრდნობოდა მოცემულ პოლიტიკურ ჯგუფთა კონფიგურაციას საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურის იერარქიული კიბის ზედა საფეხურზე. **ხელისუფლებაში არსებული პოლიტიკური ძალების კონფიგურაციაზე დაყრდნობით და მათ უკან მდგომი გლობალური პოლიტიკური ძალების ინტერესთა გათვალისწინებით ედუარდ შევარდნაძე ცდილობდა, განესაზღვრა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ვექტორი.**

საქართველოს მეორე პრეზიდენტის საგარეო-პოლიტიკური კურსის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ იგი გახლდათ ის პოლიტიკური პერსონა, რომელიც არა იდეის დონეზე, არამედ პრაქტიკული ნაბიჯების საფუძველზე შეუდგა პროდასავლური და, უპირატესად, პროამერიკული საგარეო-პოლიტიკური კურსის რეალიზაციას, მაგრამ მის საგარეო-პოლიტიკურ ნაბიჯებზე დაკვირვებისას, მმართველობის პირველ პერიოდში (გარედან დაკვირვების საფუძველზე, ყოველ შემთხვევაში ასე ჩანდა) მისი საგარეო-პოლიტიკური კურსი ორიენტირებული იყო რუსეთის ფედერაციასა და შეერთებულ შტატებს შორის ინტერესთა წონასწორობის მექანიზმზე დაფუძნებული პრინციპის დაცვაზე.

მაგრამ **შევარდნაძის მიერ განხორციელებული საგარეო პოლიტიკის ანალიზი არ იძლევა საშუალებას, ზუსტად და მკაფიოდ განვსაზღვროთ მისი რეალური საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია, ვინაიდან იგი მთელი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი პოლიტიკური ფორმულით: ერთს ამბობდა, მეორეს ფიქრობდა და მესამეს აკეთებდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღნიშნული ფორმულის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნება და არამც და არამც ქვეყნის ეროვნული ინტერესებით მოქმედება.**

ამიტომ ედუარდ შევარდნაძისა და მის გარშემო კონსოლიდირებული პოლიტიკური კლასის საგარეო პოლიტიკა მაინც უნდა შეფასდეს ურთიერთდაბალანსების პრინციპით შენიღბულ, პროამერიკულ საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციად; თანაც, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საქართველო ჩაება იმ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ პროექტებში, რომელთა „დამპროექტებელიც“ გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატები. ამაზე მეტყველებს ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას, 1999 წელს, საქართველოს შესვლა ევროპის საბჭოში და საქართველოს ჩართვა ისეთ გლობალურ პროექტებში, როგორიცაა ბაქო-თბილისი-სუფსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი.

თუ მმართველობის ▶

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს მმართველი კლასი გაკოტრებულია არა მხოლოდ ლიბერალური ნაწილის, არამედ თითქმის საზოგადოების შიგნით არსებული ყველა სოციალური სეგმენტის თვალში, რამაც მეორე საარჩევნო ვადის ბოლო წელიწადს იგი აიძულა, შერეული საარჩევნო სისტემიდან გადასულიყო პროპორციულ სისტემაზე ბუნებრივი საარჩევნო ბარიერით.

**2020 წლის საქართველოს საკანონმდებლო ორგანო, სავარაუდოდ, გარდაიქმნება მრავალ პატარ-პატარა პოლიტიკურ ჯგუფად დაჩეხილ ინსტიტუტად, რომელიც ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესების გამომხატველი პერსონებით დაკომპლექტდება. მიუხედავად პარტიათა სიმრავლისა, პოლიტიკური ძალების კონფიგურაციის ფორმირება მოხდება ორი იდეოლოგიური ფლანგის გარშემო მობილიზაციის საფუძველზე, სადაც ერთ მხარეს დაჯგუფდებიან პროამერიკულ ლიბერალურ-გლობალისტურ მსოფლმხედველობრივ პოზიციაზე მყოფი პოლიტიკური პარტიები, ხოლო მის საპირისპირო მხარეს — კონსერვატიულ რუსეთზე ორიენტირებული «სუვერენიტეტისტი» კონსერვატორები**

◀ პირველ ხუთწლედში შევარდნაძე და მის გარშემო კონსოლიდირებული პოლიტიკური ელიტა ცდილობდა, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია შეენიღბა და კურსის მკაფიო ფორმა არ გამოეკვეთა, მეორე ვადით არჩევის შემდეგ მმართველი კლასის საგარეო-პოლიტიკური ვექტორი უფრო მკაფიო და აშკარად პროდასავლურ გეოპოლიტიკურ ფარვატერში ჩაჯდა. ამას მოწმობს 2002 წლის ნოემბერში შევარდნაძის განცხადება, რომლითაც მან სურვილი გამოთქვა ნატოში ინტეგრაციაზე. იმავე წელს სამხედრო თანამშრომლობის კუთხით აქტიურად იწყება ურთიერთობის ინტენსიფიკაცია ამერიკის შეერთებულ შტატებთან. **იმავე პერიოდში, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეგიდით, ამერიკის მთავრობა იწყებს წვრთნისა და აღჭურვის 64-მილიონიან პროგრამას. ქართული არმიის ნატოს სტანდარტებზე გადაყვანის მცდელობა პირდაპირპროპორციულად გულისხმობდა საქართველოს სამხედრო უწყებაში ამერიკის როლისა და გავლენის ზრდას, რომელმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო შეერთებული შტატების გავლენის გაძლიერებას საქართველოზე.**

ე.წ. ვარდების რევოლუციის პროდუქტი პოლიტიკური ელიტის უმთავრესი პოლიტიკური პრიორიტეტი საერთაშორისო ურთიერთობებში, დასავლურ სტრუქტურებში, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციაზე ორიენტაციით განისაზღვრა. **მიხეილ სააკაშვილმა** და მის გარშემო ფორმირებულმა პოლიტიკურმა ელიტამ შეერთებულ შტატებზე ორიენტირებული საქართველოს საგარეო პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლეს რანგში აიყვანა და, ექსპერტების აზრით, რადიკალური სვლა ევრო-ატლანტიკური სივრცისკენ მათი პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა.

აღნიშნული მიმართულებით საქართველოს პოლიტიკური სვლის ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელი და ხელშემწყობი ფაქტორი იყო **ჯორჯ ბუში-უმცროსის** ოფიციალური ვიზიტი თბილისში 2005 წლის 10 მაისს. თბილისში, თავისუფლების მოედანზე მრავალათასიან მიტინგზე წარმოთქმული სიტყვიდან ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პასაჟი ცხადყოფს შეერთებული შტატების მხრიდან ქართული სახელმწიფოს მიმართ მძლავრ დაინტერესებას: **„ამერიკის შეერთებული შტატები მოუთმენლად ელის საქართველოს ნატოში გაწევრებას...“**

შეერთებულ შტატებზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელების პროცესში, რომელიც ქართველ საზოგადოებას მიეწოდებოდა ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციით, მმართველი ელიტა პოლიტიკურ ნაბიჯებს დგამდა საშინაო და საგარეო-პოლიტიკური მიმართულებით.

საქართველოს „პოსტრევოლუციური“ რეფორმების დინამიკაზე დაკვირვებით ნათლად გამოჩნდა საშინაო პოლიტიკის ის უმთავრესი ასპექტები, რომელთა საფუძველზეც უნდა მომხდარიყო ქართველი ერის კულტურული ინტეგრაცია მსოფლიოს ერთიან სოციო-კულტურულ (ლიბერალურ) სივრცეში. სოციალური ინჟინერიის მეშვეობით განხორციელებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტრანსფორმაციისა და გარდაქმნის პროცესი დაეფუძნა ულტრალიბერალური სოციალურ-პოლიტიკური იდეების ტოტალურ დანერგვას, რომელიც ხშირად პოლიტიკური კლასის მიერ მიმდინარეობდა ვოლუნტარისტულად, ადგილობრივი პირობებისა და სპეციფიკის გაუთვალისწინებლად.

**ქართველი საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდული ნაწილის, სოციალური ინჟინერია დაეყრდნო სოციალიზაციის შემდეგ პრინციპებს: ეროვნული თვითშეგნების ინდივიდუალიზაციას, აზროვნების ინტერნაციონალიზაციასა და ზოგადსაკაცობრიო ცნობიერების ჩამოყალიბებას. აღნიშნულმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ადგილობრივი ლიბერალური ელიტების, გლობალიზაციის კულტურული იმპულსების გამავრცელებელი ძალის ცენტრისადმი — ამერიკისადმი აბსოლუტურ მორჩილებას. ამან საქართველოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობადამოუკიდებელი სუბიექტის, ფაქტობრივი დესუვერენიზაცია გამოიწვია.**

ამასთანავე, საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურის თითქმის ყველა რგოლი, საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯების ფარგლებში, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ახორციელებდა ურთიერთობათა აქტიური დაახლოების პოლიტიკას. მოცემულ პერიოდში საქართველო მონაწილეობდა ნატოს ეგიდით ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში, რითაც მმართველი კლასი ცდას არ აკლებს, სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის მესვეურებს დაუმტკიცოს საკუთარი ლოიალურობა და მზადყოფნა მასში გასაწევრებლად.

სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკა ძალიან სწრაფად ვითარდებოდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართულებით. იმავე პერიოდში, ნატოს კავკასიური პოლიტიკის დღის წესრიგის ფარგლებში, განიხილებოდა საქართველოსთვის ნატოში ინტეგრაციისთვის სამოქმედო გეგმის (MAP-ის) მინიჭების საკითხი, რომელიც ალიანსში შესვლის წინა ფაზას წარმოადგენს. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხს აქტიურად ლობირებდა ამერიკული მხარე.

**ქართული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ევოლუციამ შეერთებული შტატების მოკავშირეობის მიმართულებით პარალელურად განაპირობა რეგრესული დინამიკა რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. ამან, თავის მხრივ, გაამძაფრა ანტაგონისტური დამოკიდებულება ორ სახელმწიფოს შორის. რუსეთ-საქართველოს შორის ანტაგონიზმმა და მტრულმა ურთიერთდამოკიდებულებამ აპოგეას 2008 წელს მიაღწია, რომელიც საბოლოოდ ომით დასრულდა.**

აქედან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილისა და მის გარშემო ფორმირებული პოლიტიკური ელიტის მიერ თეორიულ დონეზე ატაცებულმა და პრაქტიკაში იმპლემენტებულმა პროდასავლურმა საგარეო-პოლიტიკურმა სტრატეგიამ სრული ფიასკო განიცადა. ეს იმიტომ, რომ ზემოთ მიმოხილულმა საგარეო-პოლიტიკურმა ორიენტაციამ ვერ დაიცვა საქართველოს ეროვნული ინტერესები, კერძოდ, ვერ უზრუნველყო მისი უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა.



### სპირალის რგოლისებრი წრის შეკვრა და ახალი ციკლის დაწყება

**მიხეილ სააკაშვილისა** და მისი დასაყრდენი პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოებული საგარეო-პოლიტიკური კურსის სრული ჩავარდნის პირობებში საქართველოში გაჩნდა მოთხოვნა აღნიშნული კურსის კორექტირებისა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებისა და ბიძინა ივანიშვილის საქართველოს გაპრემიერმინისტრების შემდეგ, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, მმართველი პარტიის ლიდერი ეტაპობრივად შეეცადა ზომიერი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას რუსეთის ფედერაციის მიმართ. უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთის მიმართ ზომიერი საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის წარმოებით „ქართული ოცნების“ ლიდერების ამოცანას წარმოადგენდა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ურთულეს რეგიონში მიეღწიათ ერთგვარი სტრატეგიული ბალანსისთვის, რომლის მიზანი იყო გაუთვალისწინებელი რეგიონული გეოპოლიტიკური პროცესებისა და კონფლიქტისთვის თავის არიდება. **ისინი საგარეო პოლიტიკის დაბალანსებას შეეცადნენ ორი ფაქტორის გათვალისწინებით: ერთი მხრივ, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ელიტისგან განსხვავებით, შეარბილეს პოლიტიკური რიტორიკა რუსეთის სახელმწიფოს მიმართ; ხოლო, მეორე მხრივ, მმართველი პარტიის შევსება-განახლებასა და ფორმირებას შეუდგნენ იმ ადამიანური რესურსებისგან, რომელთა აზროვნება ლიბერალური იდეებით იყო გაჟღენთილი და რომელთა საგარეო-პოლიტიკური ხედვები დასავლეთისა და, უპირატესად, შეერთებული შტატების მიმართულებით იყო ორიენტირებული.** ამ პოლიტიკური ნაბიჯის ამოცანა მდგომარეობდა შემდეგში: არ მომხდარიყო, საზოგადოდ, დასავლეთისა და შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტებლიშმენტის განაწყენება და მათი „გადამტერება“ მმართველ ელიტაზე. **„ქართული ოცნებისა“ და მისი ლიდერის პოლიტიკამ, მმართველობის პირველ წლებში შეძლებისდაგვარად გაამართლა, ვინაიდან კონფლიქტის განახლების შანსები, ფაქტობრივად, ნულამდე დაიყვანა, მოხდა რუსეთის ფედერაციასთან კულტურულ-ჰუმანიტარულ დონეზე ურთიერთობების აღდგენა და, რაც მთავარია, ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის გაიხსნა გასაღების ბაზარი რუსეთში, რომელსაც ქართული ეკონომიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაიწყო რუსულ-ქართული სახელმწიფოთაშორისი კომუნიკაცია „ჟენევის ფორმატის“ ფარგლებში.**

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ქართული ოცნება“ იდეოლოგიური და ღირებულებითი ორიენტაციის თვალსაზრისით წარმოადგენს პოლიტიკური გაერთიანების ფარგლებში შექმნილ ისეთ კონგლომერატს, რომელშიც შედიან ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგარი პოლიტიკოსები და პოლიტიკური ჯგუფები, რაც, თავის მხრივ, აისახება მმართველი ელიტის საგარეო-პოლიტიკურ კურსზე და ხელშემწყობი ფაქტორის როლში გამოდის საგარეო პოლიტიკის მეტ-ნაკლები დაბალანსების კუთხით.

დღევანდელი ხელისუფლების მიერ წარმოებული საგარეო-პოლიტიკური სვლა უკვე შეიძლება განისაზღვროს სპირალის ხვეულის მოძრაობის პრინციპად. როდესაც იგი, საგარეო პოლიტიკის წარმოების მხრივ, წრიულად უკან იხევს და მიახლოებით შევარდნაძის მმართველობის პირველი ეტაპის ანალოგს წარმოადგენს, რაც შეფარული და გეოპოლიტიკური დაბალანსების ზღვარზე ფუნქციონირების მცდელობას გულისხმობს.

აღნიშნულმა საგარეო-პოლიტიკურმა კურსმა ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის, კერძოდ, ლიბერალურ-გლობალისტურ მსოფლმხედველობრივ პოზიციაზე მყოფი მოქალაქეების აღშფოთება და ანტისახელისუფლო საპროტესტო აქციები გამოიწვია, რომლებსაც ბიძგი მისცა საქართველოს პარლამენტის შენობაში 20 ივნისს მომხდარმა ფაქტმა: როდესაც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა და მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე **სერგეი გავრილოვმა** პარლამენტის თავმჯდომარის ადგილიდან რეგლამენტით გათვალისწინებული სესია გახსნა.

თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ **დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს მმართველი კლასი გაკოტრებულია არა მხოლოდ ლიბერალური ნაწილის, არამედ თითქმის საზოგადოების შიგნით არსებული ყველა სოციალური სეგმენტის თვალში, რამაც მეორე საარჩევნო ვადის ბოლო წელიწადს იგი აიძულა, შერეული საარჩევნო სისტემიდან გადასულიყო პროპორციულ სისტემაზე ბუნებრივი საარჩევნო ბარიერით.** ამით, ერთი მხრივ, მმართველი ელიტა შეეცადა ხალხის მასებიდან მის მიმართ წამოსული ნეგატივის ჩაცხრობასა და განეიტრალებას; ხოლო, მეორე მხრივ, მან ხელი შეუწყო ლიბერალური პოლიტიკური კლასის მიერ დახურული პოლიტიკური სისტემის გახსნას. მისი ღიაობა მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელს შეუწყობს ანტილიბერალურ იდეოლოგიურ პოზიციაზე მყოფი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების გამოჩენას პოლიტიკური ასპარეზზე. რითაც პოლიტიკური ვითარება დაუბრუნდება საქართველოს დასავლურ ლიბერალურ სტრუქტურებში იურიდიულ ინტეგრაციაზე აგებულ საგარეო პოლიტიკური იდეის საწყის სტადიას, როდესაც **2020-2024 წლების პარლამენტი, მისი მრავალპარტიული ბუნებიდან გამომდინარე, 1992-1995 წლების საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ანალოგი გახდება, თუმცა იდეურად შებრუნებული მდგომარეობით. ასეთ დროს პოლიტიკური პროცესი უკვე მოძრაობს არა წინ, არამედ წინიდან უკან — სპირალის დაღმავალი ხვეული რგოლის შეკვრის მიმართულებით.**

2020 წლის საქართველოს საკანონმდებლო ორგანო, სავარაუდოდ, გარდაიქმნება მრავალ პატარ-პატარა პოლიტიკურ ჯგუფად დაჩეხილ ინსტიტუტად, რომელიც ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესების გამომხატველი პერსონებით დაკომპლექტდება. მიუხედავად პარტიათა სიმრავლისა, პოლიტიკური ძალების კონფიგურაციის ფორმირება მოხდება ორი იდეოლოგიური ფლანგის გარშემო მობილიზაციის საფუძველზე. ერთ მხარეს დაჯგუფდებიან პროამერიკულ ლიბერალურ-გლობალისტურ მსოფლმხედველობრივ პოზიციაზე მყოფი პოლიტიკური პარტიები, ხოლო მის საპირისპირო მხარეს — კონსერვატიულ რუსეთზე ორიენტირებული „სუვერენიტეტისტი“ კონსევრატორები.

თუ ობიექტურ დიალექტიკურ კანონს დავეყრდნობით, პარლამენტის ფუნქციონირების აღნიშნული პოლიტიკურ პოლარიზაციაზე დაფუძნებული კონფრონტაციული მოდელი 2024 წლამდე გაგრძელდება, როცა დასავლურ ლიბერალურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე კონსტრუირებული საგარეო-პოლიტიკური იდეა დაჩქარებული გაკოტრების პიკს მიაღწევს. **ასეთ ვითარებაში, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონის მიხედვით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დელეგიტიმირებული და განძარცვული იდეის ადგილს დაიკავებს ალტერნატიული საგარეო-პოლიტიკური იდეა, რომელიც ახალი დიალექტიკური ციკლის დაწყების საწინდარი იქნება. ამ სიტუაციამ, წესით, რუსულ-ქართული ურთიერთობა თვისობრივად განახლებულ და სტადიური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აიყვანოს.** დიალექტიკური კანონის გათვალისწინებით, თუ წინა პერიოდში რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა დაფუძნებული იყო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ურთიერთკავშირის პრინციპზე, ახალი ციკლის პირობებში რუსეთთან სტარტეგიული დაახლოების პროცესი გადავა უფრო მაღალი სტატუსის მქონე სუბიექტების, კერძოდ, სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ფარგლებში.

**ირაკლი უბილავა,**
**პოლიტოლოგი**

მსოფლიო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელმოწერილ სოლიდურ პაკეტში, უწინარესად, გამოვყოფ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას მეგობრულ ურთიერთობაზე, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. — ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი აამაღლებს რუსეთ-მონღოლეთის ურთიერთობის ხარისხს და ახალ დონეზე აიყვანს ყოვლისმომცველ სტრატეგიულ პარტნიორობას, გახსნის გაფართოების პერსპექტივებს სხვადასხვა მიმართულებით“.**

# მონღოლეთი რუსეთისა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს უახლოვდება

## მოსკოვი საპასუხოდ მასთან სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობას აფართოებს

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი 3 სექტემბერს ოფიციალური ვიზიტით მონღოლეთს ეწვია. ვიზიტის შედეგების მიხედვით, ხელი მოეწერა დოკუმენტების პაკეტს.**

პუტინმა და მისმა მონღოლმა კოლეგამ იმსჯელეს ორმხრივი საკითხების ფართო სპექტრზე, აგრეთვე, გაცვალეს მოსაზრებები აქტუალურ საერთაშორისო და რეგიონულ პრობლემებზე. რუსეთის პრეზიდენტმა გაიხსენა, რომ მოსკოვი და ულან-ბატორი კოორდინაციას უწევენ მოქმედებებს სხვადასხვა მოედანზე, მათ შორის, გაეროში, აძლიერებენ ურთიერთქმედებას ფორმატში რუსეთი-მონღოლეთი-ჩინეთი.

**„ჩვენ მივესალმებით მონღოლეთის მისწრაფებას, უფრო მჭიდრო კონტაქტები ჰქონდეს ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან. მიგვაჩნია, რომ ასეთი თანამშრომლობა დადებით გავლენას იქონიებს სავაჭრო-საინვესტიციო კავშირზე ჩვენს სახელმწიფოებს შორის“.**

თავის მხრივ, **ჰალტმააგინ ბატულგამ** აღნიშნა, რომ მოლაპარაკებების შედეგად რუსეთ-მონღოლეთის ურთიერთობა „ავიდა ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის ახალ დონეზე“.

### რა შეთანხმება გააფორმეს რუსეთმა და მონღოლეთმა?

ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მეგობრულ ურთიერთობასა და ყოვლისმომცველ სტრატეგიულ პარტნიორობაზე რუსეთის ფედერაციასა და მონღოლეთს შორის. პუტინის აზრით, ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერა გახსნის პერსპექტივებს ყველა მიმართულებით თანამშრომლობის გასაფართოებლად.

**„ხელმოწერილ სოლიდურ პაკეტში, უწინარესად, გამოვყოფ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას მეგობრულ ურთიერთობაზე,** — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. — **ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი აამაღლებს რუსეთ-მონღოლეთის ურთიერთობის ხარისხს და ახალ დონეზე აიყვანს ყოვლისმომცველ სტრატეგიულ პარტნიორობას, გახსნის გაფართოების პერსპექტივებს სხვადასხვა მიმართულებით“.**

ჰალტმააგინ ბატულგამ ილაპარაკა ხელმოწერილი დოკუმენტის მნიშვნელობაზე. **„ახალი შეთანხმება, რომელმაც ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობა ახალ დონეზე აიყვანა, მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელმაც განამტკიცა ორმხრივი ნდობა. ჩვენი თანამშრომლობა ახალ ერაში შედის“,** — განაცხადა მონღოლეთის პრეზიდენტმა.

### კიდევ რა დოკუმენტებს მოაწერეს ხელი მხარეებმა?

რუსეთ-მონღოლეთის პირველი პირების მოლაპარაკებების შედეგების მიხედვით, ხელი მოეწერა შეთანხმებას რუსეთისა და მონღოლეთის მთავრობებს შორის თანამშრომლობის შესახებ ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში. პრეზიდენტებმა, აგრეთვე, ხელი მოაწერეს პროტოკოლს 2003 წლის 3 მარტის შეთანხმების განახლების შესახებ მონღოლეთისთვის უსასყიდლო სამხედრო-ტექნიკურ დახმარებაზე; ხელი მოეწერა შეთანხმებას მონღოლეთის წიაღისეულის გეოლოგიური შესწავლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ქვეყნები ერთობლივად განახორციელებენ პროექტებს ინფრასტრუქტურების სფეროში, სამთო მრეწველობაში, ენერგეტიკასა და აგრომრეწველობაში. „როსატომი“ გეგმავს, მონღოლეთში შექმნას ატომური მეცნიერების ცენტრი რადიაციულ ტექნოლოგიასა და მედიცინაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად.



პუტინი და ბატულგა

ამას გარდა, მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ საფოსტო სამსახურებს შორის, ურთიერთგაგების მემორანდუმს ელექტროქსელების გამოყენების შესახებ და შეთანხმებას რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების ფონდთან; პრეზიდენტებმა, აგრეთვე, მოილაპარაკეს ბუნებრივი აირისა და სანავთობე მილსადენების გაყვანაზე ჩინეთში მონღოლეთის გავლით. მოლაპარაკებების შემდეგ პუტინმა ბატულგა მოსკოვში, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავზე დაპატიჟა და ვლადივოსტოკში აღმოსავლეთის ეკონომიკურ ფორუმზე მიიწვია, სადაც ორივე პრეზიდენტი ერთად გაფრინდა.

# რუსეთისა და ბელარუსის ინტეგრაცია წინ მიიწევს

**რუსეთთან ინტეგრაციის სამოქმედო პროგრამის პროექტი, რომელიც ბელარუსის მთავრობამ მოამზადა, განსახილველად პრეზიდენტ ლუკაშენკოს გადასცეს.**



**მოსკოვში კი რუსეთისა და ბელარუსის პრემიერებმა: დ. მედვედევმა და ს. რუმასმა სამოკავშირეო ხელშეკრულების შესრულების პროგრამის პარაფირება მოახდინეს და 31 გზამკვლევი შეათანხმეს ინტეგრაციის სხვადასხვა მიმართულებისთვის. მათ, აგრეთვე, ბუნებრივი აირის საერთო ბაზრის ფორმირებაზე დაიწყეს მუშაობა.**

დეკემბრის დასაწყისისთვის მხარეებმა უნდა მოამზადონ სამოკავშირეო სახელმწიფოს საქმიანობის ყველა სფეროს მომცველი ნორმატიული აქტები და დოკუმენტების პაკეტი ორივე ქვეყნის პრეზიდენტებს უნდა წარუდგინონ.

### შეთანხმება ინტეგრაციაზე

2018 წლის ბოლოს მინსკმა და მოსკოვმა ინტეგრაციის პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ მოილაპარაკეს. ამ ზაფხულს კი გაიმართა მოლაპარაკებები ლუკაშენკოსა და პუტინს შორის. ლუკაშენკომ წამოაყენა წინადადება, დღის წესრიგიდან მოეხსნათ ყველა საკამათო საკითხი და 2019 წლის 8 დეკემბრამდე მოემზადებინათ სამოქმედო პროგრამა. გადაწყდა, რომ 1 ნოემბრამდე მომზადდებოდა 28 საგზაო რუკა სხვადასხვა სფეროში ინტეგრაციისთვის, 2020 წლის ივნისისთვის — უნიფიცირებული კანონმდებლობა, 2021 წლიდან კი უნდა ამოქმედდეს ნავთობისა და გაზის, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო ბაზრები.



## მედვედევმა განაცხადა, რომ მზადაა რუსეთისა და ბელარუსის ინტეგრაციის გეგმა

**რუსეთის პრემიერმინისტრმა დიმიტრი მედვედევმა ბელარუს კოლეგა სერგეი რუმასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მზად არის რუსეთისა და ბელარუსის ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების სამოქმედო პროგრამა.**

მედვედევის თქმით, სამოქმედო პროგრამასა და „საგზაო რუკების“ ჩამონათვალზე ორი ქვეყნის ეკონომიკის სამინისტროები, ცენტრალური ბანკები და სამთავრობო სტრუქტურები მუშაობდნენ.

„ამის შემდეგ დაიწყება მზადება ამ „საგზაო რუკების“ დასამუშავებლად, რათა საბოლოოდ, როგორც მოლაპარაკებული იყო, დეკემბრის დასაწყისში, შეთანხმების 20 წლისთავზე, მივიდეთ პრეზიდენტებთან წინადადებებით, რათა საბოლოოდ მოვილაპარაკოთ, როგორ ვიმოძრაოთ საინტეგრაციო გზაზე“, — განაცხადა მედვედევმა.

გვერდი მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ევროპის წამყვანი ქვეყნები უარს ამბობენ, აღიარონ შეცდომები, რომლებიც დაუშვეს ბალკანეთის მიმართულებით, — მიუთითებენ ანალიტიკოსები. ვითარებას ამწვავებს უმუშევრობა და სოციალური პრობლემები. შედეგად ხდება ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობაში, აგრეთვე, ტერორისტულ და ექსტრემისტულ ორგანიზაციებში. ამ ფონზე კოსოვოს ხელისუფლება „ქრონიკულ უძლურებას“ ამჟღავნებს დაგროვილი პრობლემების მოგვარების საქმეში და განაგრძობს კოსოვოელ ალბანელებს შორის რადიკალური განწყობილების მხარდაჭერას.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქაოსის ტერიტორია: ევროპის წამყვანი ქვეყნები ბალკანეთის მიმართულებით დაშვებულ შეცდომებს არ აღიარებენ

**ნაწილობრივ აღიარებულ კოსოვოს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად მოიმატა ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების რაოდენობამ. შემთხვევათა უმრავლესობაში მსხვერპლი ადგილობრივი სერბები არიან. ბოლო აღმაშფოთებელი ინციდენტი მოხდა 2 სექტემბერს კოსოვოს მიტროვიცაში, სადაც დანებით შეიარაღებული ალბანელთა ჯგუფი თავს დაესხა სერბ ჭაბუკს და მძიმედ დაჭრა.**



ამ შემთხვევაზე ლაპარაკია ეუთოს მოხსენებაში. დოკუმენტის მიხედვით, **რეგიონში ყვავის ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობა, ხდება ადგილობრივების გადაბირება ტერორისტულ ორგანიზაციებში. მხარის ხელისუფლება ვერ აგვარებს დაგროვებულ პრობლემებს. კოსოვოს კრიზისი საფრთხედ იქცა არა მხოლოდ ბალკანეთისთვის, არამედ სრულიად ევროპისთვის.** ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კოსოვოში გასამართი საპარლამენტო არჩევნები ვერ გააუმჯობესებს სერბების მდგომარეობას. მიუხედავად ყველაფრისა, ევროპის წამყვანი ქვეყნები უარს ამბობენ, აღიარონ შეცდომები, რომლებიც დაუშვეს ბალკანეთის მიმართულებით, — მიუთითებენ ანალიტიკოსები. ვითარებას ამწვავებს უმუშევრობა და სოციალური პრობლემები. შედეგად ხდება ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობაში, აგრეთვე, ტერორისტულ და ექსტრემისტულ ორგანიზაციებში. ამ ფონზე კოსოვოს ხელისუფლება „ქრონიკულ უძლურებას“ ამჟღავნებს დაგროვილი პრობლემების მოგვარების საქმეში და განაგრძობს კოსოვოელ ალბანელებს შორის რადიკალური განწყობილების მხარდაჭერას.

ე.წ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ვერც ერთმა მთავრობამ ვერ იმუშავა მანდატის ამოწურვამდე. ვადამდე გადადგომა მოუწია ე.წ. პისტოლეტების კოალიციის კაბინეტსაც, რომელიც დაკომპლექტებული იყო კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის საველე მეთაურებით.

იმატებს რაოდენობა იმ ქვეყნებისა, რომლებმაც უკან წაიღეს ამ კვაზისახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სუვერენიტეტის აღიარება. სერბეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, გადაწყვეტილება უკან წაიღო 15-მა სახელმწიფომ. ბელგრადის მტკიცებით, დღეს კოსოვოს დამოუკიდებლობას აღიარებს 100 ქვეყანაზე ნაკლები, წინააღმდეგია 60-ზე მეტი, მათ შორის: რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ესპანეთი, ისრაელი და საბერძნეთი.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

**რეგიონში ყვავის ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობა. ხდება ადგილობრივების გადაბირება ტერორისტულ ორგანიზაციებში. მხარის ხელისუფლება ვერ აგვარებს დაგროვებულ პრობლემებს. კოსოვოს კრიზისი საფრთხედ იქცა არა მხოლოდ ბალკანეთისთვის, არამედ სრულიად ევროპისთვის**





# ევროპაში არალეგალი მიგრანტების პრობლემა მოგვარებული არ არის

**მიგრანტებისთვის სამი მთავარი მარშრუტის გადაკეტვის მიუხედავად, ევროკავშირმა ვერ მოაგვარა ლტოლვილთა საკითხი, — წერს გამოცემა Die Welt-ი. გარიგებები თურქეთთან, ლიბიასა და მაროკოსთან არამდგრადია. მათი ანულირების შემთხვევაში კი ევროპა კვლავ ვერ გაუმკლავდება მიგრაციის ნაკადს.**

უკვე რამდენიმე თვეა, რაც სამ ძირითად საიმიგრაციო მარშრუტზე მოქმედებს შეთანხმება ლტოლვილების შესახებ. ამ შეთანხმების მიხედვით, ევროკავშირს თავისი საზღვრების დაცვის პასუხისმგებლობა გადააქვს ქვეყნებზე, რომლებიც ლტოლვილებისთვის ამოსავალი წერტილია ევროპაში შესასვლელად.

2016 წელს გაფორმდა შეთანხმება თურქეთთან, 2017 წელს — ლიბიასთან, ხოლო 2019 წელს — მაროკოსთან. ამ გარიგებების პრინციპი ერთნაირია: ევროკავშირი გამოყოფს ფულს, მოწყობილობებსა და უზრუნველყოფს კონსულტაციებს, ქვეყნების სანაპირო დაცვა კი აღკვეთს მიგრანტების მცდელობას, გადავიდნენ ხმელთაშუა ზღვის სხვა ნაპირზე.

მაგრამ **„თავი არავინ მოიტყუოს, — წერს Die Welt-ი, — მიგრანტების საკითხი მოგვარებული არ არის, თუ „არამდგრადი“ გარიგებები მესამე ქვეყნებთან ანულირებული იქნება, ევროკავშირი კვლავ დარჩება სამომავლო ქმედებების გეგმის გარეშე. ამის ნიშნები კვლავ გაჩნდა: თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბრიუსელი არ შეასრულებს ანკარის საგარეო პოლიტიკურ მოთხოვნებს, „გახსნის კარიბჭეს“.**

„თუ თურქეთი მართლაც გახსნის საზღვრებს, საბერძნეთი ვერ გაუმკლავდება ლტოლვილების ნაკადს, რადგან 2015 წლიდან არაფერი შეცვლილა“, — წერს Die Welt-ი.

# იტალიელი ლიბერალების პიროსის გამარჯვება

## ლიბერალებმა პირი შეკრეს სალვინის წინააღმდეგ



**იტალიაში ახალი მთავრობა ჩამოაყალიბეს. მასში შევიდნენ მმართველი კოალიციის წარმომადგენლები — დემოკრატიული პარტიისა და მოძრაობა „5 ვარსკვლავის“ წევრები. მინისტრის პორტფელები, აგრეთვე, ერგოთ მემარცხენე-ცენტრალურ პარტიას „თავისუფლები და თანასწორები“ და მილანის ყოფილ უპარტიო პრეფექტს.**

პარტია „ჩრდილოეთის ლიგა“, რომლის ლიდერი **მატეო სალვინი** ცნობილია ევროსკეპტიციზმით, მთავრობის მიღმა აღმოჩნდა, თუმცა, ექსპერტთა ვარაუდით, მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. მათი აზრით, სალვინი გამოიყენებს მთავრობის შეცდომებს, რომლებსაც დაუშვებს რთული ეკონომიკური ვითარებიდან ქვეყნის გამოყვანის მცდელობისას. ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ იტალიაში გაიმართება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. სწორედ ეს სურს სალვინის.

**ეკონომიკურად იტალია ძალიან დასუსტებულია, ქვეყანაში მაღალია ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის დონე, საქმე კარგად არც მრეწველობაშია. ამ პირობებში ოპოზიციაში ყოფნა სალვინისთვის მომგებიანიც კია, — აღნიშნავენ ექსპერტები. სავარაუდოდ, შეიცვლება ქვეყნის მიდგომა საიმიგრაციო საკითხისადმი. მკაცრი ხაზი, რომელსაც მისდევდა სალვინი, შემსუბუქდება და ეს მთავარი საფრთხეა იტალიისთვის და მთავარი კოზირი სალვინისთვის.**

1980-იანი წლებიდან იტალია პერმანენტულ პოლიტიკურ კრიზისშია. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ქვეყანაში მხარეები განსხვავებულია: ჩრდილოეთი, ცენტრი და სამხრეთი სხვადასხვანაირია. აქ პოლიტიკური მდგრადობის მოპოვება ძალიან რთულია, მით უმეტეს კოჭლი ეკონომიკით, ამიტომ, ექსპერტთა ვარაუდით, იტალიაში პოლიტიკური კრიზისი ჯერ ვერ დასრულდება.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# ყველაფერი ფულის გამო

# ფარმაცევტებმა იცოდნენ, რომ ამერიკელებს ნარკოტიკზე «სვამდნენ»

**ამერიკული ფარმაცევტული კომპანია Purde Pharma აქეზებდა ექიმებს, პაციენტებისთვის ოპიოიდური ტკივილგამაყუჩებლების მაქსიმალური დოზა გამოეწერათ, თავისი თანამშრომლებისგან კი მოითხოვდა, რაც შეიძლება მეტი აბი გაეყიდათ, — იუწყება Fox News-ი.**

როგორც ტელეწამყვანი **ტაკერ კარლსონი** აღნიშნავს, Purde Pharma-ს მოქმედებების შედეგად ქვეყანაში დაიწყო ნარკომანიის ეპიდემია, რომელმაც ათიათასობით ამერიკელის სიცოცხლე შეიწირა.

Purde Pharma — ეს არის კომპანია, რომელიც აწარმოებს ოქსიკოდონს — ძლიერ ოპიოიდურ ტკივილგამაყუჩებელს. როცა ამ პრეპარატის გაყიდვას იწყებდა, კომპანია ყველას უმტკიცებდა, რომ პრეპარატი იწვევდა უფრო ნაკლებ დამოკიდებულებას, ვიდრე სხვა ოპიოიდური წამლები. ეს იყო ტყუილი და ეს Purde Pharma-მაც იცოდა. შედეგად უამრავი ადამიანი დაიღუპა.

გაირკვა, რომ ოქსიკოდონი ძალიან იოლად იწვევს დამოკიდებულებას. ამ პრეპარატმა ხელი შეუწყო ნარკომანიის ეპიდემიის გავრცელებას ამერიკაში, ეპიდემიისა, რომელმაც უფრო მეტი ამერიკელის სიცოცხლე შეიწირა, ვიდრე ნებისმიერმა სამხედრო კონფლიქტმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ახლა უკვე ცნობილია, რომ Purde Pharma-მ ზუსტად იცოდა, რასაც აკეთებდა. სასამართლოსთვის გადაცემული დოკუმენტებიდან შეიძლება შევიტყოთ, რას ამბობდნენ კომპანიაში, როგორ ზემოქმედებდნენ გაყიდვის განყოფილების თანამშრომლებზე, რათა მათ რაც შეიძლება მეტი აბი გაეყიდათ. ექიმებს მოუწოდებდნენ და აქეზებდნენ, გამოეწერათ პრეპარატის მაქსიმალური დოზები რაც შეიძლება მეტი მოგების მისაღებად.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინის გარდაცვალების შემდეგ საჩქაროდ დაცალეს კუნცეოს აგარაკი ავეჯისა თუ წვრილმანი ნივთებისაგან, გახსნეს ყველა სეიფი და საიდუმლო სამალავი. სტალინის ყველა აგარაკზე თუ კრემლის ბინაში არ დარჩა არც ერთი დოკუმენტი გაუსინჯავი და შეუსწორებელი, რომლებსაც კი სტალინის ხელი შეხებოდა. დანომრილი ყველა საიდუმლო თუ არასაიდუმლო ჩანაწერი შეცვლილია და იმავე ნომრით სულ სხვა მასალაა ჩადებული საარქივო მასალებში. თუ როგორ იცვლებოდა და ივსებოდა სტალინის არქივი ყალბი მასალებით, ამაზე რამდენიმე მაგალითს მოგაწვდით ახლახან აღმოჩენილი მასალებიდან, რომლებიც ცალკე წიგნად გამოიცა რუსეთის ხელისუფალთა ხელშეწყობით, სათაურით „სტალინი — მთავარი დოკუმენტები“.**

# სტალინის პირადი ცხოვრების ნაკლებად ცნობილი ფაქტები

**დადგენილია, რომ სტალინის გარდაცვალების დღესვე დაიწყეს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირფესვიანად შეცვლის მცდელობები. მოღალატეთა ჯგუფი კრემლში, სტალინის კაბინეტში პოლიტბიუროს სხდომას ატარებდა და, იმის ნაცვლად, რომ მომაკვდავის გვერდით ყოფილიყვნენ და მისი სიცოცხლის გადარჩენაზე ეზრუნათ, თანამდებობებს ინაწილებდნენ და უფლებებს იმტკიცებდნენ.**

ყოველგვარი დავისა და კამათის გარეშე, ჯგუფმა დედამიწის ერთი მეექვსედის ერთმმართველად ლავრენტი ბერიას კანდიდატურა წამოაყენა, მაგრამ რუსი ხალხის თვალის ასახვევად და რუსული შოვინიზმის დასაკმაყოფილებლად პირველ ადგილზე სტალინის მოღალატე მალენკოვი დაასახელა. ფარულმა მაცნემ კუნცეოდან კრემლს აცნობა, რომ ბელადმა სუნთქვა შეწყვიტა. 5 საათი იყო გასული მას შემდეგ, რაც სტალინი გაათავისუფლეს ყველა თანამდებობიდან, მაგრამ დატოვეს ცეკასა და პარტიის წევრად.

თავიანთი მდგომარეობით კმაყოფილმა სტალინის თანამებრძოლებმა კურსი კუნცეოსკენ, თავიანთი „ხაზეინის“ აგარაკისკენ, აიღეს.

კომისიამ **ბერიას, მალენკოვისა** და **ხრუშჩოვის** მონაწილეობით დაუყოვნებლივ დაიწყო მუშაობა დაკრძალვის ცერემონიისთვის მოსამზადებლად, აგრეთვე, თავიანთი არასასურველი ჩანაწერებისა და ბელადის მიერ ქაღალდზე გადატანილი გადაწყვეტილებების გასანადგურებლად და გადასამალავად.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ საჩქაროდ დაცალეს კუნცეოს აგარაკი ავეჯისა თუ წვრილმანი ნივთებისაგან, გახსნეს ყველა სეიფი და საიდუმლო სამალავი. სტალინის ყველა აგარაკზე თუ კრემლის ბინაში არ დარჩა არც ერთი დოკუმენტი გაუსინჯავი და შეუსწორებელი, რომელსაც კი სტალინის ხელი შეხებოდა. Dდანომრილი ყველა საიდუმლო თუ არასაიდუმლო ჩანაწერი შეცვლილია და იმავე ნომრით სულ სხვა მასალაა ჩადებული საარქივო მასალებში. თუ როგორ იცვლბოდა და ივსებოდა სტალინის არქივი ყალბი მასალებით, ამაზე რამდენიმე მაგალითს მოგაწვდით ახლახან აღმოჩენილი მასალებიდან, რომლებიც ცალკე წიგნად გამოიცა რუსეთის ხელისუფალთა ხელშეწყობით, სათაურით **„სტალინი — მთავარი დოკუმენტები“.**

1953 წლის სექტემბრიდან ხრუშჩოვის მიერ დაწინაურებული და მის კაცად ცნობილი **სეროვი** სტალინის გადასახლების ყველა ადგილს ეწვია და ყველგან აგენტები ჩათესა, რათა სტალინზე რაც შეიძლება მეტი სისაძაგლე შეეთხზათ და იქაურ მცხოვრებთა სახელით გაეგზავნათ ცენტრში. უამრავმა გამოგონილმა და უნიჭოდ შექმნილმა ყალბმა ბრალდებამ გაავსო შინაგან საქმეთა სამინისტრო თუ ცენტრალური კომიტეტის კანცელარია. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ ერთი წერილის ფოტოპირს, რომელიც გამოგზავნილია ცენტრალური კომიტეტის მდივნის — ხრუშჩოვის სახელზე (ფოტო №1). წერილის ავტორი 1956 წლის 17 მაისს 1946 წლის ამბებს იხსენებს (აშკარაა, სეროვის კარნახით).

ამ წერილის ქართული თარგმანი ასეთია:

„ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

1946 წლის ბოლოს კრასნოიარსკის მხარის კპ-ის მდივნად ყოფნის პერიოდში მოსკოვში ერთ-ერთი ვიზიტისას **პოსკრებიშევმა** დამირეკა და მკითხა, რამე ხომ არ ვიცოდი ივანოვებისა და პერეპრიგინების შესახებ, რომლებიც სტალინის გადასახლების ადგილში, კურეიკაში ცხოვრობდნენ. მე ვუპასუხე, რომ ივანოვებისა და პერეპრიგინების შესახებ არაფერი ვიცოდი. ამხანაგმა პოსკრებიშევმა მთხოვა, როგორც კი კრასნოიარსკში დავბრუნდებოდი, ამ ადამიანების შესახებ ინფორმაცია მომეძიებინა, რადგან მათით ამხანაგი სტალინი იყო დაინტერესებული. კრასნოიარსკში დაბრუნებისთანავე, კომპარტიის რაიკომიტეტის ინსტრუქტორი ამხ. სიროტენკო საკითხის გასარკვევად კურეიკასა და დუდინკაში გავაგზავნე. მივლინებიდან დაბრუნებულმა სიროტენკომ მომახსენა, რომ ივანოვი და პერეპრიგინი იპოვა და მომიყვა, რომ სტალინი 14 წლის ლიდია პერეპრიგინასთან ერთად ცხოვრობდა და მისგან ვაჟი ჰყავდა. ლიდია პერეპრიგინამ მას ვაჟის, ალექსანდრეს, ფოტოც გადასცა.

მსგავსი ინფორმაციის გადაცემა პოსკრებიშევისთვის იმხანად, რა თქმა უნდა, არ შემეძლო. ინფორმაცია ასეთი შინაარსის იყო: პეტრე ივანოვი, რომელიც სტალინს იცნობდა, არასრულწლოვან ლიდია პერეპრიგინასთან მისი თანაცხოვრებით უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ლიდიას უმცროს ძმას, იონ პერეპრიგინს, კი სტალინი ჟანდარმთან ჰყოლია დასმენილი. იონი და ლიდია პერეპრიგინები ობლები იყვნენ.

ახლა უკვე ეს ყველაფერი აღვიდგინე და გადავწყვიტე, ეს ინფორმაცია მოგაწოდოთ.

ტ. სიროტენკოს წერილს ვურთავ ლიდიას ვაჟის — ალექსანდრეს ფოტოს. სიროტენკო თვლის, რომ იგი სტალინის ვაჟია.

ა. არისტოვი

1956 წ. 17 მაისი“

ანალოგიური წერილი პირადად სეროვის მცდელობის შედეგად გამოგზავნილია იმავე 1956 წლის 4 მაისს. გთავაზობთ წერილის ფოტოპირს:

ამ წერილის ქართული თარგმანი ასეთია:

„კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს,

ამხანაგ არისტოვს

სკკპ კრასნოიარსკის მხარის პროპაგანდისა და აგიტაციის ყოფილი ინსტრუქტორ პ. სიროტენკოსგან.

1947 წლის იანვარში, როცა კრასონოიარსკის მხარის პარტიული კომიტეტის მდივანი ბრძანდებოდით, ჩრდილოეთში, დუდინკა-კურეიკაში გაფრენა დამავალეთ, სადაც ორი გვარის ადამიანი, ივანოვი და პერეტოკინი, უნდა მეპოვა. მივლინებისას მოპოვებული მასალების საფუძველზე დავადგინე, რომ იქ პერეტოკინის გვარით არავინ არსებობდა და ეს ადამიანი იყო პერეპრიგინი, რომელიც იმ ოჯახის გვარი იყო, ვისთანაც ამხანაგი სტალინი ცხოვრობდა. დუდინკაში საკმაოდ სწრაფად დავადგინე, რომ პეტრე ივანოვი, რომელიც ამხანაგ სტალინს ახლოს იცნობდა, მისი მეუღლის — დარია ალექსეევნას მტკიცებულებით, სტალინისა და პერეპრიგინების ერთ-ერთი ქალიშვილის თანაცხოვრებით ძალიან იყო აღშფოთებული. დუდინკაში ამ ყველაფრის გარკვევის შემდეგ ამ ადამიანების ადგილსამყოფელიც უნდა მომეძებნა. მირჩიეს, კურეიკაში ალექსეი ტარასეევთან მივსულიყავი. მას 1947 წლის მარტში შევხვდი. იგი ამ დროს 102 წლის იყო. მან ასეთი რამ მომიყვა: ის და ივანოვი, ასევე, პერეპრიგინი იონი, რომელიც ოჯახში ობოლი ბავშებიდან უფროსი იყო, გადასახლებული ჯუღაშვილის არასრულწლოვან ლიდია პერეპრიგინასთან თანაცხოვრების შესახებ საქმის აღსაძვრელად ჟანდარმ ლალეტინთან გამოიძახეს. პირობის დადების შემდეგ, რომ სრულწლოვანების დადგომისთანავე მასთან ქორწინებას გააფორმებდა, საქმე დაიხურა. ტარასეევმა ჩემი ყურადღება იმით მიიქცია, რომ ისინი ძველებურად ცხოვრობდნენ, როგორც ცარიზმის დროს დასცინოდნენ უბედურებას, დღესაც ისე დასცინიან. სინამდვილეში ცხოვრობენ ჩამოქცეულ თავშესაფრებში, სადაც გაუსაძლისი პირობებია. იმ დროს, როცა სპეცკონტიგენტი, განსაკუთრებით ლატვიელები და ესტონელები, ფაშისტების ოჯახები, რომლებიც კოლმეურნეობებისაგან სესხებს ღებულობენ, სახლებს იშენებენ და ეს ყველაფერი იმ მიზეზით რომ, კურეიკის კოლმეურნეობა, სადაც სტალინი ცხოვრობდა, კარგად უნდა გამოიყურებოდეს.

მოხუცმა მითხრა, რომ ლიდია პეტროვნა პერეპრიგინადავიდოვა ცხოვრობდა ანგუტიხში, რომელიც კურეიკადან ტურუხანსკისკენ მიმავალი გზის შუაში მდებარეობდა.

1947 წლის აპრილში მასთან შეხვედრისას შემდეგი რამ ჩავიწერე:

1900 წელს დაბადებულმა ლიდია პერეპრიგინამ სტალინთან თანაცხოვრება 14 წლისამ დაიწყო. მასთან ყოფნის პერიოდში გააჩინა ვაჟი, მაგრამ ჩვილი მალევე დაიღუპა. სტალინმა ჟანდარმებს პირობა მისცა, როგორც კი ლიდია სრულწლოვანი გახდებოდა, მასთან ქორწინებას გააფორმებდა. სტალინის გაქცევამდე ლიდია ორსულად იყო და მის არყოფნაში ისევ ბიჭი გაუჩნდა, რომელსაც ალექსანდრე დაარქვა. იგი ირწმუნება, რომ მისგან წერილებსაც იღებდა და ფოტოც კი გამოუგზავნა, რომელიც, მისი მითითებით, მუზეუმის დირექტორმა იურინმა კურეიკის სახლის სხვენში იპოვა. როდესაც ხმა გავარდა, რომ სტალინი ფრონტზე მოკლეს, ლიდია იაკობ დავიდოვმა დანიშნა და შემდეგ ცოლად შეირთო. 4 წლის შემდეგ, როცა გაზეთში სტალინის ფოტო აჩვენეს, მან საკუთარი შვილის მამა ამოიცნო. ვინაიდან უკვე სხვაზე იყო გათხოვილი, საჭიროდ არ ჩათვალა, მისთვის თავი შეეხსენებინა და შვილის ამბავი ემცნო. ჩემი თხოვნით, ლიდია პლატონოვნამ თავისი ვაჟის — ალექსანდრეს ფოტო გადმომცა, რომელსაც ამ წერილთან ერთად თქვენ გადმოგცემთ.

სიტორენკო.

1956 წელი. 4 მაისი“

საარქივო მასალებში მოიპოვება ერთი ასეთი მასალა:

სტალინის გადასახლების ერთ-ერთ ადგილზე, კერძოდ, ზემოხსენებულ კურეიკაში გადასახლებული იოსებ ჯუღაშვილის მეთვალყურედ მუშაობდა ჟანდარმერიის წარმომადგენელი ვინმე **მიხეილ მერზლიაკოვი,** რომელიც ცუდად არ ეპყრობოდა პოლიტპატიმარს. 1930 წელს მიხეილ მერზლიაკოვი გარიცხეს კრასნოიარსკის მხარის სოფელ ერმალოვოს კოლმეურნეობის წევრობიდან, როგორც ყოფილი ჟანდარმერიის ოფიცერი. მიხეილ მერზლიაკოვმა მიმართა სტალინს განცხადებით, რათა გაეწია მისთვის დახმარება. არ არის მითითებული, რომელ რიცხვში მიმართა წერილით სტალინს მერზლიაკოვმა, მაგრამ საოცარი ის არის, რომ იმავე წლის 27 თებერვალს, ე.ი., თვე-ნახევრის შემდეგ კრასნოიარსკის მხარის ხელმძღვანელობამ მიიღო სტალინისგან პასუხი.

აი წერილის ფოტოპირი:

ამ წერილის ქართული თარგმანი შემდეგი შინაარსისაა:

„კრასნოიარსკის რაიონისა და ოლქის სოფელ ემელიანოვის საბჭოს,

მიხეილ მერზლიაკოვს.

მერზლიაკოვი მახსოვს ჩემი გადასახლების ადგილიდან — სოფელ კურეიკადან, სადაც 1914-1916 წლებში დარაჯი იყო. მას აღმასრულებლისგან მხოლოდ ერთი



ФОТО №1





გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი პარტიის გენერალური მდივანია. დაიწყო აღმშენებლობის დიადი პროგრამების განხორციელება. ქვეყანამ თითქოს ამოისუნთქა, გამარჯვება გამარჯვებას მისდევდა, შენდებოდა მძლავრი ინდუსტრიული გიგანტები, უცხოური ინვესტიციების გარეშე ქვეყანა არნახული სისწრაფით მიიწევდა წინ. აკი ამიტომაც 1929 წელს სამართლიანად ეწოდა დიადი გარდატეხის წელი.**


სტალინის ცრუ მემკვიდრე

◀რამ ევალებოდა — ჩემთვის თვალყურის დევნება (კურეიკაში იმ დროს სხვა გადასახლებულები ჯერ არ იყვნენ). გასაგებია, რომ ამის გამო მერზლიაკოვთან მეგობრულ ურთიერთობაში ვერ ვიქნებოდი. მით უმეტეს, უნდა აღვნიშნო: მიუხედავად იმისა რომ, მის მიმართ ჩემი ურთიერთობა „მეგობრული“ არ იყო, ის არც მტრული ყოფილა, როგორი ურთიერთობაც გადასახლებულებსა და დარაჯებს შორის არსებობდა. ჩემი აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ მიხეილ მერზლიაკოვი აღმასრულებლის დავალებას ფორმალურად, პოლიციური მიდგომის გარეშე ასრულებდა: არ მითვალთვალებდა, არ მაღიზიანებდა, არ მიწვევდა, ჩემს ხშირ გაცდენებზე თვალს ხუჭავდა და აღმასრულებელს მომაბეზრებელი „მითითებებისა“ და „განკარგულებებისთვის“ ხშირად ეჩხუბებოდა. თავს ვალდებულად ვთვლი, ეს ყველაფერი თქვენ მოგახსენოთ. ასეთი ვითარება იყო 914-1916 წლებში, როდესაც დარაჯი მ. მერზლიაკოვი სხვა პოლიციელებისაგან გამოირჩეოდა.

თუ როგორ შეიცვალა კოლჩაკის პერიოდში და საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, როგორ იქცეოდა ან ამჟამად როგორია, რა თქმა უნდა, არ ვიცი.

გიძღვნით კომუნისტურ სალამს (ი. სტალინი).

მოსკოვი, 27/პ-1930წ.“

ძვირფასო მკითხველო, ალბათ, ხვდებით, რომ მცირეწლოვან ლიდიას მიერ გაჩენილი ორი ბავშვი, რომლებიც თურმე სტალინის უკანონო შვილები ყოფილან, ერთი დაბადებისთანავე გარდაცვლილა, მეორე კი ჯანსაღია. ორივე 1914 წლამდეა დაბადებული. რადგან სტალინის პასუხში კრასნოიარსკის მხარის ადმინისტრაციისადმი დახასიათებას იძლევა 1914-დან 1916 წლამდე, როდესაც ის იმყოფებოდა გადასახლებაში კურეიკაში, მინისტრი სეროვი კი ირწმუნება, რომ ლიდიას ბავშვები სტალინის მიერ უპატრონოდ მიტოვებული შვილები ყოფილან. როგორც წერენ სტალინის პირადი არქივის მკვლევარები, მათ შორის, ამერიკელი **რ. ფეერი,** რუსები — **სტარიკოვი, ჟუკოვი, საიცინი** და სხვ. ასეთი თეთრი ძაფით შეკერილი საქმეები ასეულ ათასობით თაბახის ფურცელია. ამ იწილო-ბიწილოთი თავი რომ არ გადავიღალოთ და საფუძვლიანად შევისწავლოთ სტალინი, უფრო სერიოზულ საკთხებს უნდა მივუბრუნდეთ და მათზე გავამახვილოთ ყურადღება.

წარმოგიდგენთ არასრულწლოვანი ლიდიას მიერ გაჩენილ სტალინის ცრუ მემკვიდრეს, რომელიც ისე ჰგავს სტალინს, როგორც ქვემოთ წარმოდგენილი მასალა სინამდვილეს.

„სტალინი თავდაუზოგავად იბრძოდა ძალაუფლებისათვის, ამ გზაზე ის შეუბრალებელი იყო ყველას მიმართ, ვინც წინ გადაეღობებოდა. თანამებრძოლი იქნებოდა ის თუ ოპოზიციონერი, მას მძიმე განსაცდელი ელოდა“.

ასე აღწერდნენ სტალინის პიროვნებას 1920-იანი წლებიდან დღემდე, ვიდრე მზის სინათლე არ იხილა განადგურებას ან გადაკეთებას გადარჩენილმა ზოგიერთმა მასალამ. **როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, სტალინი ნამდვილად თავდაუზოგავად იბრძოდა, ოღონდ რუსეთისა და რუსეთში შემავალი ერების გადასარჩენად და მათ გასათავისუფლებლად მონობისაგან. მისი მიზანი იყო ხალხის და სახელმწიფოს ნათელი მომავალი. ოპოზიციას, რომელიც ზოგი დალუქული ვაგონით, ზოგიც ხომალდებით შეუსიეს რუსეთს, სხვა მიზნები ამოძრავებდა.**

ტურუხანსკის გადასახლებიდან ახლადაბრუნებული სტალინი მყისვე ჩაერთო რევოლუციის მოსამზადებელ სამუშაოებში და მოკლე პერიოდში შექმნა პარტიული მოძღვრება ახალი სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების შესახებ.

სხვა მიზნითა და სხვა ფიქრით დატვირთული ოპოზიცია იმთავითვე აღიმართა, როგორც ჯადოსნური ძალა, სტალინის წინაშე. მშვიდობიანი პერიოდის თუ სამოქალაქო ომის განმავლობაში სტალინი ხან ხმლით ხელში ებრძოდა მომხვდურ მტერს, ხან დამშეული მოსკოვისთვის მარცვალს აგროვებდა პურის მწარმოებელ რაიონებში. სტალინის წინააღმდეგ ამხედრებული საზღვარგარეთიდან შემოთესლილი აგენტურა ფულით სავსე ჩემოდნებით ხან მოტყუებით, ხან მოსყიდვით, ხან ტერორითა და სხვა ფანდებით ასუსტებდა ახალგაზრდა სოციალისტურ ქვეყანას. მათ რუსეთის იმპერია სხვა დანიშნულებისთვის სჭირდებოდათ და არა გასაძლიერებლად.

**„რუსეთი მსოფლიო რევოლუციის კოცონის დასანთებ ფიჩხად უნდა გამოვიყენოთ“,** — წერდა თავის დროზე **ლევ ტროცკი.** მას სტალინი, რა თქმა უნდა, არ დაუშვებდა.

მკითხველო, წარმოიდგინეთ ერთ მხარეს ჯარისკაცის მაზარაში გახვეული საშუალოზე მაღალი, მრისხანე გამოხედვის კავკასიელი მეამბოხე, მეცნიერი, დიპლომატი, პოლიტიკოსი, რევოლუციონერი და მეორე მხარეს — უცხოეთის მხარდაჭერილი, ფულით სავსე ტომრებით უზრუნველყოფილი პოლიტიკოსები — **ლენინი, ტროცკი, ბუხარინი, კამენევი, ზინოვიევი, რიკოვი** და ათასობით მათი ფარული თუ ღია მხარდამჭერი.

1917-დან 1924 წლამდე უამრავ ხიფათსა და ფარულ წყალქვეშა რიფს გამოვლილი


В Пленум ЦК РКП.

Полуторогодовая совместная работа в Политбюро с т.т. Зиновьевым и Каменевым после ухода, а потом, и смерти Ленина, сделала для меня совершенно ясной невозможность честной и искренней совместной политической работы с этими товарищами в рамках одной узкой коллегии. Ввиду этого прошу считать меня выбывшим из состава Пол.Бюро ЦК.

Ввиду того, что ген.секретарем не может быть не член Пол.Бюро, прошу считать меня выбывшим из состава Секретариата (и Оргбюро) ЦК.

Прошу дать отпуск для лечения месяца на два.

По истечении срока отпуска прошу считать меня распределенным либо в Туруханский край, либо в Якутскую область, либо куда-либо за границу на какую-либо невидную работу.

Все эти вопросы просил бы Пленум разрешить в моем отсутствии и без объяснений с моей стороны, ибо считаю вредным для дела дать объяснения, кроме тех замечаний, которые уже даны в первом абзаце этого письма.

Т-ща Куйбышева просил бы раздать членам ЦК копию этого письма.

С ком.прив. И.Сталин

19.VIII.24г.




სტალინი, რომელიც თურმე „თავდაუზოგავად მიილტვის ხელისუფლებისკენ“, 1924 წლის 19 ივლისს, როდესაც ოპოზიციის მიერ მოსყიდულმა ნადეჟდა **კრუპსკაიამ** VIII ყრილობას წარუდგინა ლენინის ანდერძი სტალინის გენმდივნობიდან გადაყენების მოთხოვნით, რომელიც ინსპირირებული იყო ოპოზიციის მიერ, სტალინმა VIII ყრილობის წინა პლენუმს გააცნო თავისი განცხადება გენერალური მდივნობიდან გადადგომის თაობაზე.

აი მისი ორიგინალი და შინაარსი:

სტალინის ეს განცხადება არ იყო პლენუმისადმი მისი თხოვნა, ეს იყო მისი ულტიმატუმი, რადგან მას არ ეძლეოდა საშუალება, ემუშავა ქვეყნის აღმშენებლობაზე. ყრილობის მთელმა შემადგენლობამ, მათ შორის, **ზინოვიევმა** და **კამენევმა** არ დააკმაყოფილეს სტალინის მოთხოვნა თანამდებობიდან წასვლის თაობაზე. ოპოზიციამ კიდევ უფრო გააძლიერა სტალინის კრიტიკა და ყველა პლენუმი არა საქმიანი, არამედ გაუთავებელი ურთიერთბრალდებისა და ცილისწამების არენად გადააქცია.

1926 წლის 14-23 ივლისს პარტიის პლენუმზე კამენევმა წარმოადგინა ლენინის წერილი, რომელიც სტალინს კრუპსკაიას მიმართ ჩადენილი უხეშობისთვის ბოდიშს სთხოვდა, ოპოზიცია კატეგორიულად მოითხოვდა სტალინის გადაყენებას. მას შემდეგ, რაც პლენუმის მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ სტალინს მტკიცედ დაუჭირა მხარი, გენერალურმა მდივანმა პლენუმზე სიტყვა ითხოვა და გააკეთა მოხსენება კერძო საკითხზე, სადაც გააანალიზა, რატომ არის საჭირო მისი წასვლა თანამდებობიდან. ამასთანავე, რიკოვს გადასცა განცხადება გადადგომის თაობაზე. ეს მისი მეორე განცხადება იყო გადადგომის შესახებ.

თავმჯდომარე რიკოვმა ხალისით გააცნო პლენუმის მონაწილეებს განცხადების შინაარსი და კენჭისყრაზე დააყენა.

რიკოვი: — კენჭს ვუყრით სტალინის წინადადებას მისი გენერალური მდივნის თანამდებობიდან წასვლის შესახებ: ვინ არის მომხრე ამ წინადადების? (არავინ).

ვინ არის წინააღმდეგი ამ წინადადების? (ყველა)

თავი ვინ შეიკავა? (ერთმა) — (ალბათ, სტალინმა — გრ. ონიანი)

სტალინი კვლავ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანია.

1927 წლის 19 დეკემბერს დამთავრდა პარტიის XVII ყრილობა. ამ ყრილობაზე სტალინმა პიროვნული და ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა — ან ქვეყანა უნდა განთავისუფლდეს მეხუთე კოლონისგან და შეუფერხებლად დაიწყოს ქვეყნის აღმშენებლობა, ან ხელისუფლება უნდა გადავცეთ მათ, რაც შეუქცევადს გახდის ქვეყნის კატასტროფას. სტალინმა დამაჯერებელი არგუმენტებით დაარწმუნა ყრილობის მონაწილეები, რომ გაერთიანებული ოპოზიციის ადგილი არ არის არც ქვეყანაში და არც პარტიაში; რომ ის შემოდის წინადადებით, ოპოზიციის სრული შემადგენლობა გაირიცხოს პარტიიდან და ისინი მოიხსნან დაკავებული თანამდებობიდან. ცხარე კამათის შემდეგ, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა, ყრილობამ მიიღო დადგენილება ოპოზიციის ყველა წევრის პარტიიდან გარიცხვისა და თანამდებობიდან მათი დათხოვნის შესახებ.

ყრილობა ისეთ ემოციურ ფონზე წარიმართა, რომ არავის უფიქრია კიდევ რაიმე საკითხის წამოჭრა. თავმჯდომარე რიკოვმა იკითხა:

— ხომ არ გაქვთ ვინმეს წინადადება?

მოულოდნელად სტალინმა ასწია ხელი და სიტყვა ითხოვა.

ვოროშილოვი: — სტალინს სიტყვა არ მისცეთ.

მაგრამ გვიანღა იყო, სტალინი უკვე ტრიბუნაზე იდგა.

„მაშინ, როდესაც ყრილობა უნდა შეუდგეს ხელმძღვანელი ორგანოების არჩევას, შემოვდივარ წინადადებით, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობაზე მე, იოსებ სტალინი, არ ამირჩიოთ “.

ზოგიერთი მკვლევარი სვამს კითხვას: სტალინის ოპოზიციაზე სრული გამარჯვების შემდეგ, იყო თუ არა ეს გათამაშებული სცენა? სტალინის დამარწმუნებელი ფაქტები და ტონი მიანიშნებდა, რომ მისი ასეთი საქციელი კიდევ უფრო განამტკიცებდა პარტიის ერთიანობას და ლენინის ანდერძი პარტიას შესრულებული ექნებოდა, — აცხადებდა სტალინი. სტალინმა განცხადება სხდომის თავმჯდომარე **დოგადოვს** გადასცა.

**დოგადოვი:**
— კენჭი ვუყაროთ კამათის გარეშე.

**ვოროშილოვი:**
— გთავაზობთ, მოსმენილი განცხადება უარვყოთ.

**რიკოვი:** — კენჭი ვუყაროთ გამოსვლების გარეშე.

**კოსიორი:** — კენჭი ეყრება სტალინის გათავისუფლებას გენერალური მდივნის თანამდებობიდან:

— ვინ არის მომხრე? (არავინ).

— ვინ არის წინააღმდეგი (ყველა).

თავი ვინ შეიკავა (ერთმა) — (ალბათ, სტალინმა — გრ. ონიანი.)

სტალინი პარტიის გენერალური მდივანია. დაიწყო აღმშენებლობის დიადი პროგრამების განხორციელება. ქვეყანამ თითქოს ამოისუნთქა, გამარჯვება გამარჯვებას მისდევდა, შენდებოდა მძლავრი ინდუსტრიული გიგანტები უცხოური ინვესტიციების გარეშე, ქვეყანა არნახული სისწრაფით მიიწევდა წინ. აკი ამიტომაც 1929 წელს სამართლიანად ეწოდა დიადი გარდატეხის წელი.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

თარიღი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„1930-იანი წლების ბოლომდე ესტონეთის ხუტორებში არ იცოდნენ, რა არის საპირფარეშო (კანალიზაციაც კი არა) და, უბრალოდ, დადიოდნენ მოფარებულში ან სადაც მოუწევდათ... შედეგად იყო ბევრი დაავადება. კონკურსიც კი გამოაცხადეს პრემიით. კონკურსში გამარჯვებულები სამაგალითონი ხდებოდნენ, პრეზიდენტი პირადად ულოცავდა მათ და შედეგად, საპირფარეშოიანი ხუტორების რაოდენობამ 5%-დან 35%-მდე მოიმატა. 1938-40 წლებში ესტონეთიდან სსრკ-ში დაახლოებით 1000 ადამიანი გაიქცა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტს მიღებული ჰქონდა ბრძანება, დამიზნებით ესროლა გაქცეულთათვის“.**

## ნაწილი მეორე

# 1939 წლის პოლონური სირცხვილი
## მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ

## ეკონომიკურად ღატაკი პოლონეთი და ბალტიისპირელები

**დღეს ჩვენ გვიმტკიცებენ, რომ 1939 წელს ღატაკი, ჩამოფლეთილი და მშიერი სსრკ გასაძარცვავად თავს დაესხა ჯერ მდიდარ პოლონეთს, შემდეგ კი — ბალტიისპირეთის უმდიდრეს ქვეყნებს და სწორედ ამით დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. განვიხილოთ წინასაომარი სიტუაციის ეს ასპექტი — ვინ იყო ღარიბი და ვინ არა.**

რევოლუციამდე პოლონეთის ნახევარიც და ბალტიისპირეთის ყველა ეს „სახელმწიფოც“ რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნენ და დამაკავშირებელი გზების განვითარებისა და ამ საიმპერიო ტერიტორიების ნაწილზე ზღვაზე გასასვლელის არსებობის წყალობით იქ მრეწველობა რუსული ნედლეულითა და რუსეთის ბაზრისთვის ვითარდებოდა. არც სოფლის მეურნეობისთვის არსებობდა პრობლემები: იმპერიის ამ ნაწილებში კლიმატი უფრო რბილი იყო, ვიდრე რუსეთის დანარჩენი ტერიტორიის უდიდეს ნაწილში. შესაბამისად, რძის, პურისა და ხორცის თვითღირებულება ნაკლები იყო, ხოლო პეტერბურგის რაიონთან სიახლოვე პროდუქციის უკეთეს ფასად გასაღების საშუალებას იძლეოდა.

მაგრამ რევოლუციის შემდეგ ამ სახელმწიფოებში ნაძირალა ნაციონალისტებმა გამოაცხადეს „დამოუკიდებლობა“ და ეს ქვეყნები „სუვერენული“ გახდნენ. ბოლშევიკებმა თვითონვე გაუშვეს ისინი იმპერიიდან. უბედურებად იქცა ის, რომ ეს ქვეყნები მყისვე მტრულად განეწყვნენ სსრკ-ის მიმართ და გერმანელებს დაუთმეს საკუთარი ტერიტორიები რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციისთვის.

„სუვერენების“ ამ პოლიტიკამ გამოიწვია ის, **რომ სსრკ-მა იქ დაკარგული წარმოებები თავის ტერიტორიაზე მოაწყო და პოლონეთისა და ბალტიისპირეთისკენ გასაგზავნად განკუთვნილი ნედლეულის გადამუშავება თვითონ დაიწყო, თვითონვე ამარაგებდა საკუთარ ბაზარს ამ საწარმოების საქონლით. ისევე, როგორც სსრკ-ის დაშლის შემდგომ, მრეწველობა პოლონეთსა და იმავე ბალტიისპირეთში სწრაფად წავიდა უკუსვლით.** მაგალითად, ესტონეთის მრეწველობაში მომუშავეთა რაოდენობა 36 ათასიდან (მეფის დროს) 17 ათასამდე შემცირდა „დემოკრატიისას“. ხეტყის გარდა, ბალტიისპირეთში მნიშვნელოვანი ნედლეული არ არის, ამიტომ ბალტიისპირელებს მხოლოდ ერთი გზა დარჩათ — სოფლის მეურნეობის განვითარება, მაგრამ ამისთვისაც ბაზარია საჭირო. არადა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება დანარჩენ ევროპაში უფრო იაფია, ვიდრე ბალტიისპირეთში. ამის გამო ბალტიისპირელი გლეხები იძულებულნი იყვნენ, ევროპაში კარაქი და ღორის ხორცი იაფად გაეყიდად, რაც მათ უტოვებდა მიზერულ შემოსავალს ნახევრადღატაკი არსებობისთვის. არა სსრკ, არამედ ესტონეთი იყო ევროპაში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილას ცხოვრების დონის მიხედვით. ინტერნეტფორუმ ВИФ-2-ზე ამ თემის განხილვისას კორესპონდენტმა ესტონეთიდან გვაუწყა: **„როგორც ცნობილია, ომამდე სსრკ-ში ბევრი კამპანია იყო შემდეგი ლოზუნგებით: „ყველანი ტრაქტორზე“, „ყველანი ავტომობილზე“, „ვოროშილოველი მსროლელი“ და ა. შ. ესტონეთში ტრაქტორები და თვითმფრინავები არ იყო, მაგრამ იყო ლოზუნგი „ყოველ ხუტორს შესაფერისი ფეხსადგილი“. ხუტორებში ცხოვრობდა მოსახლეობის 90%, მათი ნახევარი მოჯამაგირეები იყვნენ. 1930-იანი წლების ბოლომდე ესტონეთის ხუტორებში არ იცოდნენ, რა იყო საპირფარეშო (კანალიზაციაც კი არა) და, უბრალოდ, დადიოდნენ მოფარებულში ან სადაც მოუწევდათ... შედეგად იყო ბევრი დაავადება. კონკურსიც კი გამოაცხადეს პრემიით. კონკურსში გამარჯვებულები სამაგალითონი ხდებოდნენ, პრეზიდენტი პირადად ულოცავდა მათ და შედეგად, საპირფარეშოიანი ხუტორების რაოდენობამ 5%-დან 35%-მდე მოიმატა. 1938-40 წლებში ესტონეთიდან სსრკ-ში დაახლოებით 1000 ადამიანი გაიქცა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტს მიღებული ჰქონდა ბრძანება, დამიზნებით ესროლა გაქცეულთათვის“.**

სანამ მეზობელ სსრკ-ში ადამიანები ასევე უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდნენ, ბალტიისპირეთის რეჟიმები ჯერ კიდევ ახერხებდნენ სიტუაციის კონტროლს, მაგრამ, როდესაც სსრკ-ში ადამიანების ცხოვრების მკვეთრი გაუმჯობესება დაიწყო, ვერანაირი ფაშისტური დიქტატურა მათ ველარ დაეხმარებოდა. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ საზღვრებმა გაყო არა მხოლოდ ერთი ერი, არამედ მილიონობით ოჯახი. ხალხს ჰქონდა მიმოწერა ერთმანეთთან. და, **როდესაც ერთი ძმა მინსკის ან კრივოი როგის შემოგარენიდან სწერდა მეორე ძმას ლვოვის, კაუნასის ან ტარტუს შემოგარენში, რომ ის შეაგდეს კოლმეურნეობაში, რომ მხოლოდ ძროხა და ათიოდე ცხვარი დაუტოვეს, ეს კიდევ უბედურების ნაწილი იყო; მაგრამ, როდესაც სწერდა, რომ მისი უფროსი ვაჟი ბატალიონს ხელმძღვანელობს წითელ არმიაში, მეორე კი უნივერსიტეტს ამთავრებს მოსკოვში, ქალიშვილი სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს ხარკოვში, ავადმყოფი მეუღლე უსასყიდლოდ წაიყვანეს კიევში საოპერაციოდ, უმცროსი შვილები კი უსასყიდლოდ ისვენებენ ყირიმში, როგორ უნდა ეგრძნო თავი ადგილობრივ ჩვეულებრივ მოსახლეს პოლონეთში ან ბალტიისპირეთში?** ჩვეულებრივ მოსახლეს, რომელიც საკუთარი მიწით გაჭირვებით არჩენდა ოჯახს, ხოლო შვილების ოჯახების რჩენა უკვე აღარ შეეძლო; ჩვეულებრივი მოსახლე, რომლის ოცნების მწვერვალი იყო, ვაჟი მატროსად მოეწყო უცხოურ ხომალდზე იმის იმედით, რომ ოდესმე, ასე 5 წლის შემდეგ, ეს ხომალდი ისევ შევიდოდა რეველში (ტალინში — რედ.) შვილი რამდენიმე გროშს დაუტოვებდა და ასანთის საყიდელი ფული გაუჩნდებოდა.

დიახ, ამ ქვეყნების ქალაქებში იყო რამდენიმე მაღაზია, რომელთა ვიტრინებიც ბრწყინავდა საქონლის სიმდიდრით სრულიად მსოფლიოდან, და არსებობდა მოსახლეობის გარკვეული პროცენტი, რომელსაც შეეძლო ამ მაღაზიებში შესვლა. და ეს ნაწილი იყო სსრკ-თან მიერთების წინააღმდეგი. მაგრამ რა შეეძლოთ ამ მართლაც ხალხის მტრებს ჩვეულებრივი ადგილობრივი ბრბოს წინააღმდეგ, რომელიც სსრკ-ისკენ მიისწრაფოდა და აბსოლუტურად მართლი იყო ამ მისწრაფებაში? **სსრკ-ისგან გამოყოფილი ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი ბრაზაუსკასი, როდესაც ჯერ კიდევ ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო, სსრკ-ის საბჭოების სხდომაზე ყვებოდა საკუთარი თვალით ნანახის შესახებ ლიტვაში 1940 წელს. იგი ამბობდა, რომ მის რაიონში ყველა ხუტორის გლეხმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი საბჭოთა ხელისუფლებას და სსრკ-თან მიერთებას. ეს მაშინ, როცა ამ რაიონში ჯერ კიდევ არ იმყოფებოდა არათუ საბჭოთა ჯარისკაცი, არამედ საბჭოთა ადამიანიც კი არავის ჰყავდა ნანახი.** აღსანიშნავია, რომ პოლონეთს არ ჰქონდა არანაირი ეკონომიკური საფუძველი, ყოფილიყო ისეთ საცოდავ მდგომარეობაში, როგორშიც ბალტიისპირელები იმყოფებოდნენ. პოლონეთის ტერიტორიაზე საკმაოდ იყო სასარგებლო წიაღისეული: რკინისა და თუთიის საბადოები, ნავთობი; ქვანახშირის მარაგით ის ევროპაში მესამე ადგილს იკავებდა. შესანიშნავად იყო განვითარებული საწყლოსნო-სატრანსპორტო სისტემა, რკინიგზისა და საავტომობილო გზების ფართო ქსელი და, რაც მთავარია, ძლიერი მრეწველობა, რომელიც პოლონეთს მემკვიდრეობით ერგო სამი ყოფილი იმპერიისგან — გერმანიის, ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთის. თუმცა ქვანახშირს მოპოვების შესაძლო სიმძლავრის, 60 მლნ ტონის ნაცვლად, მოიპოვებდნენ დაახლოებით 36 მლნ ტონას; თუჯს, 1 მლნ ტონის ნაცვლად, ადნობდნენ 0,7 მლნ ტონას; ფოლადს, წარმოების შესაძლო სიმძლავრის — 1,7 მლნ ტონის ნაცვლად, აწარმოებდნენ 1,5 მლნ ტონას; ისეთ ლიკვიდურ საქონელსაც კი, როგორიც ნავთობია, აწარმოებდნენ 0,5 მლნ ტონას, როცა 1913 წელს მოიპოვეს 1,1 მლნ. **ომამდე პოლონეთს არც ერთხელ არ მიუღწევია 1913 წლის წარმოების მაჩვენებლისთვის და მოსახლეობით, რომელიც მსოფლიო მოსახლეობის 1,6% იყო, აწარმოებდა მხოლოდ მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 0,7%-ს. ამასთანავე, ომამდელი წლიური ბიუჯეტის (2,5 მლრდ ზლოტის) პირობებში, პოლონეთს გააჩნდა სახელმწიფო ვალი 4,7 მილიარდის ოდენობით და 400 მილიონი ზლოტი ყოველწლიურად გადიოდა ქვეყნიდან სესხის პროცენტებისა და დივიდენდების სახით.**



აღორძინებული პოლონეთის პირველი მთავრობის თავმჯდომარე და პოლონეთის არმიის შემქმნელი იოსეფ პილსუდსკი

**ომამდე პოლონეთს არც ერთხელ არ მიუღწევია 1913 წლის წარმოების მაჩვენებლისთვის და მოსახლეობით, რომელიც მსოფლიო მოსახლეობის 1,6% იყო, აწარმოებდა მხოლოდ მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 0,7%-ს. ამასთანავე, ომამდელი წლიური ბიუჯეტის — 2,5 მლრდ ზლოტის — პირობებში, პოლონეთს გააჩნდა სახელმწიფო ვალი 4,7 მილიარდის ოდენობით და 400 მილიონი ზლოტი ყოველწლიურად გადიოდა ქვეყნიდან სესხის პროცენტებისა და დივიდენდების სახით**

### სსრკ, როგორც ცდუნება ევროპელებისთვის

იმისათვის, რომ გავიგოთ, რამდენად მდიდარი იყო სსრკ პოლონეთზე, შევადაროთ მათი ბიუჯეტები ერთ სულ მოსახლეზე გათვლით. რუბლი ღირდა 0,774 გრამი ოქრო და უკვე 1925 წლისთვის ხდებოდა მისი კოტირება სტამბულის, მილანისა და სტოკჰოლმის სავალუტო ბირჟებზე. მოსკოვში ის იყიდებოდა ნომინალზე ძვირად: 10 რუბლის ოქროს მონეტაში 9 რუბლსა და 60 კაპიკს იძლეოდნენ კუპიურებით 1937 წელს, გენერალთა შეთქმულების ორგანიზაციის მტკიცებულებებისთვის, რომელსაც **ტუხაჩევსკი** ხელმძღვანელობდა, გერმანელებმა 3 მილიონი რუბლი მოითხოვეს ოქროთი. სსრკ-მა საბანკო კუპიურებით გადაიხადა, გერმანელებმა უყოყმანოდ გამოართვეს, დარწმუნებულებმა ამ თანხის ოქროს შესაბამის ღირებულებაში.

პოლონური ზლოტის ნომინალი 0,169 გრამი იყო. **პოლონეთის მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, რომელიც** ▶

**პოლონური სოფლების მცხოვრებთა უმრავლესობა ყველგან მიესალმება ჩვენს ნაწილებს, ხელს უწყობს და ეხმარება მათ მდინარეებზე გადასვლაში, ტვირთების გადაზიდვაში, პოლონური გამაგრებების დანგრევასა და განადგურებაშიც კი. დარეგისტრირებულია ჩვენ მხარეზე ჯგუფური გადმოსვლის მცდელობები ნათესავების მონახულებისა და ჩვენი საზღვრისპირა სოფლების კოოპერატივებში სხვადასხვა საქონლისა და პროდუქტის შეძენის მიზნით“. ომია, სისხლი იღვრება და რიგითი პოლონელები საბჭოთა კავშირის მაღაზიებში გამოქანდნენ საყიდლებისთვის; მიაქციეთ ყურადღება – პროდუქტებისთვის“.**

თარიღი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ 35 მილიონ ადამიანს შეადგენდა, 1938-1939 ფინანსურ წლებში მისი ბიუჯეტიდან (2,5 მილიარდი ზლოტი) პოლონეთის ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 12 გრამი ოქრო. 1938 წელს სსრკ-ის ბიუჯეტი 124 მილიარდ რუბლს შეადგენდა და მოსახლეობის რაოდენობის (170 მილიონი ადამიანი) გათვალისწინებით, ერთ საბჭოთა ადამიანზე 564 გრამი ოქრო მოდიოდა — 47-ჯერ მეტი, ვიდრე პოლონეთში! სსრკ-ს უკვე 1928 წელსაც კი ორჯერ მეტი ბიუჯეტი ჰქონდა, ვიდრე პოლონეთს 1938 წელს. 1937 წლისთვის ლიტვის ბიუჯეტიდან ერთ ადამიანზე 16 გრამი ოქრო მოდიოდა, ლატვიაში — 13 გრამი.**

მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ საბჭოთა კავშირისკენ მეზობლების მისწრაფება უდიდესი იყო (თემას გადავუხვევთ და ვიტყვით, რომ მსოფლიო პოლიტიკის მესვეურთა მიერ ჰიტლერის წაქეზება სსრკ-ზე თავდასხმისთვის ამითაც იყო განპირობებული — რედ.). რა უნდა ვთქვათ ღატაკ პოლონეთზე? აი როგორ აღწერენ უნგრელი ისტორიკოსები საზოგადოების მდგომარეობას, ევროპული შეფასებით, შედარებით შეძლებულ უნგრეთში. 1939-ის დასაწყისში უნგრეთი ოფიციალურად შეუერთდა ანტიკომინტერნულ პაქტს, ღერძის ქვეყნებს — გერმანიას, იტალიასა და იაპონიას. უნგრელი კომუნისტები დააპატიმრეს (უნგრეთის ხელისუფლებას პოლონურ ელიტაზე (შლიახტაზე) არანაკლებად სძულდა სსრკ. საკმარისია იმის თქმა, რომ უნგრელი კომუნისტების ლიდერის — **მატიაშ რაკოშის** გასათავისუფლებლად საბჭოთა კავშირმა ის გაცვალა მუზეუმებში დაცულ უნგრეთის ჰონვედის პოლკების დროშებში, რომლებიც რუსულმა პოლკებმა ხელში ჩაიგდეს სამხედრო ნადავლის სახით 1848-1849 წლების ლაშქრობისას). ამგვარად, კომუნისტური იდეების პროპაგანდა უნგრეთში უკიდურესად შესუსტდა. ამას გარდა, უნგრელებს, როგორც ძველ საიმპერიო ნაციას, შეეძლოთ ურთიერთობა სახელმწიფოში შემავალ ხალხებთან, ამიტომ უნგრეთში შიდა ნაციონალური კონფლიქტები იშვიათობა იყო. მიუხედავად ამისა, უნგრელი ისტორიკოსი მოგვითხრობს: **„30-იანი და 40-იანი წლების მიჯნაზე იმიერკარპატებში არსებობდა რუსული ნაციონალური პარტია. მისი ლიდერი იყო უნგრეთის პარლამენტის დეპუტატი სტეფან ფენციკი. იგი იმიერკარპატების რუსინებისთვის (აღმოსავლეთსლავური ეთნიკური ჯგუფი — რედ.) რუსული ენის ოფიციალურად დაშვებას უჭერდა მხარს. ფენციკი თვლიდა, რომ მომავალში კარპატების რუსები უნდა შესულიყვნენ რუსეთის შემადგენლობაში. თუმცა ისტორიკოსებს შორის არსებობს აზრი, რომ რუსული ნაციონალური პარტიის ლიდერის პოზიცია აიხსნებოდა „პრაქტიკული მოსაზრებებით“, „იგი მას ფინანსური მხარდაჭერის მიღების საშუალებას აძლევდა“.** აქ უნგრელ ისტორიკოსებს უნდა დაეწერათ, რომ ეს კომინტერნი უხდიდა ფენციკს, მაგრამ იმხანად ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მიჩვეულნი ბინძურ ტყუილებს, როგორც ჩვენი ანტისაბჭოელები, ამიტომ ცდილობდნენ, სხვანაირად გამომძვრალიყვნენ: **„მხარდაჭერა მოდიოდა არა რუსებისგან — სსრკ-ისგან, არამედ თვით უნგრელებისგან, რომლებიც იმიერკარპატებში ცხოვრობდნენ, ანუ მათგან, ვინც თავის რუსულ ორიენტაციას ნაკლებად საშიშად თვლიდა, ვიდრე „უშუალო მეზობლობას უკრაინასთან“.**

რა შუაშია აქ „უკრაინასთან მეზობლობა“ და რომელ უკრაინაზეა საუბარი, როდესაც სხვა უკრაინა, გარდა საბჭოთასი, არ არსებობდა?! ისტორიკოსებისთვის ძალიან უხერხულია იმის აღიარება, რომ რუსინებთან ერთად სსრკ-ში შესვლა უნგრელებსაც უნდოდათ; თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი ფულს აძლევდნენ ფენციკს, ღარიბები არ უნდა ყოფილიყვნენ. ხოლო როდესაც პოლონეთი დაიშალა და სსრკ-ის საზღვარი უნგრეთს მიუახლოვდა, 1941 წლის გაზაფხულამდე **„იმიერკარპატების 20 ათასამდე მცხოვრები გადავიდა საზღვარზე და დასახლდა სსრკ-ში. ისინი კი, ვინც ვერ გადაწყვიტა, გადაედგა ეს გაბედული ნაბიჯი, მაგრამ სჯეროდა, რომ საბჭოთა წყობილებაში ცხოვრება უკეთესი იყო, დიდ ჯგუფებად გროვდებოდნენ იმიერკარპატების ცალკეულ ადგილებში და ელოდებოდნენ რუსი ჯარისკაცების მოსვლას. ამავე იმედით იმიერკარპატებში ჩრდილოეთ ტრანსილვანიის ნაწილიც გადმოვიდა. ამას გარდა, სსრკ-ის უფლებამოსილ წარმომადგენლობას უნგრეთის მრავალმა ქვეშევრდომმა მიმართა თხოვნით, მიენიჭებინათ მათთვის საბჭოთა მოქალაქეობა...“**

დაუჯერებელია, რომ სსრკ-ისკენ ხალხის ამ მასებს მათი კომუნისტური მოსაზრებები უბიძგებდა. აქ უფრო მარტივადაა საქმე.

აი რას აღწერს ერთ-ერთი ანტისაბჭოელი, როგორ მუშაობდნენ სსრკ-ში 1940 წელს ტყვე პოლონელი სამხედროები რიგითებისა და სერჟანტების შემადგენლობიდან — ისინი, ვინც ჟენევის კონვენციის მიხედვით, უარს ვერ იტყოდნენ შეთავაზებულ სამუშაოზე. პოლონეთის დევნილი მთავრობის მიერ 1939 წლის ნოემბერში სსრკ-ისთვის ომის გამოცხადებამდე ეს ტყვე პოლონელები სსრკ-ის ტერიტორიაზე ითვლებოდნენ ინტერნირებულებად — დაკავებულებად გერმანიასა და პოლონეთს შორის ომის დამთავრებამდე: **„შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატსა და შინსახკომს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მცხოვრებლებისთვის გათვალისწინებული იქნა ინტერნირებულების ხელშეკრულებით გადაყვანა ნებით დაქირავებულ მუშათა კატეგორიაში, მაგრამ ეს ტენდენცია არ განვითარდა, მიუხედავად იმისა, რომ**

## პოლონეთის მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, რომელიც 35 მილიონ ადამიანს შეადგენდა, 1938-1939 ფინანსურ წლებში ქვეყნის ბიუჯეტიდან (2,5 მილიარდი ზლოტი) პოლონეთის ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 12 გრამი ოქრო. 1938 წელს სსრკ-ის ბიუჯეტი 124 მილიარდ რუბლს შეადგენდა და, მოსახლეობის რაოდენობის (170 მილიონი ადამიანი) გათვალისწინებით, ერთ საბჭოთა ადამიანზე 564 გრამი ოქრო მოდიოდა — 47-ჯერ მეტი, ვიდრე პოლონეთში! სსრკ-ს უკვე 1928 წელსაც კი ორჯერ მეტი ბიუჯეტი ჰქონდა, ვიდრე პოლონეთს 1938 წელს. 1937 წლისთვის ლიტვის ბიუჯეტიდან ერთ ადამიანზე 16 გრამი ოქრო მოდიოდა, ლატვიაში — 13 გრამი



პოლონელი გლეხები ხვდებიან საბჭოთა ჯარისკაცებს



ალგირდას ბრაზაუსკასი

**ამ ადამიანებს ჰპირდებოდნენ ფულად დახმარებას ინდივიდუალური სახლების მშენებლობაში, საბჭოთა პასპორტებსა და ოჯახების ჩამოყვანას. ხელშეკრულების თანახმად, ადამიანს აუცილებლად აკმაყოფილებდნენ საცხოვრებლით, რომლის რეზერვი საწარმოს ნაკლებად ჰქონდა. ამას გარდა, ინტერნირებულებს არ გააჩნდათ პროფესიონალური უნარ-ჩვევები და, რაც მთავარია, მუშაობის სურვილი.** ინტერნირებულთა ნაწილმა უარი განაცხადა მუშაობაზე. მაშინ დაიწყეს მათი „სტიმულირება“ კვების განსხვავებული ნორმებით. სამუშაოს ანაზღაურება განისაზღვრებოდა გამომუშავების ნორმით. ცნობები ნორმის შესრულებაზე ურთიერთგამომრიცხავია. ჭეშმარიტებასთან ახლოა ცნობები იმის შესახებ, რომ მომუშავეთა მხოლოდ 10-15 პროცენტი ასრულებდა ან გადაჭარბებით ასრულებდა ნორმას. ესენი იყვნენ ბელორუსები ან უკრაინელები, „რომლებსაც სურდათ, შენარჩუნებულიყვნენ მოცემულ საწარმოში“. ფორმალურად ხელფასი შესაბამისი უნდა ყოფილიყო საბჭოთა ნებით დაქირავებული მუშების ხელფასისა, მაგრამ მისი ოდენობა შეიძლებოდა განესაზღვრათ ასევე შინსახკომის ორგანოებსაც. თანხის ნაწილი შეეძლოთ გაეგზავნათ ოჯახებისთვის. ხელფასიდან გამოიქვითებოდა საცხოვრებელი ადგილის ღირებულება. ჯამში ის მერყეობდა 20-30 კაპიკიდან 40-50 რუბლამდე დღეში. ასე რომ, მატერიალური უზრუნველყოფა და ოჯახების დასახმარებელი რეზერვების შექმნა მათ მიერ ნაკლებად სარწმუნოა“.

**მოდი, რაღაცები დავთვალოთ და გავიაზროთ, — რას ნიშნავდა დღიური 50 რუბლი მაშინდელ სსრკ-ში.**

იმ წლებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (წოდებით სსრკ მარშალის ტოლფასია) **ლავრენტი ბერია** ყოველთვიურად იღებდა 3500 რუბლს; გენერალი, წითელი არმიის დივიზიის მეთაური — 2200 რუბლს; პოლკის მეთაური — 1800 რუბლს; ბატალიონის მეთაური — 850 რუბლს; მასწავლებელი — 250-დან 750-მდე რუბლს; სტუდენტი სტიპენდიის სახით — 170 რუბლს; ბიბლიოთეკარი — 150 რუბლს; საწყობის გამგე — 120 რუბლს. პური ღირდა 90 კაპიკი; ხორცი — 7 რუბლი; შაქარი — 4,50; არაყი — 6 რუბლი; მამაკაცის კოსტიუმი — 75 რუბლი. ბადრაგის ჯარისკაცები (მევახტეები), რომლებიც ტყვეებს სდარაჯობდნენ, ყოველთვიურად იღებდნენ 275 რუბლს. საშუალო ხელფასი ქვეყანაში 1940 წელს შეადგენდა 339 რუბლს თვეში, საარსებო მინიმუმი — 5 რუბლს დღეში. ამრიგად, კარგად მომუშავე ტყვე იღებდა 1300 რუბლს თვეში (50 რუბლი X 26 დღეზე), ანუ ბატალიონის მეთაურზე მეტს, რომელმაც იგი ტყვედ აიყვანა; ოთხჯერ მეტს ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასზე; ათჯერ მეტს საარსებო მინიმუმზე; ხუთჯერ მეტს თავის ბადრაგზე. ამას გარდა, ის სახლის ასაშენებლად იღებდა უპროცენტო ფულად დახმარებას. დასავლეთი კი იმაზე გოდებდა, რომ სსრკ ერთი მთლიანი საპატიმროა. ეს მხოლოდ გაიძვერა და ჩლუნგი უსაქმურებისთვის იყო სსრკ საპატიმრო, ხოლო მშრომელებისთვის სტალინური საბჭოთა კავშირი იყო მშობლიური. სწორედ ამიტომ მიილტვოდნენ მშრომელები მისკენ. პილსუდსკის ადიუტანტი, კაპიტანი **მ. ლეპეცკი** თავის მოგონებებში აღწერს ინგლისელებთან შეხვედრის ეპიზოდს, რომლითაც კარგად ჩანს, როგორც პოლონური შლიახტის ინტერესთა სფერო, ასევე ის, რამხელა ფული იყო მათთვის 400 ზლოტი: **„ჩვენ, ადიუტანტები, განსაკუთრებული ინტერესით ვათვალიერებდით მის უნაკლოდ შეკერილ საგარეო მუნდირს, რომელზეც მოგვიანებით რომელიღაც ბელვედერელმა ვახმისტრმა ასე აღნიშნა: „ასეთი კოსტიუმი ნაღდად ოთხასი ზლოტი მაინც ეღირება“.**

მაგრამ, 400 ზლოტი ხომ მხოლოდ და მხოლოდ 87 რუბლია, ანუ ის, რაც საბჭოთა ქარხანაში კარგად მომუშავე ტყვე მუშას ორი დღის ხელფასიდან რჩებოდა საარსებო მინიმუმის გამოკლების შემდეგაც კი (კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ — სტალინური სსრკ-ის ქარხანაში!).

კიდევ ერთი ეპიზოდი: 1939 წლის 17 სექტემბერს, როდესაც წითელი არმიის ნაწილებმა გადალახეს საზღვარი და შევიდნენ ყოფილი პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, კიევის ოლქის სასაზღვრო ჯარების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მოსკოვში გაგზავნილი შეტყობინების ბოლოში აღნიშნა მოსალოდნელი ეკონომიკური პრობლემის შესახებ:

**„პოლონური სოფლების მცხოვრებთა უმრავლესობა ყველგან მიესალმება ჩვენს ნაწილებს, ხელს უწყობს და ეხმარება მათ მდინარეებზე გადასვლაში, ტვირთების გადაზიდვაში, პოლონური გამაგრებების დანგრევასა და განადგურებაშიც კი. დარეგისტრირებულია ჩვენს მხარეზე ჯგუფური გადმოსვლის მცდელობები ნათესავების მონახულებისა და ჩვენი საზღვრისპირა სოფლების კოოპერატივებში სხვადასხვა საქონლისა და პროდუქტის შეძენის მიზნით“. ომია, სისხლი იღვრება და რიგითი პოლონელები საბჭოთა კავშირის მაღაზიებში გამოქანდნენ საყიდლებისათვის; მიაქციეთ ყურადღება — პროდუქტებისთვის“.**

„არასდროს არ გვიცხოვრია ისე კარგად, როგორც ომამდე“, — ამბობდნენ ჩვენი უფროსი თაობის წარმომადგენლები ჯერ კიდევ 70-იან წლებში.

და ეს ომი საბჭოთა კავშირს არ დაუწყია.

**მომზადდა ymuhin.ru-ის მიხედვით**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ბუნების მიერ ნაბოძები განძია და მისი გამოყენება აუცილებელია. საქართველო უნდა იყოს არა მხოლოდ დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი გზაჯვარედინი, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის. დღევანდელმა ხელისუფლებამ საქართველო-რუსეთის (აფხაზეთის გავლით) სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზეც უნდა იფიქროს და სწრაფად გადაწყვიტოს. მას არა მხოლოდ ეკონომიკური დატვირთვა ექნება, არამედ პოლიტიკურიც, ვინაიდან ხელს შეუწყობს ქართველებისა და აფხაზების საქმიანი კავშირების აღდგენას, ერთმანეთისგან გაუცხოებული ხალხების დაახლოებას.**

# საქართველოს შემალონებელი

**უფალმა სააკაშვილის სახით ისეთი „საჩუქარი“ მოგვივლინა, ქვეყნის აწმყო და მომავალი საშინელებად გვექცა. სანამ სააკაშვილს პირში სული უდგას, სიმშვიდე ვერ ეღირსება საქართველოს. ის მუდამ არის და იქნება ჩვენთან სენსაციების მოყვარული ქართული მედიის წყალობით, განსაკუთრებით — ტელევიზიების, რომლებიც თითქმის ყოველდღე გვიჩვენებენ მას, გვასმენინებენ მის კომენტარებს ქვეყნის ამა თუ იმ საკითხზე — ურთიერთგამომრიცხავს, არაკომპეტენტურს, ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების გაუთავებელ ლანძღვა-გინებას, საკუთარი თავის ქებას.**

თუ ვინმეს სჯერა, რომ სააკაშვილს წლებთან ერთად ჭკუა მოემატება, დალვინდება და დაბრძენდება, მწარედ ცდება. რას გვერჩოდა აშშ, ე.წ. დასავლეთი სააკაშვილის შემოტენვით?

**ნუთუ არ იცოდნენ, რომ პიროვნება, რომელიც დღეში რამდენჯერმე იცვლის აზრს, არის გაუწონასწორებელი, ექსცენტრიკული, ავანტიურიზმით გაჟღენთილი, ვერასდროს უზრუნველყოფდა ქვეყნის მართვას მშვიდ გარემოში? იცოდნენ და სწორედ ამიტომ დაგვასვეს თავზე მეზობელი რუსეთის გასაღიზიანებლად და გასაბოროტებლად.**

სააკაშვილის ავანტიურამ მძიმე, გამოუსწორებელი დაღი დაასვა საქართველოს და არვინ იცის, კიდევ რამდენ უბედურებას მოუტანს მას. სააკაშვილი ისეთ ასაკშია, პოლიტიკოსები რომ გაფურჩქვნას იწყებენ. ვინ იცის, წინ რამდენი ფათერაკი გველის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მას დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის დიდი მხარდაჭერა აქვს. ამერიკა ასე იოლად არ დათმობს მის გამოზრდილ კადრს, მისი დავალებების უყოყმანო შემსრულებელს.

ზოგი ქართველი ე.წ. ექსპერტი და პოლიტიკოსი თვლის, რომ აშშ-მა, კარგა ხანია, აითვალწუნა სააკაშვილი და მას ისე აღარ სწყალობს, როგორც უწინ. ცდებით, ბატონებო! სააკაშვილი ბაჯაღლოა მასზე არანაკლებ ავანტიურისტთა ხელში. ასეთს არვინ იშორებს; ასეთს სასათბურე პირობებში ამყოფებენ და ხელსაყრელ მომენტში უმალ მიუქსევენ მოწინააღმდეგეს. მერე რა, რომ სააკაშვილი დასავლეთს ნეგატიურად ახსენებს აგვისტოს ომის კონტექსტში? დააკვირდით, ის ლანძღავს მხოლოდ ყოფილებს — **სარკოზის, გეიტსს, რაისს, ბუშს,** მაგრამ თავს იკავებს **შტაინმაიერის** მიმართ. ის ხომ გერმანიის პრეზიდენტია?!

პოლიტიკიდან წასულების დახასიათებაში სააკაშვილი გულადია და აუგ სიტყვებს არ იშურებს. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ის ამბობდა: **„მე ყველა დასავლელი პარტნიორი მაიმედებდა, რომ რუსები არ დაიწყებდნენ ომს. აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბუშმა მითხრა, რუსეთი ვერაფერს გააკეთებს, სანამ აშშ საქართველოს მოკავშირეა“.**

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ აქედან, თუ არა შემდეგი: სააკაშვილს, შეშინებულს, რუსეთის წინააღმდეგ ავანტიურისტისთვის, დასავლეთი აგულიანებდა: — მიდი, მიშა, შენ დაიწყე ომი, ჩვენ შენ გვერდით ვართო.

**„შევცდი, როდესაც დასავლეთს ძალიან ვენდე“,** — ამბობს სააკაშვილი.

საზოგადოებაში ხშირად გვესმის: ნეტავი შენ, რას აქცევ ყურადღებას ამ გიჟის გამონათქვამებს, რაც, ჩემი აზრით, შეცდომაა, ვინაიდან სააკაშვილის ნათქვამს, ყურადღებას არა მხოლოდ ნაციონალები და მათი თანამოაზრე პარტიები აქცევენ, არამედ საზოგადოების ნაწილიც, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. და, თუ ჩვენ არ განვუმარტეთ რეალობა, სააკაშვილის მიერ მოტყუებული ხალხი უფრო ღრმა ჭაობში აღმოჩნდება.

მოვიყვან ასეთ მაგალითს: ახლახან საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა 2020 წელს გრანდიოზული მშენებლობის დაწყება, რომელსაც უწოდებენ სამხრეთისა და ჩრდილოეთის დამაკავშირებელ მაგისტრალს. კობი-გუდაურის გზის მშენებლობისთვის გამოყოფილია 60 მილიონი ევრო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ, 415 მლნ-ს აზიის განვითარების ბანკი გამოყოფს, ხოლო საქართველოს ხელისუფლება — 83 მილიონ დოლარს. აღნიშნული პროექტის მიხედვით, გაყვანილი იქნება სამანქანო გვირაბები, მოეწყობა ხიდები და ესტაკადები, ჩატარდება გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის საჭირო სამუშაოები. ეს გიგანტური მშენებლობა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ზრდას, ეკონომიკის მკვეთრად გაუმჯობესებას.

საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც მეფის რუსეთის მიერ იყო გაყვანილი და საბჭოთა კავშირის პერიოდში არაერთხელ გადაკეთებული, ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ვინაიდან ზამთარში, დიდთოვლობის პერიოდში, რეგულარულად იკეტება, შედეგად სერიოზულად ფერხდება სხვადასხვა პროდუქტით დატვირთული მძიმეწონიანი რეფრეჟერატორები, სხვა სახის ტრანსპორტი და მგზავრები.

**რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი გზის მოდერნიზაციის საკითხი რეგულარულად იდგა როგორც საქართველოს, ისე საკავშირო ხელისუფლების წინაშე. პროექტიც იყო შემუშავებული და მოსამზადებელი სამუშაოებიც დაიწყო, მაგრამ საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაწყების გამო ვერ განხორციელდა. არადა, გზის გაყვანის შემთხვევაში საქართველო გახდება სამხრეთ-ჩრდილოეთის სატრანსპორტო კომუნიკაციის მთავარი შემადგენელი რგოლი.**



**საააკაშვილის ავანტიურამ მძიმე, გამოუსწორებელი დაღი დაასვა საქართველოს და არვინ იცის, კიდევ რამდენ უბედურებას მოუტანს მას. სააკაშვილი ისეთ ასაკშია, პოლიტიკოსები რომ გაფურჩქვნას იწყებენ. ვინ იცის, წინ რამდენი ფათერაკი გველის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მას დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის დიდი მხარდაჭერა აქვს. ამერიკა ასე იოლად არ დათმობს მის გამოზრდილ კადრს, მისი დავალებების უყოყმანო შემსრულებელს**

სპარსეთის ყურეში ინდოეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან შესული ტვირთები, ირანის გავლით, თავს იყრის კასპიის ზღვის ირანის პორტ ბენდერენზელში, საიდანაც ნაწილი კასპიის ზღვით მიედინება ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და რუსეთისკენ, შემდეგ — ევროპისკენ კასპიის ზღვით, რკინიგზითა და საავტომობილო გზით.

**გზის ახალი მონაკვეთის გაყვანის შემდეგ გადაზიდვის დრო მკვეთრად შემცირდება. საქართველო გახდება სამხრეთ-ჩრდილოეთის მარშრუტის მძიმეწონიანი მონაწილე. განა ასეთ პერსპექტივაზე შეიძლება უარის თქმა?! და სწორედ ამიტო, თავისი პრეზიდენტობის დროს სააკაშვილმა აქო და ადიდა ეს პროექტი, ილაპარაკა ქვეყნისთვის მის დიდ მნიშვნელობაზე.**

რას ამბობს დღეს?

**„ეს ახალი როკის გვირაბია, რომელიც რუსეთს მისცემს საშუალებას, სწრაფად დაიპყროს თბილისი. ეს არის 100%-იანი პუტინის შეკვეთა, რომელსაც ასრულებს ივანიშვილ, და აქ ტვირთების გადაზიდვა და ტურიზმის განვითარება არაფერ შუაშია“.**

შეიარაღებული ძალების **ყოფილმა მთავარსარდალმა ის მაინც უნდა იცოდეს, რომ თბილისის აღება, ისევე, როგორც სრულიად საქართველოსი, რუსეთს ამ გზის გარეშეც შეუძლია და, თუ მოინდომა ამის გაკეთება, საქართველოს ვერც ამერიკული „ჯაველინები“ დაიცავს და ვერც თავდაცვის ყოფილ მინისტრ ხიდაშელის მიერ „გაპიარებული“ ფრანგული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა, ვერც აშშ-ის სამხედრო ბაზები, რომელთა გახსნისთვის თავდაცვის აწ უკვე ყოფილი მინისტრი იზორია ტერიტორიებს სთავაზობდა ამერიკელებს.**

ასე რომ, ტყუილად ირჯება სააკაშვილი. მისი „გაფრთხილება“ ნულის ტოლია, ხოლო რუსის შიშით გზის გაკეთებაზე უარის თქმა, საქართველოს ბიუჯეტისთვის დიდი შემოსავლის დაკარგვის ტოლფასია.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ბუნების მიერ ნაბოძები განძია და მისი გამოყენება აუცილებელია. საქართველო უნდა იყოს არა მხოლოდ დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი გზაჯვარედინი, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის. დღევანდელმა ხელისუფლებამ საქართველო-რუსეთის (აფხაზეთის გავლით) სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზეც უნდა იფიქროს და სწრაფად გადაწყვიტოს. მას არა მხოლოდ ეკონომიკური დატვირთვა ექნება, არამედ პოლიტიკურიც, ვინაიდან ხელს შეუწყობს ქართველებისა და აფხაზების საქმიანი კავშირების აღდგენას, ერთმანეთისგან გაუცხოებული ხალხების დაახლოებას.

**სააკაშვილის ბოდვას უმალ მხარი აუბეს ნაცებმა და სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა. ვაიპატრიოტები გმობენ მთავრობის გადაწყვეტილებას და ხალხს ატყუებენ სააკაშვილივით, რომ გზის გაკეთებით რუსეთს გაუიოლდება თბილისის დაპყრობა. და ეს მაშინ, როდესაც რუსის ტანკი თბილისიდან 30 კილომეტრში დგას.**

2008 წლის აგვისტოში, რუსს რომ ნდომოდა, თავისუფლად აიღებდა თბილისს. მას არც სააკაშვილის ეშინოდა და არც აშშ-ის. უბრალოდ, ამის სურვილი არ ჰქონდა, ვინაიდან არ სურდა, საქართველო მძიმედ შეურაცხეყო. მან, ნაცვლად იმისა, სატანკო ბრიგადისთვის ებრძანებინა თბილისისკენ წასვლა, უკან დაიხია, რასაც მავანნი დიდ შეცდომად უთვლიან, რადგან შეპყრობილი და გასამართლებული დამნაშავე სააკაშვილი და მისი ხროვა სამუდამოდ დადუმდებოდა.

დღეს კი რა მოცემულობა გვაქვს? — ქვეყნიდან გაქცეული დამნაშავე პრეზიდენტყოფილის ცინიკური განცხადებები, ტყუილებით გაჯერებული ბაქი-ბუქი. სხვას ვერაფერს იტყვი ჟურნალისტ **ნინო ჟიჟილაშვილთან** გამართული დიალოგიდან გამომდინარე, რომელსაც აქტუალობა არ დაუკარგავს.

ჟურნალისტის კითხვებით გაღიზიანებულმა ყოფილმა პრეზიდენტმა, ამერიკელების მიერ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულმა, ისე დაკარგა სახე, როგორც გონგამოცლილმა შლეგმა და ნაცვლად იმისა, თავშეკავებით და დინჯად გაეცა მისთვის არასასიამოვნო შეკითხვებზე პასუხი, დუჟმორეული ლამის ეკრანიდან გადმოხტა და მრავალჯერ შეურაცხყო წამყვანი, ორლობის ტყუილები უწოდა მის შეკითხვებს.

სააკაშვილი ამბობს, რომ ოდესა გადაარჩინა პუტინის ოკუპაციისგან. თურმე გუბერნატორობის პერიოდში შეიტყო პუტინის გეგმები და ოდესა შეუნარჩუნა უკრაინას. ის რომ არ ყოფილიყო ოდესაში, ისეთივე სეპარატიზმი იქნებოდა, როგორც დონბასში; ის რომ არ ყოფილიყო, რუსები საქართველოში მეორე როკის გვირაბს გააკეთებდნენ და იოლად აიღებდნენ თბილისს.

ვიმეორებ: მავანნი ამბობენ, ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ილაპარაკოს, გიჟი თავისუფალიაო. არადა, ეს გიჟი გამუდმებით ლაპარაკობს ტყუილებს, რითაც ტვინს უმღვრევს ხალხს. ამის დასტურია 20-21 ივნისს მომხდარი მოვლენები, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რუსეთთან გაუარესებული ვითარება, რომელმაც გამოიწვია საქართველოს ეკონომიკის სერიოზული დაცემა.

20-21 ივნისის მოვლენები ჯერაც არ ჩამცხრალა და არავინ იცის, როდის ჩაცხრება. სააკაშვილის ძალისხმევით ძნელად დასაჯერებელია, ჩაცხრეს. წინ საპარლამენტო არჩევნებია და, თუ ხელისუფლება კარდინალურ ნაბიჯებს არ გადადგამს დამნაშავე **სააკაშვილის, გვარამიას, გაბუნიას, ბოკერიას, მელიას, ადეიშვილის, კეზერაშვილისა** და მათი ბანდის მიმართ, უმძიმეს შედეგს მივიღებთ.

საქართველოს მოსახლეობა ელოდება გადამჭრელი ზომების მიღებას, რაც დღევანდელმა ხელისუფლებამ სამოქმედოდ და შესასრულებლად უნდა მიიღოს უყოყმანოდ და უცილობლად.

**ომარ მარგველაშვილი**

„2008 წელს გერმანიაში ოპერაციის შემდეგ პატრიარქი საქართველოში დაბრუნდა. მაშინ ქობულეთში მასაჟს ვუკეთებდი შესანიშნავ ადამიანს, აკადემიკოს ექიმს — ფრიდონ თოდუას. ხშირად ვსაუბრობდით. ერთხელ მითხრა, რომ სარეაბილიტაციოდ უწმინდესი ქობულეთში უნდა ჩამოეყვანათ თემურ ჭყონიას „ჯორჯია პალასში“. 2008 წლის დაახლოებით 20 ნოემბერს პატრიარქი ქობულეთში ჩამოვიდა. მანამდე თბილისიდან ხუთი ექიმი გვესტუმრა, მიმიწვიეს, გასაუბრება მომიწყვეს... კინაღამ მოვკვდი, ისე ვღელავდი. მენდნენ და გავაკეთე ის, რაც მევალებოდა და რაც ვიცოდი“.

ინტერვიუ გაგრძელებით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქალი, რომელიც მის უწმინდესობას მკურნალობდა ქობულეთში

**წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, მეორე ნაწილია გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული ქობულეთური ჩანაწერებისა „ათი დღე, რომლებსაც მსოფლიო არ შეუძრავს“.**
**ავტომანქანა ბატონ ნოდარ ხასაიას ჩავაბარე. „სტაიანშჩიკს“, რა თქმა უნდა, ლტოლვილს, რომელსაც დილმის მასივში, აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის კლინიკის უბანში თავისი განსაკუთრებული და პრესტიჟული ადგილი აქვს დაბევებული („გინდა, ერთი დღე იდგეს, გინდა, ორი კვირა“). ვიდეოთვალთვალის ორი კამერა ქორივით დასცქერის („ბუზი ვერ დააფრინდება“). მნახველ-გამცილებლების ესკორტის გარეშე შევდივარ კლინიკაში. ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც აკუმულირებულია დროის ის მარაგი, რომელიც პაციენტს შეუძლია სათავისოდ გამოიყენოს დაყვედრების გარეშე.**
**ნოდარ ხასაია კი იმას ჩივის, რომ დროის არქონის გამო აქამდე ვერ გაიცნო ძველი „დინამოს“ სახელგანთქმული „მარჯვენა კრაი“ ბორია ხასაია...**

**ლუბოვ აბიკეევას** დიპლომში, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გაცემულია, წერია, რომ იგი პროფესიონალი მწვრთნელია *(დღეს ტრენერს რომ უწოდებენ. გავნათლდით!)*, ამასთანავე — სამკურნალო ფიზკულტურის ექიმი. რაც თავისთავად გულისხმობს, რომ უმაღლესი კატეგორიის მასაჟისტიც არის. წლების განმავლობაში მძლეოსნებს ავარჯიშებდა და ნიჭიერი მოსწავლეების მიერ მიღწეული შედეგებით ხარობდა. მძლეოსნობა მაშინ პრესტიჟულ სახეობად ითვლებოდა. აბიკეევას იმ 10 წლის განმავლობაში ქობულეთის საუკეთესო მწვრთნელად და პედაგოგად აღიარებდნენ.

ეს იყო.

მაგრამ მოვლენები იმგვარად განვითარდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონების: **რობერტ შავლაყაძის, ვიქტორ სანეევის, ნინო დუმბაძის** სამშობლოში მძლეოსნობამ პოპულარობა დაკარგა.

აბიკეევა თავიდან იწყებს ცხოვრებას — თავის ძირითად პროფესიას, სამკურნალო ტანვარჯიშს, უბრუნდება.

— ვხედავ, რომ ვჭირდები ადამიანებს და, რაც შემიძლია, ვეხმარები.

— **დაიბადეთ...**

— ქალაქ ქობულეთში და ვცხოვრობ იმ ეზოში, რომელშიც დავიბადე.

— **რამდენმა ადამიანმა გაიარა თქვენს ხელში?**

— დათვლა შეუძლებელია, მაგრამ ცალკეული შემთხვევები არ მავიწყდება. თურქეთიდან 26 წლის ქალიშვილი ჩამომიყვანეს. ვერ დადიოდა. ვუმკურნალე. ფეხზე დავაყენე. მელისა ჰქვია... მდგომარეობიდან ბევრჯერ გამომიყვანია მძიმე ავადმყოფები. ამის მიზეზი მარტო მასაჟი არ არის, ალბათ, ის სითბო და სიყვარულიცაა, რომლის გაცემაც არ მშურს. ბევრი პარალიზებული გამომიჯანმრთელებია.

— **როგორ პარალიზებაზე ლაპარაკობთ?**

— რომელიც, ძირითადად, ინსულტით იყო გამოწვეული. მოძრაობის რეფლექსები ზოგს სწრაფად აღუდგა, ზოგს — ორი წელიწადი დასჭირდა. დამბლის დროს ყველაზე ძნელად ხელის ფუნქცია აღდგება, განსაკუთრებით კაცებში. ამჟამად მყავს ავადმყოფი, რომელსაც დილით ცურვის დროს სისხლი ჩაექცა. ბათუმის საავადმყოფოში გადაყვანისას მეორედ ჩაექცა. მკურნალობის ორი კურსის შემდეგ ხელის მოძრაობა აღვუდგინე, ფეხისა ცოტა უჭირს.

— **ავადმყოფი ყველა ერთია, მაგრამ გამორჩეული პაციენტები თუ გყავდათ?**

— გაგიკვირდებათ, რასაც ახლა გიპასუხებთ. მე გამიკეთებია მასაჟი ჩვენი პატრიარქისთვის. ამაზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ თქვენ გეტყვით. 2008 წელს გერმანიაში ოპერაციის შემდეგ პატრიარქი საქართველოში დაბრუნდა. მაშინ ქობულეთში მასაჟს ვუკეთებდი შესანიშნავ ადამიანს, აკადემიკოს ექიმს — **ფრიდონ თოდუას.** ხშირად ვსაუბრობდით. ერთხელ მითხრა, რომ უწმინდესი სარეაბილიტაციოდ ქობულეთში უნდა ჩამოეყვანათ, თემურ ჭყონიას „ჯორჯია პალასში“. 2008 წლის დაახლოებით 20 ნოემბერს პატრიარქი ქობულეთში ჩამოვიდა. მანამდე თბილისიდან ხუთი ექიმი გვესტუმრა, მიმიწვიეს, გასაუბრება მომიწყვეს... კინაღამ მოვკვდი, ისე ვღელავდი. მენდნენ და გავაკეთე ის, რაც მევალებოდა და რაც ვიცოდი.

სამი თვის შემდეგ, ჩემი რეკომენდაციით, კვლავ ჩამოვიდა ქობულეთში ილია II. მაშინ მომიყვა:

— თქვენთან ხელმეორედ ჩამოსვლის წინ გერმანიაში ვიყავი გამოკვლევაზე. გერმანელმა ექიმებმა მირჩიეს, რომ ერთი ვარჯიში რეგულარულად შემესრულებინა, ვუთხარი, რომ ამ ვარჯიშს ყოველდღე ისედაც ვაკეთებდი. საიდანო, დაინტერესდნენ. მოვუყევი, რომ ჩემმა ქობულეთელმა მასაჟისტმა მასწავლა *(იცინის)*. გაუკვირდათ — ქობულეთში არის მასაჟისტი, რომელმაც იცის ეს ვარჯიში?! ქობულეთი რუკაზეც არ არის აღნიშნულიო.

პატრიარქს უპასუხია:

— ქობულეთი რუკაზე შეიძლება არ არის, მაგრამ მასაჟისტი ქობულეთში არის!

მისი უწმინდესობა არაჩვეულებრივი ადამიანია. ვლაპარაკობდით ბევრ საინტერესო თემაზე. კითხულობდა ლექსებს **(ლექსებისადმი ლუბოვ აბიკეევას დამოკიდებულებაზე ცალკე ვილაპარაკებთ)...** გერმანელმა ექიმებმა, რომლებიც მას მკურნალობდნენ, გერმანულ ენაზე გამოცემული ვარჯიშების რეკომენდაციები აჩუქეს. მან ქართულ და რუსულ ენებზე გადაათარგმნინა და სამი ეგზემპლიარი საჩუქრად ჩამომიტანა.

— **პატრიარქს წლების სიმძიმე რომ აწუხებს, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. როგორ მასაჟს უკეთებდით?**

— საერთო, მსუბუქ მასაჟს ათი დღის განმავლობაში. აშკარად დაეტყო, რომ შეუმსუბუქდა წლების სიმძიმე — ყოჩაღად დადიოდა, ლაღად სუნთქავდა. სამიოდე წლის შემდეგ საპატრიარქოდან დამირეკეს და თბილისში მიმიწვიეს, მაგრამ ამ დროს მე მყავდა ექვსი ძალიან მძიმე პაციენტი, რომლებსაც ვერ მივატოვებდი, რადგან ეს მათ გაწირვას ნიშნავდა. ბუნებრივია, ვერ წავედი... უწმინდესი ახლაც ჩამოდის ხოლმე ქობულეთში, მაგრამ მასაჟს არ იკეთებს...

აბიკეევამ ილაპარაკა თავისი სამკურნალო პრაქტიკის პერიოდში მძიმე პაციენტების გამოჯანმრთელების ბევრ სხვა შემთხვევაზეც. სასიამოვნო მოსასმენი იყო, რადგან თითოეული ამ ფაქტის უკან იდგა გაჯანსაღებული სიცოცხლე, აღდგენილი ჯანმრთელობა. მათ შორის ერთი ლტოლვილი გოგონასი, რომლის ოჯახიც ქობულეთში არის დასახლებული და რომელიც მეექვსე კლასამდე ხელში აყვანილი დაჰყავდათ სკოლაში. ახლა საკუთარი ფეხით დადის. სახელი და გვარი არ ახსოვს ლუბას. ჩანს, ასეა ყოველთვის, როცა უშურველად იქმ სიკეთეს. დასახსომებელი სხვა რამეა, საყურადღებო: ყველა გაჭირვებულს, უპოვარსა და უქონელს უანგაროდ ემსახურება იგი.

მაგრამ დრო წარმავალია.

ამიტომ ხომ არ მითხრა გამომშვიდობებისას ნოდარ ხასაიამ, „სტაიანშჩიკმა“, რომელმაც ჩემი მანქანის ხელშეუხებლობის გარანტია ერთი კვირის წინათ მომცა და პირნათლად შეასრულა: — კი არის ეს საავადმყოფო, მაგრამ ჯანმრთელობა სჭირდება კაცს. აქ მოსვლამ არ შეგაშინოს: აქაური ექიმები **(გულიკო ჩაფიძის კლინიკაზე მიმანიშნა)** ჩვენი ანგელოზები არიან, — წარმოთქვა თბილი და რბილი მეგრული ხმოვანებით, სალბუნად რომ ედება გულს. კარგად ყოფნა ვუსურვეთ ერთმანეთს...



ლუბოვ აბიკეევა

მაგრამ მე ჯერ ქალბატონ ლუბა აბიკეევასთან საუბარი არ დამისრულებია:

**— პროფესიულ წარმატებაში, როგორც ჩანს, სხვა ნიჭიც გეხმარებათ: სხვანაირი აზროვნების უნარი, სხვა ემოცია, განწყობილება, რომელსაც პაციენტებს უწილადებთ... ლექსის კითხვა უნდა გიყვარდეთ, მგონი.**

— დიახ, და ვწერ კიდეც.

**— მაშ, გამაგებინეთ, საიდან და როგორ მოგვევლინა მასაჟისტი პოეტესა?**

— *(ჩაფიქრდება, გაიღიმებს)* დიდი ხნის წინათ, როცა დედა გარდამეცვალა, მაშინ გამიჩნდა ეს განცდა თუ, როგორც თქვენ ამბობთ, ნიჭი. საკავშირო პირველობისთვის ვემზადებოდით თბილისში, როცა დეპეშა მივიღე: „დედა გარდაიცვალა. მეზობლები“. ფეხები მომეკვეთა. მეჩვენებოდა, რომ ცხოვრება დამთავრდა. საღამოს, როცა მარტო დავრჩი, რაღაც ძალამ ხელში კალამი ამაღებინა და დედისადმი გამომშვიდობების ლექსი დამაწერინა:

**Сегодня день,**
**когда ты умерла,**
**Сегодня все изчезло,**
**чем жила...**

და ასე შემდეგ.

შემდეგ, რაც ჩემს გულს მოხვდებოდა, რაც დამაინტერესებდა, ყველაფერზე ვწერდი. ეს გაიგო აჭარაში ცნობილმა მოღვაწე **მამია ხარაზმა,** რომელიც მაშინ აჭარის თამბაქოს გაერთიანების გენერალური დირექტორი იყო, მიმატანინა ჩემი ლექსები, წაიკითხა, მოიწონა, ერთ-ერთს კი ასეთი რამ მიაწერა: „В политику не лезь!“, რასაც ყოველთვის პირნათლად ვასრულებ.

წერს საქართველოს სიყვარულზე, თბილისზე, რომლის ქუჩაბანდები ჩუქურთმებია, ეფერება ყოველ სახლს, გულში იკრავს და მშვიდობას უსურვებს:

**Я очень много лет назад**
**По этим улицам шагала,**
**Смотрела всем, любя,**
**в глаза,**
**И в мире жить**
**душой желала.**

ჩერნობილზეც წერს და სიყვარულზეც, სპორტზეც, გაზაფხულზეც, ოცნებაზეც („Мечта с судьбой в дороге повстречались и люди верили, что сбудутся мечты“), ვლადიმერ ვისოცკისაც უძღვნის პოეტურ სტრიქონებს...

მაგრამ არა და არ გამოდის ამ ოხერი პოლიტიკის გარეშე, და ისიც, ეს ჩვენი ექიმი-რეაბილიტოლოგი მიშა სააკაშვილს გადაჰკრავს სატირის მათრახს დიდი რუსი მეიგავის **ივანე კრილოვის** სტილში:

**В Грузии и в Украине**
**Ездил Миша на машине,**
**На руках его носили,**
**И ругали, и любили:**
**Все двояко относились,**
**И смеялись и бесились,**
**„Яркая“, конечно,**
**личность —**
**Клоуном был**
**он отличным!**

პოეტობას არ იჩემებს, ლექსებს თავისთვის წერს.

„საქართველოში ყველა ქართველი პოეტია“ *(ოვანეს თუმანიანი)*. პოეტი თუ არა, სტრიქონების გამრითმავი მელექსე, სახალხო მთქმელი, რომელიც შეიძლება „ოკუპანტის ენაზეც“ წერდეს. ვამბობ ამას და ვიცი, რომ „პუტინის აგენტობას“ გამოვკრავ ხელს: 2011 წლის 26 მაისის ბართლომეს სისხლიანი ღამის ავტორ-შემსრულებელთა წესია ასეთი — შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებენ...

აფთრები!

## ვამბობ ამას და ვიცი, რომ «პუტინის აგენტობას» გამოვკრავ ხელს: 26 მაისის ბართლომეს სისხლიანი ღამის ავტორ-შემსრულებელთა წესია ასეთი — შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებენ...

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ქობულეთში დღეს თუ ჩახვალ და ქალაქის ცენტრში ერთხელ მაინც მოხვდები (მოხვდები კი აუცილებლად, რადგან ეს კურორტი ერთი ცენტრალური ქუჩის ღერძზეა აგებული), გაჰკვირდები. ჩაუყვები თბილისიდან ბათუმის მიმართულებით და კითხულობ ყოველი მეორე სახლის ჭიშკარზე, ღობეზე, სადარბაზოზე ავტომანქანის ნომრებივით მიმაგრებულ ფირნიშებს: „ქირავდება! Сдаются! For Rent!; „Дом, квартира. Жилье у моря“; „Сдаются комнаты у моря — 20 м“ (მიწერილია ტელეფონის ნომრები); „Сдаются комнаты“... ქირავდება, ქირავდება, ქირავდება ოთახები: „იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე!“ *(ბერტოლდ ბრეხტი)* და უცებ — მოულოდნელი ლაკონურობა — „Сдаются“ — უსიტყვო კაპიტულაცია თუ ტყვედ ჩაბარებისთვის უპირობო მზადყოფნა.**

**ამოუყვები ბათუმიდან თბილისისკენ და იგივე გამეორდება. ერთ-ორგან კაცები სხედან და, როგორც ჩუმათელეთში ნაზუქების გამყიდველები, ისინიც აქანავებენ ფირნიშებს: ზოგი ასე, იძულებით უბერავს. ფოტოს გადაღების ნებართვა რომ სთხოვო, ისე შემოგიბღვერენ, რომ ზოოპარკის გალიაში ყოფნის სურვილს გაგიჩენენ.**

**თითქოს ჩემი ბრალია, ნაცებმა „გავრილოვის ღამის“ აყვირებით შემოსავლის წყარო რომ გადაუკეტეს და გაუსამმაგეს ბანკის ვალები!**

**ა.ს.**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თვითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ“.**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

ბოლო ხანს ქართველობამ გააცნობიერა, რომ ქუჩის აქციებით, საკუთარი თავის განდიდებით შეპყრობილი ადამიანების ჯგუფის პროვოკაციებით ქვეყანა დაიქცევა. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია, რაკი ავისა და კარგის გარჩევა შეგიძლია და ირწმუნებ, რომ „ამ ყოფით დგომა ცხოვრების მოედანზე შეუძლებელია, რადგანაც მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას, თუ წამალი რამ არ დაიდვა და თუ ისე არ მოაწყო საქმე, რომ ამ გაჭირვებიდამ თავი დაიხსნას“. დღესაც ბევრისთვის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა თამაშია, ხოლო, როგორც სულმნათი ილია ამბობს, „ყოველი თამაში შექცევაა და საზოგადო საქმეს უპატიუროდ ხდის“. „წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში იქნება უსაქმო კაცისთვის სასაცილოც იყოს, მაგრამ საქმიანისათვის საწყენოაო“.

ჯერ იყო და ღარიბაშვილი დაგვინიშნა „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერმინისტრად და სიღარიბეს თავი ვერაფრით დავაღწიეთ. მერე კვირიკაშვილი მოვიდა. ბევრი ევედრა წმ. კვირიკეს ხატს, რამე ისეთი სასწაული მოეხდინა, პრემიერობა რომ დიდხანს შერჩენოდა, მაგრამ, როგორც კვირიკობას სვანები ეკლესიას საგანგებოდ ამ დღისთვის გაზრდილ თეთრ ცხვარს სწირავენ, ივანიშვილმაც ისე გაწირა კვირიკაშვილი...

ბახტაძე? ბახტაძემ ბევრი იძახა: „ბახ, ბახო...“ და — ჩემი მისია შევასრულე, ანუ „მკვახე იყო ის ყურძენიო“.

და აჰა, გახარია.

ხუმრობა იქით იყოს და, რაც მართალია, მართალია — გახარებას ელის ბევრი გახარიასგან. „ქართული ოცნების“ შეუსრულებელი დაპირებების ფონზე გასაკვირიც კია, ამგვარი დამოკიდებულება ამ პერსონისადმი, მაგრამ ფაქტია, რომ მისმა ხასიათის სიმტკიცემ, შინაგანმა გაწონასწორებულობამ და ნებისყოფამ ადამიანებს მბჟუტავი იმედის ნაპერწკალი გაუღვივა და ახლა პრემიერმინისტრის რანგში მისგან მართლაც გახარებას ელოდებიან. თუ როგორ გაახარებს ხალხის გულს, მხოლოდ ხალხის ბედზე „მზრუნველი“ ნაციონალები და ძმანი მისნი არ დაინტერესებულან, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან პარლამენტში მომავალ პრემიერზე ნაციონალების შეტევა თავმოჭრილი ქათმის უკანასკნელ გაფართხალებას ჰგავდა.

„კეთილსინდისიერება არის ის ძირითადი, რითაც სხვა ყველაფერი იძენს ფასს. ამიტომ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ბიუროკრატია იყოს ეფექტური და იყოს კეთილსინდისიერი.

ამ შემთხვევაში, მერწმუნეთ, რომ მეტის მოთხოვნა შეგვიძლია, როგორც ჩვენი ოპონენტებისგან, ასევე თხოვნა ჩვენი მოქალაქეებისთვის, რომ მხარი დაგვიჭირონ და ჩვენთან ერთად, 24 საათი იშრომონ იმისთვის, რომ ეს ქვეყანა განვავითაროთ“, — თქვა გახარიამ. მან ასევე თქვა, რომ „ბიუჯეტი გვაძლევს საშუალებას, გავზარდოთ პენსიები“, „უნდა შევძლოთ, სულ მცირე, პროგნოზირებადი და რბილი იყოს ლარის კურსის მერყეობა, ეს შესაძლებელია“, „ბიზნესთან ურთიერთობაში უნდა ვიყოთ ღია, უნდა დავეხმაროთ მათ, რომ ქართული ეკონომიკის გაძლიერება შეძლონ“...

კეთილი და პატიოსანი. ესაა სწორედ ილიას გზა, რომლის წყალობით ივერია უთუოდ გაბრწყინდება. თუ, რა თქმა უნდა, ამ გზაზე ერს უწინამძღვრებენ პატიოსანი, სულით ძლიერი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანები, თორემ იმედგაცრუების მორიგი ცუნამი საქართველოს დაღუპავს.

„საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, გარჯა უნდა, გულდადებული ჯაფაცაო“.

და ცხოვრების მოედანი მარტო იმისია, ვინც მხნეობს და გამრჯელია. ღმერთი მხოლოდ მისი მწყალობელია, გაურჯელს კი წყალი წაიღებსო.

და მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა ქვეყნის ძალისა და სიცოცხლის მიმცემიო.

ასე რომ, ბატონო გიორგი, სწორი გზის პოვნა და მასზედ სვლა ნახევრად გამარჯვებაა და ჩვენც ის გვინდა, რომ შენი გამარჯვება ერის გამარჯვება იყოს.

სამშობლოში მომავალმა ილიამ საკუთარ თავს კითხვა დაუსვა: „შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ?“ თქვენც იფიქრეთ, რას და როგორ იქმთ და იმაზეც, რომ „საქმე დიდია და დიდი არის იგიც, ვინც გულთბილად, კაცთმოყვარეობით, პატიოსნად და სწორის სასწორით ხელში ემსახურა და ჰმსახურობს“ ხალხს.

# «ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს...»



აქცია გურჯაანში

**ბოლო ხანს ქართველობამ გააცნობიერა, რომ ქუჩის აქციებით, საკუთარი თავის განდიდებით შეპყრობილი ადამიანების ჯგუფის პროვოკაციებით ქვეყანა დაიქცევა. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია, რაკი ავისა და კარგის გარჩევა შეგიძლია და ირწმუნებ, რომ „ამ ყოფით დგომა ცხოვრების მოედანზე შეუძლებელია, რადგანაც მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას, თუ წამალი რამ არ დაიდვა და თუ ისე არ მოაწყო საქმე, რომ ამ გაჭირვებიდამ თავი დაიხსნას“**

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“. *(„ქართვლის დედას“. 1858 წ. 15 დეკემბერი).*

„ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არა-მყვირალა და ჩხავანა მოღვაწეობა, — საცა უნდა იყოს, — თუ გულმხურვალობით არის გამთბარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულობით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, — უტყუარი ნიშანია თითონ მოღვაწის დიდ-ბუნებოვანობისა. იქნება ზოგიერთებს ეხამუშოს, ზოგიერთს ეუცხოვოს ეს ჩვენი აზრი, და სიტყვა შემოგვიბრუნოს: „დიდი საქმეა მარტო უტყუარი ნიშანი თითონ მოსაქმის დიდ-ბუნებოვანობისაო“. ეს მართალია, თუ საქმე ქმნილია. თუ არ არის ქმნილი და მარტო ამაო თავმოწონებით და ცუდმედიდობით ხელწატანებულია, მაშინ საქმე დიდი თუ პატარა, სულ ერთია: იგი ხელის წამტანებელის ქარაფშუტობას უფრო გვისაბუთებს და გვიმტკიცებს, ვიდრე დიდბუნებოვანობასა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ძალა ქმნასა ჰქონია და არა მარტო ხელის წატანებასა და ფოტინსა. არა-ქმნა ყოველ დიდს საქმეს ამცირებს და ქმნა-კი პატარასაც დიდად ჰხდის. ესეც მართალია, რომ ქვეყანაზედ ბევრი იმისთანა დიდი საქმეა, რომელიც თავისთავად ჰხმაურობს, ქარბუქს აყენებს და ყველას თვალ-წინ უდგა მთელის თავის სიდიდითა. ხოლო იმისთანა საქმენიც არიან, რომელთაც ჟღარუნები არა აქვთ და არა ხმაურობენ, მაგრამ მით არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ წუთი-სოფლის სიმწარის დასატკბობელად და სიმწვავის გასანელებლად. ამისთანა საქმეა, მაგალითად მართლმსაჯულება. იგი არ დაიარება ქვეყანაზედ ბუკითა და ნაღარითა. მისთა მსახურთა მზადმზარეული გვირგვინი შარავანდედისა არ ადგიათ თავზედ, რომ დიადობის ქარი ჰქონდეს კაცთა თვალთათვის. **როგორც თითონ მართლმსაჯულება, ისეც მისი მსახურნი, მშვიდობიანად, უბუკნაღაროდ საქმობენ თავის საქმეს და მშვიდობას ქვეყნისას, სიკეთეს ოჯახისას, ნამუსს და პატიოსნებას ადამიანისას ჰპატრონობენ და ესარჩლებიან. თუ ესე არ არის, ასე მაინც უნდა იყოს და ჩვენ მასზედ-კი არა ვლაპარაკობთ, რაც არის, არამედ მასზედ, რაც უნდა იყოს“** *(„იასე ანდრონიკაშვილი“. 1887 წ. 10 იანვარი).*

„ნუთუ ამ არა-მყვირალა საქმეში კაცი ჩაბმული და პატიოსნად მოღვაწე არ შეიძლება დიდ-ბუნებოვანი იყოს, მარტო იმიტომ, რომ თითონ საქმე მყვირალა არ არის, ჩუმია და ხმაამოუღებელი? ნუთუ თითონ საქმე, ურომლისოდაც მთელი ქვეყნიერობა



გრიგოლ ვაშაძე

**«ვერაფერი სანუგეშო ამბავია, როცა კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გამოდის მარტო იმისათვის, რომ სიტყვა და აზრი წინ გავიგდო და ვითამაშოო. ყოველი თამაში შექცევაა და საზოგადო საქმეს უპატიუროდ ხდის»**

ერთს არეულს და ერთმანეთის მჭამელს მხეცთა გროვას წარმოადგენდა, ნუთუ, — ვამბობთ, — თითონ ეგ საქმე დიდი არ არის მარტო იმიტომ, რომ ბუკითა და ნაღარით არ იჩენს თავსა!.. **საქმე დიდია და დიდი არის იგიც, ვინც გულთბილად, კაცთმოყვარეობით, პატიოსნად და სწორის სისწორით ხელში ემსახურა და ჰმსახურობს“** *(„იასე ანდრონიკაშვილი“. 1887 წ. 10 იანვარი).*

„ყოველს ადგილას, ყოველს საქმეში — რაც უნდა ჩუმი იყოს, რაც უნდა მცირე — ადამიანს შეუძლიან აღმოაჩინოს სიდიადე ღვაწლისა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ერთის მეცნიერისაგან: „ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი ერთს უდიდეს სამსახურს უწევს კაცობრიობასაო“ *(„იასე ანდრონიკაშვილი“ 1887 წ. 25 თებერვალი).*

**„ამ წუთის-სოფელში ადამიანს ბევრი და მრავალ-სახის საქმე აქვს საკეთებელი, როგორც კერძოდ თავის-თავისათვის, ისეც ზოგადად ყველასათვის. სათითაოდ ყველას ერთნაირი დანიშნულება არა აქვს, სათითაოდ ყველას რაიმე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს. მაღალ ზნეობის თვალის წინაშე სიდიდე ადამიანისა დანიშნულების სიდიდეზედ არ არის დამოკიდებული.** მრავალგვარია ნიჭიერება, ღონე და მიდრეკილება ადამიანისა. სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ უძღვება. თითონ საქმის მეტ-ნაკლებობა აქ არაფერს შუაშია, დიდი და პატარა სულ ერთია, ოღონდ კაცმა იმას მიჰმართოს, იმას ჩაჰჭიდოს ხელი, რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწვდება. უამისოდ ყოველი დიდი საქმე მცირეა და ამისით კი ყოველი პატარაც დიდია“ *(„იასე ანდრონიკაშვილი“. 1887 წ. 25 თებერვალი).*

**„ბევრი რამ გვაკლია ჩვენ, ქართველებს, მაგრამ ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ჯერ-ხანად არ ვიცით საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ, როგორ ვუპატრონოთ“** *(„შინაური მიმოხილვა“. 1883 წ. ნოემბერი).*

„თუ შენობა ქვიშაზეა აგებული, ვერა დიდი ოსტატი, ვერა დიდი არქიტექტორი ვერას უშველის. მაგისთანა შენობას თვით თავის აგებულებაშივე აქვს მიზეზი სისუსტისა და თუ დაიქცა, სასაცილო იქნება ბრალი შენობის ყარაულს, მეთვალყურეს დაჰბრალდეს“.

„ზოგი იმისთანა კაცია, რომ, რაც გინდ ბევრი ისურვოთ, ვერას იტყვით, რადგანაც არა აქვს-რა ღირსი თქმისა, და ზოგი იმისთანა, რომ სათქმელი ზღვაა და ან ულონოდ გრძნობ თავსა — მისს თვალგაუწვდენელს კიდეებს ერთბაშად თვალი გადავაწვდინოთ მთლად და ▶

# „ბედს თითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა. ჩვენი თავის მტრები ჩვენ თითონვე ვართ, ...რა მიზეზია, რომ ჩვენ თავს ჩვენვე ვმტრობთ? ათასია, ჩვენ საუბედუროდ, მაგრამ...“

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ უკლებლივ, ან არ ვიცით, რომელ მხრიდამ დავუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველმხრიდამ დიდებული სანახავია“. *(„სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს“. 1896 წ.).*

„ქართველობამ ამ ბოლოს ხანებში დააჯერა გული, რომ ამ ყოფით დგომა ცხოვრების მოედანზე შეუძლებელია, რადგანაც მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას, თუ წამალი რამ არ დაიდვა და თუ ისე არ მოაწყო საქმე, რომ ამ გაჭირვებიდამ თავი დაიხსნას“ *(„ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი“. 1893 წ. 17 ივლისი).*

**„ვერაფერი სანუგეშო ამბავია, როცა კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გამოდის მარტო იმისათვის, რომ სიტყვა და აზრი წინ გავიგდო და ვითამაშოო. ყოველი თამაში შექცევაა და საზოგადო საქმეს უპატიუროდ ხდის. საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, ჯაფა უნდა, ბეჯითი და გულდადებითი ჯაფაცა. უამისოდ საზოგადო საქმე, რაც უნდა კარგი იყოს თვალად, შიგნით ფუღუროა, დღემოკლეა, სუსტია. წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში იქნება უსაქმო კაცისთვის სასაცილოც იყოს, მაგრამ საქმიანისათვის საწყენოა.** ამაზედ უფრო სავაგლახოა, როცა საზოგადო საქმეში „მე ესე მიჯობს“ ალვირაშვებული დაიარება და ის კი, „რაც საქმეს უჯობს“, თავჩაღუნული დადის, თითქო დედინაცვალის ხელში ჩავარდნილი ობოლიაო, ჩაგრული და ხმაამოუღებელიო. **ბოლოს ცხვირში ამოგვკრავს, რომ ესე წინდაუხედავად შევსვამთ ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტრობისა და შურის საქანელაზედ და ისე უკადრისად წინდაუკან ვაქანებთ. ბოლოს ცხვირში ამოვიკრავთმეთქი, მაგრამ ვაი თუ გვიანღა იყოს“** *(„შინაური მიმოხილვა“. 1879 წ. აპრილი).*

„ერთის სიტყვით, ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თვითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1879 წ. ივლისი-აგვისტო).*

„ბევრი რამ გვაკლია ჩვენ, ქართველებს, მაგრამ ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ჯერ-ხანად არ ვიცით საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ, როგორ ვუპატრონოთ“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1883 წ. ნოემბერი).*

„თუ შენობა ქვიშაზეა აგებული, ვერა დიდი ოსტატი, ვერა დიდი არქიტექტორი ვერას უშველის. მაგისთანა შენობას თვით თავის აგებულებაშივე აქვს მიზეზი სისუსტისა და, თუ დაიქცა, სასაცილო იქნება ბრალი შენობის ყარაულს, მეთვალყურეს დაჰბრალდეს“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1883 წ. ნოემბერი).*

**„ჩვენ, ქართველებს, ერთი საკვირველი ხასიათი გვჭირს. რაც უნდა მძიმე და რთული საგანი იყოს, რაკი კბილზედ მოვიგდეთ, რაკი დრომ, თუ სურვილმა, ხელი ჩაგვაკიდებინა, ვალად იმას კი არა ვრაცხთ, — საქმეს თირკმელები მოვუჩხრიკოთ, შიგნეულობა გამოვუწლათ, ცუდისა და კარგის მიზეზი ზედმიწევნით შევუტყოთ და შესაფერი წამალი მოვუნახოთ, არამედ იმასა ვცდილობთ, რომ საქმეს ზედაპირზედ ავუცურდეთ, ავუსხლტეთ, და იმისთანა წამალზედ მივუშვიროთ ხელი, რომელიც ყველას ყოველთვის თვალ-წინა აქვს, ფეხ-ქვეშ უგორავს და რომელსაც თუ არა ხმარობენ, მარტო იმ მიზეზით, რომ ის წამალი წამლად გამოსადეგი არ არის**, და მაჩვენებნელს კი ჰგონია — გამოცანა მარტო მე მერგებაო. უყურებთ და გიკვირთ ამისთანა მოქმედება, თითქო ეს ამოდენა კორიანტელი მარტო იმისათვის აუყენებიათო, რომ ქვეყანას დაანახვონ: აი, საქმე რა ადვილი მოსავლელია და მის გამგებელთ იმოდენა ჭკუა და მოხერხება არა აქვთ, რომ მოუარონო. არ ვიცით, ამით საქმეს შველიან რასმე, თუ არა. ეს კი ვიცით, რომ მაყურებელნი, თუ მსმენელნი, — სტყუვდებიან და არც შეიძლება არ მოსტყუვდნენ. მართლადაც, არმცოდნეს რომ მძიმე საქმე გაუმჩატო, მჩატე ეგონება. აშკარაა, იფიქრებს, რომ ვისაც ის საქმე ზურგთა ჰკიდია, ტყუილად წელში იხრება, ტყვიის მაგიერ ბუმბული წამოუკიდნია და ხვნეშის კიო“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1883 წ. ნოემბერი).*

**„მძიმე და რთული საქმე იმიტომ არის მძიმე და რთული, ვერც ავის წამალი აქვს ადვილად საპოვნელი და ვერც კარგისა.** პირიქით რომ იყოს, ქვეყანაზედ ხომ არც მძიმე საქმე იქნებოდა, არც რთული. მაგრამ რაკი მცოდნე კაცის სახეს მიიღებ, ბრძნულად შეიკრავ წარბებს და ფიცით გაიჭაჭები, რომ ავკარგიანობის მიზეზი თვალ-წინ არის წამოჩხირულიო, წამალიც ცხვირ-წინ არისო, მარტო დაწვდომა და მიწოდებაღა უნდაო, მაშინ ამისი მთქმელი გულდაჯერებული უნდა იყოს, რომ იგინი, ვის ხელთაც არის საწამლებელი საქმე, ან ბრმანი არიან, რადგანაც ცხვირწინ ვერა ჰხედავენ, ანუ ყოვლად სულელნი, რადგანაც ვერა სცნობენო, ანუ კიდევ თითონ საქმის მტრები არიანო, რადგანაც ჰხედავენ კიდეც, სცნობენ კიდეც და წამლად არა ხმარობენო“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1883 წ. ნოემბერი).*

„რამოდენაც კაცში დიდია სიამოვნების სურვილი, იმოდენად მასში ძლიერია ბეჯითობა შრომაში, რადგან ქვეყანაზედ სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება. შრომა კაცსა სძულს, მაგრამ აუცილებელია. რამდენადაც სიამოვნება მაღალია და შესაფერია ღვთისკერძ კაცისა, იმოდენად შრომა, როგორც გზა — მიმავალი სანატრელ საგნამდინა, ხალისიანია. მხოლოდ მაშინ კაცი შეიყვარებს ხოლმე შრომას და ბუნებით სიძულვილს მოჰსპობს, როცა იგი მიახწევინებს ხოლმე დიდ საგნამდინა. საქმე საგანია, რომლის მიღწევაც ადამიანისათვის არის უმაღლესი სიამოვნება. **ხალხს მიეცით სურვილი დიდის კაცობრივის საგნის მოპოვებისა, და შრომას იგი სურვილი არამც თუ წაართმევს ყოველს მას, რაც კაცს შრომაში ჰსძულს, არამედ თვით შრომას, თავისთავად საძულველსა, დიდი საგანი სიამოვნებადა ხდის.** მარტო ამით აიხსნება ის საკვირველნი ღვაწლნი და შრომაში და ჯაფაში ჯანის დალევა, რომელნიც უკეთეს კაცთა ცხოვრებაში წაგვიკითხავს. წინ გამოხატული საგანი სცვლის სიამოვნებად შრომასა, თავისთავად უსიამოვნოსა. ეს არის ჩემი აზრი. ამას მერმეთ მგონი უბრალოდღა მკითხავთ, რატომ ჩემი წრის ხალხი არა შრომობსო. იმიტომ არა შრომობს, რომ საგანი არა აქვს. იმ მცირედს საგანს, რომლითაც იგინი იოლად მიდიან, მცირედის შრომითაც ადვილად პოულობენ. რიღასთვის იშრომონ? **შრომა ღონისძიებაა მისაღწევად რისამე. ეგრე რომ არ იყოს, ნაცარქექიობაც შრომა იქნება, და, თქვენის აზრით, იგივე ნაცარქექიობა, ვითარცა შრომა, ცხოვრება იქნება და ის ცხოვრება — სიამოვნება“** *(„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. 1861-1863 წ.).*

„მაშ რამ გაასულელა ეს კაცობრიობა და რაზედ იმტვრევს თავსა და პირს, რომ ცხოვრება დაიტკბილოს, ყველა მაძღარი იყოს, თუკი დაჰკარგავს ნიჭს სისტემატიურის და მედგარის შრომისას — მაგ ძლიერს ღონეს ადამიანის ცხოვრების ყოველ-გვარად წარმატებისას“ *(„მითამ და „ახალი რაზმის კაცი“ ანუ ორი ფელეტონი“. 1883 წ.).*

**„ბედს თითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა. ჩვენი თავის მტრები ჩვენ თითონვე ვართ, ამის ღვიარება ჩვენ გულს გვიძმარებს და ამიტომაც ყველაფერს ბედს ვაბრალებთ. რა მიზეზია, რომ ჩვენ თავს ჩვენვე ვმტრობთ? ათასია, ჩვენ საუბედუროდ, მაგრამ... ეს ხომ ვიცით, რომ მამა-პაპით ეგ თავის მტრობა კაცს არ დაჰყვება ხოლმე, მაშასადამე, ჩვენის ბუნების თვისებაში არა ყოფილა. ესეც გვეყოფა სათქმელად, რომ მიზეზს მივაგნოთ“** *(„ცისკარი“ 1857 წლიდან 1862 წლამდინა“. 1862 წ.).*

„ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილებისამებრ“ *(„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“. 1897 წ. 31 დეკემბერი).*

„ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, — რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით — იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხსულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ — ვით ქრისტიანებს“ და „და სიმტკიცე ნაჭედისა“ — ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა“ *(„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“. 1897 წ. 31 დეკემბერი).*

„ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. **დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცდელია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა“** *(„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“. 1897 წ. 31 დეკემბერი).*

**„ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს, სახსენებელი ქართველებისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ველარავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ“** *(„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“. 1897 წ. 31 დეკემბერი).*

**„ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის.** კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არ სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობლის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა — პატიოსანია, ნამუსიანი, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, — იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ“ *(„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“. 1897 წ. 31 დეკემბერი).*

„ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო“. *(„სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“. 1883 წ.).*



გიორგი გახარია

„თუ შენობა ქვიშაზეა აგებული, ვერა დიდი ოსტატი, ვერა დიდი არქიტექტორი ვერას უშველის. მაგისთანა შენობას თვით თავის აგებულებაშივე აქვს მიზეზი სისუსტისა და, თუ დაიქცა, სასაცილო იქნება, ბრალი შენობის ყარაულს, მეთვალყურეს დაჰბრალდეს“



ჩხუბი პარლამენტში

„ბევრი რამ გვაკლია ჩვენ, ქართველებს, მაგრამ ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ჯერ-ხანად არ ვიცით, საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ, როგორ ვუპატრონოთ“

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ავსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ამერიკელი დააკავეს ქალიშვილის გაუპატიურებისთვის

**აშშ-ის 19 წლის მოქალაქე და 16 წლის მოზარდი დააკავეს გელენჯიკის სასტუმროში ქალიშვილის გაუპატიურების ბრალდებით, — იუწყება რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის კრასნოდარის მხარის საგამოძიებო სამმართველო.**

მათ წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედების გამო ქალიშვილის მიმართ.

დადგენილია, რომ ბრალდებულებმა და დაზარალებულმა ერთმანეთი სოფელ დივნომორსკის ქუჩაზე გაიცნეს. გამოძიების მონაცემებით, 2019 წლის 13 ივლისს 19 წლის აშშ-ის მოქალაქემ სასტუმროს ნომერში მიიწვია 16 წლის მოზარდი და ახალგაზრდა ქალიშვილი. გამოძიების ვერსიით, ახალგაზრდებმა, რომლებიც ქალიშვილთან ერთად ნომერში მარტო იმყოფებოდნენ, მის მიმართ ჩაიდინეს სექსუალური ძალადობა და იმავე ღამეს გააუპატიურეს იგი. დაზარალებულმა გარკვეული დროის შემდეგ შეძლეს სასტუმროს ნომრიდან თავის დაღწევა. მისდამი ასეთი მოპყრობის შესახებ ქალიშვილმა სამართალდამცავ ორგანოებს აცნობა.

ამჟამად 16 წლის ყმაწვილი და 19 წლის ამერიკელი მოქალაქე დაკავებული არიან. უახლოეს დღეებში სასამართლოში წარადგენენ გამოძიების შედეგებს.



## ვუდ ალენმა ვერ შეძლო მემუარების გამოქვეყნება, რადგან პედოფილობა დააბრალეს

**გამომცემლობები უარით ისტუმრებდნენ ცნობილ ამერიკელ რეჟისორს ისე, რომ წაკითხულიც არ ჰქონდათ დედანი. The New York Times-ი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოთხგზის ოსკარის პრემიის ლაურეატმა ოთხმა გამომცემლობამ არ მიიღო მისი ხელნაწერი.**

ალენის რეპუტაცია სერიოზულად შეირყა მას შემდეგ, რაც პრესაში გავრცელდა ინფორმაცია მისი პედოფილობის შესახებ. ამასთან, წინასწარი მონაცემებით, ზოგიერთი გამომცემლობის ხელმძღვანელს ხელშიც არ აუღია მისი ნაწერი.

შეგახსენებთ, რომ კინორეჟისორის კარიერას საშიშროება მას შემდეგ დაემუქრა, რაც მისმა გერმა **დილან ფეროუმ** კვლავ განაცხადა, რომ მამინაცვალი მის გაუპატიურებას ცდილობდა 1992 წელს.

ამ ფონზე კინოკომპანია Amazon Studios-მა, რომელთანაც ოსკაროსან რეჟისორს დადებული ჰქონდა ხელშეკრულება ოთხი ფილმის გადაღებაზე, გაწყვიტა კონტრაქტი და უარი თქვა მისი ფილმების დემონსტრირებაზე. ალენმა კი რამდენიმე ათწლეულის შეუწყვეტელი მუშაობის შემდეგ პირველად გადაწყვიტა დასვენება.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## მეცნიერები მზად არიან, შეაჯვარონ ადამიანი და ცხოველი

**მიმდინარე წლის გაზაფხულზე იაპონიაში აკრძალვა მოეხსნა ისეთი ექსპერიმენტების ჩატარებას, რომელთა მიზანია ადამიანებისა და ცხოველების ჰიბრიდის შექმნა. ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორ ხირომიცუ ნაკაუტისს, რომელმაც შეძლო ერთი ცხოველის უჯრედებიდან მეორე ცხოველის სხეულში ერთ-ერთი ორგანოს შექმნა, ოფიციალურად აცნობეს, რომ ნება დართეს, შეაჯვაროს ადამიანის ემბრიონი ცხოველისას.**



აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანისა და ცხოველის ემბრიონის შეჯვარება უწინაც იყო ნებადართული, მაგრამ კატეგორიულად იკრძალებოდა მიღებული შედეგის დაბადების მომენტამდე მიყვანა. ამიერიდან ეს შეზღუდვა მოხსნილია.

**ხირომიცუ ნაკაუტიმ** უკვე გამოაცხადა, რომ აპირებს ადამიანის უჯრედების თაგვებისა და ვირთხების ემბრიონებში გაზრდას, შემდეგში ამ ჩანასახების სუროგატ ცხოველებში ტრანსპლანტაციას. მან აღნიშნა, რომ ცოცხალი ჰიბრიდის მიღება არ იქნება მისი უპირველესი მიზანი და ამოცანა.

ამჟამად იგი აპირებს 14,5 დღის ჰიბრიდის მოყვანა-მოშენებას, რათა ყველა ორგანო ჩამოყალიბდეს. ანალოგიური ექსპერიმენტები ჩატარდება ვირთხებზეც, მაგრამ მათი ჰიბრიდების განსავითარებლად 15,5 დღეა საჭირო. კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, მეცნიერს განზრახული აქვს, მიიღოს ნებართვა 70 დღის ღორის ჰიბრიდის გამოსაზრდელად.

**„ამ მიმართულებით მუშაობა უნდა წარიმართოს ეტაპობრივად და ფრთხილად, რაც საშუალებას მოგვცემს, განუწყვეტლად გავმართოთ დიალოგი სკეპტიკურად დამუხტულ საზოგადოებასთან“,** — შენიშნა თეცუი ისიიმ, ხირომიცუ ნაკაუტის კოლეგამ.

ხირომიცუ ნაკაუტის ფრაზა რომ გავიმეოროთ, მისი ექსპერიმენტების მიზანია ადამიანის ორგანოების გამოზრდა ცხოველების ორგანიზმში, რათა მომავალში გამოიყენონ ადამიანის დაავადებული ორგანოების შესაცვლელად. პაციენტებს აღარ მოუწევთ რიგში დგომა დონორის მოლოდინში.

## პედოფილმა მილიარდერმა ჯეფრი ეპშტეინმა თავის მსხვერპლთ ნარკომანები და მეძავები უწოდა



**დაპატიმრებული ბიზნესმენი ამტკიცებდა, რომ გოგონებმა არ დაუფასეს სიკეთე, რომელიც მან მათთვის გაიღო.**

გაიხსენეს კარგა ხნის წინანდელი ინტერვიუ მილიარდერისა, რომელიც დაპატიმრებულია პედოფილიისა და ადამიანებით ვაჭრობის ბრალდებით. ცნობილი ბიზნესმენი ამჟამად მოთავსებულია მანჰეტენის გამოსასწორებელ ცენტრში და სასამართლო განაჩენს ელოდება. მას ბრალად აქვს წაყენებული ათობით არასრულწლოვან გოგონაზე ძალადობის კრიმინალური ცენტრის შექმნა.

დანაშაულები მილიარდერმა ჩაიდინა 2000-იანი წლების მეორე ნახევარში. სასამართლოს პირველი სხდომა, რომელზეც ეპშტეინის საქმე განიხილეს, 2008 წელს გაიმართა. მაშინ მან შეძლო, დასჯა თავიდან აერიდებინა. მეტიც,



ჟურნალისტთან ზემოთ ნახსენებ საუბარში მან საზოგადოებრიობას თავისი თავი მსხვერპლად წარუდგინა (ინტერვიუ, როგორც Daily Mail აღნიშნავს, არ გამოქვეყნებულა). ეპშტეინმა კორესპონდენტ **ჯორჯ რაშუს** უთხრა, რომ იგი ციხეში გამოკეტილი არ უნდა იჯდეს. მან თავის მსხვერპლთ მეძავები და ნარკომანები უწოდა, რომლებმაც სასამართლოში უჩივლეს, რათა ამ გზით ეშოვათ ფული.

დამნაშავე იმასაც ამტკიცებდა, რომ ემსხვერპლა ამ ამბავს და იმიტომაც, რომ „ადამიანები ვერ აფასებენ იმ სიკეთეს, რომელსაც სხვები მათ მიმართ გაიღებენ“.

როგორც ჩანს, „სიკეთედ“ იგი მიიჩნევს თავის ქმედებას — არასრულწლოვანი გოგონებისთვის გაღებულ ე.წ. სიკეთეს. ერთ-ერთმა მათგანმა, 15 წლის **ვირჯინია რობერტსმა** სასამართლოს განუცხადა, რომ მილიარდერს ყოველთვის დაჰყავდა სამოგზაუროდ და სისტემატურად ამყარებდა მასთან სექსუალურ კავშირს. იგი სისტემატურად რყვნიდა გოგონას და ღამღამობით თავის მეგობრებს უთმობდა. ყველა მათგანი ამ ბავშვზე სამჯერ უფროსი მაინც იყო.

რობერტსი, რომელმაც ამხილა ეპშტეინი დანაშაულში, მსხვერპლთა შორის ყველაზე ცნობილია. ის ფოტოსურათები კი, რომლებსაც ეპშტეინი არასრულწლოვანს უღებდა, ერთ-ერთი მთავარი სამხილი იყო.

უცხოეთის პრესამ ეპშტეინს „ბავშვებზე მონადირე“ უწოდა.

რამდენიმე დღის წინათ ეპშტეინი თავის საკანში იპოვეს ნაჭდევებით კისრის არეში, რომელიც უტყუარად ადასტურებს, რომ სუიციდით აპირებდა სიცოცხლესთან განშორებას. დღეს მას აკონტროლებენ, როგორც სუიციდური მიდრეკილების პიროვნებას.

**ახალმა საპარლამენტო უმრავლესობამ ხმა მისცა ბრიტანეთის პრემიერისთვის 31 ოქტომბერს ხისტი BREXIT-ის განხორციელების შესაძლებლობის ჩამორთმევას. ამას გარდა, „ამბოხებულებმა“ ოპოზიციასთან ერთად დაბლოკეს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა, რათა ამომრჩევლებმა ხელისუფლების სათავეში არ მოიყვანონ რომელიმე „უმართებულო“ პარტია. უფრო ნათელი მაგალითი ცნობილი ლოზუნგისა, რომ „დემოკრატია ხალხის ძალაუფლება კი არ არის, არამედ დემოკრატების ძალაუფლებაა“, ძნელი წარმოსადგენია.**

უცხოეთის ამბები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქაოსი ბრიტანეთის პოლიტიკაში

**ბორის ჯონსონი — ეს არის თავისებური სიმბოლო ყველაფერი ცუდისა, რაც კი არის ბრიტანეთის პოლიტიკურ ელიტაში: თავხედი, ყოყოჩი, არც ისე ჭკვიანი და კარიკატურულობამდე თავდაჯერებული თავის უპირატესობაში გარშემო მყოფებზე. ეს თვისებები სრულად გამოამჟღავნა ბრიტანეთის პრემიერმა, როცა ვლადიმერ პუტინის გამოწვევა გადაწყვიტა.**



**ბორის ჯონსონმა** ბრძოლაში გამოიწვია **პუტინი** და დამარცხდა, თანაც სამარცხვინოდ. ის დაჰპირდა რუსეთის ლიდერს იმის დამტკიცებას, რომ ლიბერალიზმი ცოცხალია, ვლადიმერ პუტინი კი მართალი არ არის, როცა ამბობს, რომ დასავლურ ლიბერალიზმს ვარგისიანობის ვადა გაუვიდაო. თანაც, ბრიტანეთის პრემიერმა რუსეთის პრეზიდენტის „უმართებულო“ გამონათქვამის დასამტკიცებლად მოიყვანა Brexit-ის შესრულება — ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლა, რომელიც დანიშნულია ამა წლის 31 ოქტომბერს.

**ბორის ჯონსონის საპროგრამო სტატიის სათაური ეჭვს არ ტოვებს და არ იძლევა ორაზროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას“. 31 ოქტომბრამდე ევროკავშირიდან გასვლით ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ვლადიმერ პუტინი მართალი არ არის“, — წერდა ჯონსონი 30 ივნისის THE TELEGRAPH-ში.**

პრობლემა არის ის, რომ Brexit-ი 31 ოქტომბრამდე, ყოველ შემთხვევაში ისე, როგორის იმედიც აქვს ჯონსონს და როგორზეც წერდა ზემოაღნიშნულ სტატიაში, არ მოხდება. თანაპარტიელთა ნაწილმა უღალატა მას და პარტიას (აგრეთვე იმ ამომრჩევლებს, რომლებმაც მათ მხარი დაუჭირეს). შედეგად **ახალმა საპარლამენტო უმრავლესობამ ხმა მისცა ბრიტანეთის პრემიერისთვის 31 ოქტომბერს ხისტი BREXIT-ის განხორციელების შესაძლებლობის ჩამორთმევას. ამას გარდა, „ამბოხებულებმა“ ოპოზიციასთან ერთად დაბლოკეს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა, რათა ამომრჩევლებმა ხელისუფლების სათავეში არ მოიყვანონ რომელიმე „უმართებულო“ პარტია.** უფრო ნათელი მაგალითი ცნობილი ლოზუნგისა, რომ **„დემოკრატია ხალხის ძალაუფლება კი არ არის, არამედ დემოკრატების ძალაუფლებაა“,** ძნელი წარმოსადგენია. ამას გარდა, თუ ბრიტანეთის პრემიერი მაინც მოინდომებს Brexit-ის განხორციელებას, მას მოუწევს ან ხელისუფლების უზურპაცია (ხელისუფლება უნდა წაართვას პარლამენტს და საკუთარ თავს მიანიჭოს დიქტატორის უფლებამოსილება), ან ხელი მოაწეროს Brexit-ის იმ „მოღალატეობრივ“ შეთანხმებაზე, რომელიც ბრიტანეთს ევროკავშირის უუფლებო კოლონიად გადააქცევს და რომელზეც დათანხმდა ჯონსონის წინამორბედი **ტერეზა მეი,** მაგრამ ძალიან არ მოსწონს ბრიტანელ ამომრჩეველს და თვითონ ბორის ჯონსონსაც. ნებისმიერი ზემოჩამოთვლილი ვარიანტიდან — Brexit-ის გადადება, დიქტატურა ან ამომრჩევლების ღალატი — კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ სწორედ თვითონ ბორის ჯონსონი პრინციპულად არ არის მართალი და დასავლური ლიბერალიზმი არ მუშაობს, რადგან ბრიტანეთის პოლიტიკური კლასი კატეგორიულ უარს ამბობს თავისი ამომრჩევლების პოლიტიკური ნების ცხოვრებაში განხორციელებაზე.

**ყველა ბრიტანულ „სიკეთესთან“ ერთად, შოტლანდიელები ახალ რეფერენდუმს ამზადებენ ინგლისისგან გამოსაყოფად. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ცხადყოფს, რომ შოტლანდიელთა უმრავლესობა საამისოდაა განწყობილი.**

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**




**ბორის ჯონსონმა ბრძოლაში გამოიწვია პუტინი და დამარცხდა, თანაც სამარცხვინოდ. ის დაჰპირდა რუსეთის ლიდერს იმის დამტკიცებას, რომ ლიბერალიზმი ცოცხალია, ვლადიმერ პუტინი კი მართალი არ არის, როცა ამბობს, რომ დასავლურ ლიბერალიზმს ვადა გაუვიდა. თანაც, ბრიტანეთის პრემიერმა რუსეთის პრეზიდენტის «უმართებულო» გამონათქვამის დასამტკიცებლად მოიყვანა Brexit-ის შესრულება — ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლა, რომელიც დანიშნულია ამა წლის 31 ოქტომბერს**

# დიქტატორი — დასავლეთისთვის და გმირი — აფრიკელებისთვის



## ზიმბაბვე მუგაბეს გამოეთხოვა

**ქვეყნის ამჟამინდელმა მეთაურმა ემერსონ მნანგაგვამ მას „ეროვნული გმირის“ წოდება მიანიჭა. „რობერტ მუგაბე მიეკუთვნება იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებმაც თავისი ბრძოლით აფრიკა კოლონიური უღლისგან გაათავისუფლეს. ამას არასოდეს არ დაივიწყებს არც მადლიერი ზიმბაბვე და არც აფრიკის დანარჩენი მოსახლეობა“, – განაცხადა მან. მუგაბეს „ეროვნული გმირების აკრის“ სახელწოდებით ცნობილ გამორჩეულ ადამიანთა სასაფლაოზე დაკრძალავენ და სახელმწიფო პატივს მიაგებენ.**

ზიმბაბვეს ყოფილი პრეზიდენტი რობერტ მუგაბე, რომელიც მძიმე ავადმყოფობის შედეგად სიცოცხლის 96-ე წელს გარდაიცვალა, ბევრი აფრიკელის მეხსიერებაში დარჩება, როგორც მებრძოლი გმირი აპარტეიდის წინააღმდეგ და ლიდერად, ბოლო მოუღოს ყოფილი კოლონისტი სახელმწიფოების ბატონობას.

1980 წელს სრულიად ზიმბაბვე მიესალმა **რობერტ მუგაბეს,** ის სათავეში ჩაუდგა მთავრობას ქვეყნისა, რომელმაც ცოტა ხნის წინათ მოიპოვა დამოუკიდებლობა. ახალი პრემიერმინისტრი კოლონიალიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად მიიჩნეოდა. დაახლოებით ათი წელიწადი მან ციხეში გაატარა, გათავისუფლების შემდეგ კი მეზობელ მოზამბიკში გაიქცა და იქიდან ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ ბრძოლას კოლონიური ხელისუფლების წინააღმდეგ. **მისი მმართველობის პირველ წლებში ზიმბაბვე, როგორც უწინ, აფრიკის მთავარი ბეღელი იყო. შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა, უკეთესი მომავლის იმედი კი გაძლიერდა; იმ წლებში ზიმბაბვეში შემოიღეს განათლების ერთ-ერთი საუკეთესო სისტემა; ქვეყანა გახდა ჩემპიონი უწიგნურობის ლიკვიდაციის ტემპის მიხედვით და გაუსწრო მეზობელ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას.**

მუგაბეს წინააღმდეგ გააქტიურდა ყოფილი ევროპული მეტროპოლიების მიერ წაქეზებული ოპოზიცია. მუგაბეს პასუხმაც არ დააყოვნა — დაიწყო სასტიკი რეპრესიები. მუგაბემ ოპოზიციის ლიდერები ნეოკოლონიალიზმისთვის ხელის შეწყობაში დაადანაშაულა. **„ზიმბაბვე არასოდეს აღარ იქნება კოლონია“,** — ამბობდა მუგაბე. 2000-იანი წლების დასაწყისში მან დაიწყო მიწის რეფორმა. იმ მომენტში ნაყოფიერი მიწების 70% უცხოელ თეთრკანიან ფერმერებს ეკუთვნოდათ. მათ მიწები წაართვეს, ბევრი ქვეყნიდან გაიქცა. რობერტ მუგაბე დასავლეთის თვალში საბოლოოდ იქცა დიქტატორად, როცა კატეგორიულად გაილაშქრა ქვეყანაში სექსუალური გადაგვარებულობის იმპორტის წინააღმდეგ. მან, ფაქტობრივად, არ დაუშვა ქვეყანაში გარყვნილების დანერგვა „უფლებებისა და თავისუფლების“ ნიღბით. ბევრი აფრიკელისთვის მუგაბე არის გმირი, რომელიც წინ აღუდგა ყოფილი კოლონისტი სახელმწიფოების ბატონობას და დაიცვა თავისი ქვეყნისა და, საერთოდ, აფრიკის მოსახლეობის ინტერესები.

**მუგაბე იყო ერთ-ერთი, ვინც 1979 წელს ხელი მოაწერა ე.წ. ლანკასტერის შეთანხმებას, რომელმაც ბოლო მოუღო სამოქალაქო ომს და უზრუნველყო საყოველთაო არჩევნების ჩატარება. მისი მმართველობის პირველ წლებში ზიმბაბვე, როგორც უწინ, აფრიკის მთავარი ბეღელი იყო; შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა, უკეთესი მომავლის იმედი კი გაძლიერდა. იმ წლებში ზიმბაბვეში შემოღებული იქნა განათლების ერთ-ერთი საუკეთესო სისტემა; ქვეყანა გახდა ჩემპიონი უწიგნურობის ლიკვიდაციის ტემპის მიხედვით და გაუსწრო მეზობელ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გახსოვთ ლაბირინთი, რომელშიც გამომწყვდეული იყო მითური (თუმცა, შეიძლება, რეალური) მინოტავრი? ამ კულტურას არქეოლოგებმა კრეტის დიდი მეფის — მინოსის სახელი უწოდეს. მინოსის კულტურა პირველი ცივილიზაცია იყო ევროპაში. მის კრახს მეცნიერები ვულკანის ამოფრქვევას უკავშირებენ, თუმცა ამ თეორიას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს.**

# 7 ცივილიზაცია, რომელთა განადგურების მიზეზები უცნობია

ადამიანის არსებობის განმავლობაში დედამიწაზე ბევრჯერ შეიქმნა ახალი ცივილიზაცია. ამჟამინდელ ცივილიზაციამდე პლანეტაზე იქმნებოდა, შემდეგ კი იკარგებოდა მეცნიერებისა და კულტურის კერები. მათი ნაწილი გაქრა მეცნიერებისთვის გასაგები მიზეზებით: ომები, კლიმატი, დაკნინება-დაცემა, მაგრამ ზოგიერთმა ძლიერების პიკზე შეწყვიტა არსებობა. ამ ისტორიული გამოცანების ამოხსნას მეცნიერები, მრავალი ათეული წელია, ცდილობენ.





## მიკენების ცივილიზაცია

ესაა მძლავრი ცივილიზაცია, რომელმაც უამრავი კვალი დატოვა ისტორიაში. ლეგენდაში (ჰომეროსის „ილიადა“) მეფე აგამემნონზე, რომელიც ბერძნებს მეთაურობდა ტროას ომში, ხშირად არიან ნახსენები მიკენები. როცა მშობლიურმა ქვეყანამ ვეღარ შეძლო მიკენების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება, მათ ვაჭრობას მიჰყვეს ხელი და ძალიან კარგი ვაჭრებიც იყვნენ. როდის და როგორ დაიწყო ამ ცივილიზაციის დაისი? — ამ კითხვაზე პასუხი ისტორიკოსებს ჯერჯერობით არ აქვთ.

მიკენების ცივილიზაცია უცებ განადგურდა, მოსახლეობა კი სხვა ქვეყნებში მიმოიფანტა.





## ტრიპოლიეს კულტურა

ეს იყო დედამიწის ერთ-ერთი ძველი ცივილიზაცია, რომელმაც იარსება რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში — ჩვენს ერამდე 5500-დან 2750 წლამდე; არსებობდა მოლდოვას, რუმინეთისა და უკრაინის ტერიტორიებზე. სახელწოდება მიიღო უკრაინის სოფელ ტრიპოლიეს მიხედვით (კიევის ოლქი, ობუხოვის რ-ნი). არქეოლოგები დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხვდებოდნენ ამ ცივილიზაციის უცნაურ წეს-ჩვეულებას: ისინი წვავდნენ თავიანთ ქალაქებს და მათ ადგილას ახალს აშენებდნენ. მორიგი ხანძარი ამ კულტურის განადგურებით დასრულდა, მიზეზი კი ჯერაც დაუდგენელია.





## კჰმერების იმპერია

კჰმერებმა თავიანთი იმპერია ჩვ.წ. აღ-მდე IX საუკუნეში შექმნეს თანამედროვე კამბოჯის ტერიტორიაზე. კჰმერებმა, მამაცმა მეომრებმა და გამჭრიახმა მხედართმთავრებმა, სწრაფად მოიპოვეს ძალაუფლება რეგიონში, მაგრამ მათ ცივილიზაციას დიდხანს არ უარსებია. გარეგნულად ყველაფრით უზრუნველყოფილმა ხალხმა დეგრადაცია განიცადა, სავარაუდოდ, მანკიერი თვისებების გამო.



## ანასაზის ცივილიზაცია



ეს იყო პუებლოს ინდიელთა ცივილიზაციის წინამორბედი, შედარებით ნაკლებად განვითარებული თვითმყოფადი კულტურა.

ანასაზის ხალხმა (ანასაზი მდებარეობდა აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთში) შეიმუშავა საცხოვრებლის მშენებლობის საკუთარი სისტემა. მათ კვეთდა პირდაპირ კლდეებში. ამ ცივილიზაციის დაცემა, მეცნიერთა ვარაუდით, გამოიწვია მეზობელი ტომების თავდასხმებმა.







## ჰარაპების ცივილიზაცია

ძველეგვიპტურ და შუმერულ კულტურებთან ერთად ინდური ცივილიზაცია უძველესად ითვლება კაცობრიობის ისტორიაში. ის მოიცავდა უზარმაზარ ტერიტორიას. სამწუხაროდ, ჰარაპების ცივილიზაცია განადგურდა. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უამრავი მტკიცებულება იმისა, რომ ადამიანები მოულოდნელად აიყარნენ თავიანთი მიწა-წყლიდან და სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად.



## მინოსის ცივილიზაცია



გახსოვთ ლაბირინთი, რომელშიც გამომწყვდეული იყო მითური (თუმცა, შეიძლება, რეალური) მინოტავრი? ამ კულტურას არქეოლოგებმა კრეტის დიდი მეფის, მინოსის, სახელი უწოდეს. მინოსის კულტურა პირველი ცივილიზაცია იყო ევროპაში. მის კრახს მეცნიერები ვულკანის ამოფრქვევას უკავშირებენ, თუმცა ამ თეორიას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. მართლაც, რატომ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი ვულკანის ამოფრქვევა იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც მშვენივრად იცოდნენ ამბები იმ მთისა, რომლის ახლოსაც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ? და რატომ არ უშველეს თავს ხომალდებით, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავ ზღვაოსნებად ითვლებოდნენ?

## კლოვისის ცივილიზაცია

10 ათასი წლის წინათ ჩრდილოეთ ამერიკის ცენტრალურ დაბლობზე დიდი ცივილიზაციის წარმომადგენლები სახლობდნენ. კლოვისის ხალხის წარმომადგენლები შესანიშნავი მონადირეები იყვნენ და იოლად უსწორდებოდნენ სხვა, უფრო მცირერიცხოვან და არაორგანიზებულ ტომებს. მით უმეტეს უცნაურია კლოვესის ცივილიზაციის გაქრობა.

ზოგიერთი არქეოლოგის ვარაუდით, კლოვისის განადგურება მოულოდნელმა აცივებამ გამოიწვია.

მოამზადა ნიკა კორინთელმა

**თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში წერდა მედია „ბარსელონასა" და მადრიდის „რეალის" მცდელობებზე, ეყიდათ ნეიმარი, მაგრამ პარი „სენ-ჟერმენის" მოთხოვნები მიუღებელი აღმოჩნდა, პირველ რიგში, „ბარსელონასთვის" — 150 მლნ პლუს სამი ფეხბურთელი: დემბელე, რაკიტიჩი და ტოდიბო. თუმცა ყველაფერი იქით მიდის, რომ, თუ ზამთარში არა, 2020 წლის ზაფხულში ნეიმარი მაინც გადავა „ბარსელონაში", რადგან 2020-ში მისი სატრანსფერო თანხა 170 მლნ-მდე შემცირდება.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნეიმარის საგა, აზარის ოცნება და გრიზმანის გაქცევა

## 2019-2020 წლების სეზონის ყველაზე გახმაურებული ტრანსფერები

**ევროპის წამყვანმა საფეხბურთო ჩემპიონატებმა (ესპანეთის ლა ლიგა, ინგლისის, პრემიერლიგა, იტალიის სერია ა და საფრანგეთის ლიგა 1) სტარტი აგვისტოს შუა რიცხვებში აიღო, სატრანსფერო ფანჯარა კი, რომელსაც ბევრი მითქმა-მოთქმა ახლდა, 3 სექტემბერს დაიხურა. გავიხსენოთ ყველაზე ხმაურიანი გადასვლები ერთი კლუბიდან მეორეში და შევაჯამოთ 2019 წლის საზაფხულო სატრანსფერო ბაზრის შედეგები.**


ედენ აზარი


გრიზმანი

### ნეიმარი დარჩა „პარი სენ-ჟერმენში"

ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე რეკორდული ტრანსფერიდან (222 მლნ) რამდენიმე თვეში გავრცელდა ხმები, რომ „ბარსელონადან" „პარი სენჟერმენში" გადასული ბრაზილიელი ნეიმარი ნანობს თავის გადაწყვეტილებას და „ბარსელონაში" დაბრუნება სურს. მაგრამ, თუ შარშან კატალონიური კლუბის მხრიდან ნეიმარის დაბრუნების მცდელობა უნიათო იყო, წლევანდელ ზაფხულში „ბარსელონამ" ძალისხმევა არ დაიშურა იმისთვის, რომ ბრაზილიელ თავდამსხმელ **ლიონელ მესის** მხარდამხარ ეთამაშა. თვით ფრანგულ კლუბსაც, როგორც მედია წერდა, სურდა თავისი „პრიმადონის" მოშორება რაც შეიძლება დიდ თანხად, რადგან ნეიმარი ნეგატიურ გავლენას ახდენდა გუნდის სხვა წევრებზე.

თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში წერდა მედია „ბარსელონასა" და მადრიდის „რეალის" მცდელობებზე, ეყიდათ ნეიმარი, მაგრამ პარი „სენ-ჟერმენის" მოთხოვნები მიუღებელი აღმოჩნდა, პირველ რიგში, „ბარსელონასთვის" — 150 მლნ პლუს სამი ფეხბურთელი: **დემბელე, რაკიტიჩი და ტოდიბო.**

თუმცა ყველაფერი იქით მიდის, რომ, თუ ზამთარში არა, 2020 წლის ზაფხულში ნეიმარი მაინც გადავა „ბარსელონაში", რადგან 2020-ში მისი სატრანსფერო თანხა 170 მლნ-მდე შემცირდება.

### ედენ აზარი „რეალში"

როდესაც ედენ აზარი ლონდონის „ჩელსიდან" მადრიდის „რეალში" 100 მლნ დოლარად გადავიდა, გაჩნდა განცდა, რომ ამ ზაფხულს ამაზე „მაგარი" რამ არაფერი მოხდებოდა და ზაფხულის მთავარი ტრანსფერი უკვე განხორციელდა. რაც უნდა იყოს, ლაპარაკია ფეხბურთელზე, რომელმაც, მადრიდის რეალის პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესის** აზრით, „სანტიაგო ბერნაბეუს" უნდა დაავიწყოს **კრიშტიანუ რონალდუ.**

მაგრამ ბელგიელს, რომელიც მთელი ცხოვრება ოცნებობდა „რეალში" გადასვლაზე, არავინ გაიხსენებდა, ნეიმარის საგა ჰეფი ენდით რომ დასრულებულიყო, ისიც საკითხავია, როგორ შეცვლის აზარი რონალდოს, რომელიც წლების განმავლობაში ლა ლიგის ბომბარდირთა შორის იყო, 28 წლის აზარი კი საუკეთესო ბომბარდირული მიღწევებით ვერ დაიკვეხნის.

### „პატარა პრინცი" „ბარსელონაში"

**ანტუან გრიზმანი** „ბარსელონაში" 2-წლიანი მცდელობის შემდეგ გადავიდა. ფრანგმა ფეხბურთელმა, რომელშიც 120 მლნ გადაიხადეს, კატალონიელთა შეტევის ხაზი უნდა გააძლიეროს, მაგრამ სეზონის პირველი მატჩი „ბარსელონას" შემადგენლობაში წარუმატებელი აღმოჩნდა გრიზმანისთვის — მან ბურთი ვერ გაიტანა, „ბარსელონამ" კი დათმო შეხვედრა — 0:1, თუმცა მომდევნო მატჩში „ბეტასთან" გრიზმანმა დუბლი შეასრულა.

### ყველაზე ძვირად ღირებული ვუნდერკინდი

როგორც ჩანს, გრიზმანს აღარ სჯეროდა, რომ მადრიდის „ატლეტიკოსთან" ერთად შეძლებდა ესპანეთის ჩემპიონობის მოპოვებას ან ჩემპიონთა ლიგის მოგებას, ამიტომაც გადაწყვიტა „ბარსელონაში" გადასვლა, მაგრამ მისი ადგილი „მემატრასეების" (ასე ეძახიან მადრიდის ატლენტიკოს") შემადგენლობაში მყისვე დაიკავა ახალმა კერპმა — 19 წლის პორტუგალიელმა **ჟოაუ ფელიქსმა**, რომელშიც მადრიდელებმა 126 მლნ გადაუხადეს ლისაბონის „ბენფიკას".


ლუკა იოვიჩი

### ფრენკი დე იონგი „ბარსელონაში"

კატალონიელთა მწვრთნელი ერნესტო ვალვერდე 22 წლის ნიჭიერ ჰოლანდიელს საყრდენი ნახევარმცველის, **სერხი ბუსკეტსის,** შემცვლელად ხედავს. თუმცა **დე იონგი** უფრო „რვიანია", ვიდრე კლასიკური „ექვსიანი". ყველაფრის მიუხედავად, „ბარსელონამ" შესანიშნავი ტრანსფერი განახორციელა და ამსტერდამის „აიაქსისგან" უდავოდ ძალიან ნიჭიერი ნახევარმცველი შეიძინა.


ფრენკი დე იონგი

### ლუკა იოვიჩი „რეალში"

ეს, შესაძლოა, პოტენციურად ყველაზე წარუმატებელი ტრანსფერი აღმოჩნდეს.

მადრიდელთა მწვრთნელ **ზინედინ ზიდანზე** ისეთი ცუდი შთაბეჭდილება დატოვა ფრანკფურტის „აინტრახტიდან" „რეალში" გადასულმა 22 წლის სერბმა თავდამსხმელმა ლუკა იოვიჩმა, რომ მყისვე შესთავაზა კლუბის ხელმძღვანელობას, ეს ფეხბურთელი რომელიმე კლუბში არენდით გაეშვა, არადა, იოვიჩში „რეალმა" 60 მლნ ევრო გადაიხადა.

### ედერ მილიტაო „მადრიდის „რეალში"

მადრიდელთა კიდევ ერთი ძვირად ღირებული შენაძენი და კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს. ვინ უნდა შეცვალოს მილიტაომ — **სერხიო სამოსი** თუ **რაფაელ ვარანი?** — ნაკლებად სავარაუდოა, მიუხედავად იმისა, რომ მასში „რეალმა" 50 მლნ ევრო გადაიხადა.

### მცველების რეკორდები

შარშან სატრანსფერო ბაზარზე რეკორდები დაამყარეს მეკარეებმა: „ლივერპულის" მეკარე ალისონმა და მისმა კოლეგამ „ჩელსიდან" **კეპა არისაბალაგამ.** გაირკვა ყველაზე ძვირად ღირებული მცვლის ვინაობაც. ეს იყო ჩემპიონთა ლიგის მომავალი გამარჯვებული **ვირჯილ ვან დეიკი.** ამ წლის ზაფხულში კი მსოფლიოს 2 რეკორდი განახლდა. ჯერ ვან დეიკს გადაასწრო ჰოლანდიელმა **მათეის დე ლიხტმა**, რომელიც ტურინის „იუვენტუსმა" 75 მლნ ევროდ შეიძინა ამსტერდამის „აიაქმისგან"; შემდეგ კი „მანჩესტერ იუნაიტედმა" ლესტერის „ლესტერ სიტისგან" 87 მლნ ევროდ იყიდა მცველი **ჰარი მაგუაირი.**

### გაგდებული იკარდი „პარი სენ ჟერმენში"

სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს დასრულდა ერთ-ერთი ხმაურიანი ყიდვა-გაყიდვა. „ინტერის" არგენტინელი კაპიტანი მაურო იკარდი მილანური კლუბის გულშემატკივრებმა და ხელმძღვანელებმა აითვალწუნეს და ის „პარი სენ-ჟერმენში" იჯარით გადავიდა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


ედერ მილიტაო


ჟოაო ფელიქსი


ნეიმარი

# გერმანიაში ცეცხლსასროლ იარაღზე მოთხოვნამ საგრძნობლად იმატა



**დღესდღეობით გერმანიის დაახლოებით 640 ათას მოქალაქეს კანონიერი უფლება აქვს, თავდაცვითი იარაღი ატაროს, მაშინ, როდესაც 2014 წელს მათი რაოდენობა მხოლოდ 260 ათასი იყო. ხუთ წელიწადში ეს 250%-იანი ზრდაა.**

Die Welt-ი წერს, რომ კვლევა Rheinische Post-მა ჩაატარა და ინფორმაცია ქვეყნის 16 ფედერალური ოლქის შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებებიდან გამოითხოვა. მოპოვებული მონაცემების თანახმად, მხოლოდ მცირე ზომის ცეცხლსასროლ იარაღზე ლიცენზიები 9%-ით გაიზარდა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

ამჟამად გერმანიაში კერძო პირები სხვადასხვა კატეგორიის დაახლოებით 5.4 მილიონ იარაღს ფლობენ. იარაღზე მოთხოვნის ზრდად გერმანიაში უსაფრთხოების განცდის დაკარგვა სახელდება, რაც გამოწვეულია საჯარო სივრცეებში უცხოელი მიგრანტების მხრიდან თავდასხმებითა და ქალებზე სექსუალური თავდასხმის გახშირებით.

# ვენესუელის პროკურატურამ ხუან გუაიდოს წინააღმდეგ საქმე აღძრა



**ვენესუელის პროკურატურამ ქვეყნის დროებითი პრეზიდენტის — ხუან გუაიდოს წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. ამის თაობაზე იუწყება Deutsche Welle.**

პოლიტიკოსს სახელმწიფო ინტერესების ღალატში ადანაშაულებენ. როგორც ქვეყნის გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, გუაიდო აპირებს, უარი თქვას ვენესუელის პრეტენზიაზე, რომელიც მეზობელ გაიანასთან სადავო ტერიტორიას შეეხება.

ეს სადავო რეგიონი გაიანის ტერიტორიის თითქმის ორ მესამედს იკავებს. საზღვარი სასამართლომ 1899 წელს განსაზღვრა, თუმცა ოფიციალური კარაკასი მას არ აღიარებს. 2015 წელს ამ ტერიტორიის სანაპიროებზე ნავთობის საბადოები აღმოაჩინეს.

აშშ-ის მიერ მხარდაჭერილმა ოპოზიციის ლიდერმა ხუან გუაიდომ თავი ვენესუელის პრეზიდენტად გამოაცხადა. გუაიდოს ლეგიტიმურობა მსოფლიოს 50-მდე ქვეყანამ, მათ შორის, საქართველომაც აღიარა. მადუროს ხელისუფლების პირობებში ვენესუელამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარა.

# კრამერისა და რასმუსენის მსგავსი პროვოკატორი კიდევ ბევრი გამოჩნდება

## ცხინვალი და სოხუმი თუ დავთმეთ, ნატოში რაღა ჯანდაბა გვინდა?!





**10 სექტემბერს ქართველებისთვის ორი ძალიან საყურადღებო რამ მოხდა, ორივე თბილისში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე.**

ჯერ იყო და, ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა **ანდერს ფონ რასმუსენმა** ხმამაღლა გვითხრა ის, რასაც ნატოელი და ევროპელი მაღალჩინოსნები, წლებია, ჩუმად ეუბნებოდნენ ხელისუფლებას. აი რა თქვა რასმუსენმა: **„ვფიქრობ, თქვენ უნდა დაიწყოთ დისკუსიები, მისაღები იქნება თუ არა საქართველოსთვის, შეუერთდეს ნატოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე“.** საქართველოზე „მზრუნველმა“ რასმუსენმა, რომელსაც შემდეგ კვერი დაუკრა მეხუთე კოლონამ — გიგა ბოკერიამ, „ევროპული საქართველოს“ წევრმა **ოთარ კახიძემ**, თინა ხიდაშელმა და სხვებმა, შემოგვთავაზა, რომ დავთმოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო იმისთვის, რომ შევიდეთ ნატოში. თუ ტერიტორიებს სამუდამოდ დავკარგავთ, თანაც ჩვენივე ნებით, რა ჯანდაბა გვინდა ნატოში, რისთვის უნდა შევიდეთ იქ?!

მეორე აღმაშფოთებელი შემთხვევაც ზემოაღნიშნულ კონფერენციაზე მოხდა, როდესაც იქ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი **ირმა ინაშვილი** მივიდა და სიტყვით გამოსვლა მოითხოვა, რათა მისი ორგანიზაციის მიმართ „ევროპული საქართველოს“ ლიდერ **გიგა ბოკერიას** მიერ გამოთქმულ ბრალდებებზე პასუხი გაეცა, მაგრამ ამ ღონისძიების ორგანიზატორმა, „ფრიდომ ჰაუსის“ ყოფილმა დირექტორმა და მაკკეინის ინსტიტუტის ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულების დირექტორმა **დევიდ კრამერმა** მას სიტყვით გამოსვლის უფლება არ მისცა. კრამერს მხარი დაუჭირა ამერიკელების კიდევ ერთმა მარიონეტმა, ლიეტუვას დეპუტატმა **ზიგმანტას პავილიონისმა**, რომელმაც ინაშვილს ასე მიმართა: **„ვფიქრობ, რომ ბოკერია თქვენი საუკეთესო მეგობარია. მოგიწევთ მისი შეყვარება. თქვენ უნდა დარჩეთ ბოკერიასთან, სანამ ნატოში არ შეხვალთ, და შემდეგ შეგიძლიათ იჩხუბოთ“.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

# ირანი ევროკავშირს დაპირებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს



**ირანის ატომური ენერგიის სააგენტოს ხელმძღვანელი თეირანის მიერ ბირთვული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაში ევროკავშირს ადანაშაულებს. შესაბამისი განცხადება ალი აკბარ სალეჰიმ თეირანში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლების ვიზიტისას გააკეთა. მისი თქმით, შეთანხმებიდან გასული აშშ-ის როლი ბრიუსელს უნდა შეესრულებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ევროკავშირი დაპირებას არ ასრულებს.**

„ევროკავშირში აცხადებდნენ, რომ შეთანხმების პირობებს შეასრულებდნენ მანამ, სანამ ამას ირანი გააკეთებდა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ევროპელები დადებულ პირობებს არღვევენ“, — განაცხადა სალეჰიმ და ასევე დასძინა, რომ, თუ ასე გაგრძელდება, საჭირო მომენტში ირანი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.

6 სექტემბრიდან ირანმა შეთანხმების მორიგი პირობა დაარღვია და ურანის გამდიდრებისთვის საჭირო ცენტრიფუგების წარმოება დაიწყო. სწორედ ამის გამო ჩავიდა ქვეყანაში საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფი.

# მაკრონი ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად მოსკოვში ჩავა

**საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი 2020 წლის მაისში მოსკოვში ფაშიზმზე გამარჯვების 75 წლის იუბილის გამო გამართულ ღონისძიებებს დაესწრება. ამის შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან-ივ ლე დრიანმა განაცხადა. ინფორმაციას რუსული „ინტერფაქსი“ ავრცელებს.**

მანამდე რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე იური უშაკოვმა განაცხადა, რომ 2020 წლის 9 მაისს მოსკოვში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობაზე თანხმობა 17 ქვეყნის ლიდერმა განაცხადა, მათ შორის: ინდოეთის, კუბის, ჩეხეთის, ვენესუელის, მოლდოვის, ბელარუსის, სომხეთისა და სერბეთის.



თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894